საჯარო ბიბლიოთეკა

მეექვსე წლიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. ლიდი თაიერის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფ. № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა“-ს და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-მდე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—89.

დღიური
საბჭოთა ხელისუფლების 5 წლისთავი

ხუთშაბათი, 25 თებერვალი 1926 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 45 (1500)

მუშურ-გლეხური საქართველო დღესასწაულობს დღეს მენშევიკური ბატონობისა და იმპერიალისტებისაგან თავის განთავისუფლების ხუთი წლის თავს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად წინ კომუნიზმისაკენ!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს საბჭოთა დიდ კავშირს!

ხუთი წლის თავი საბჭოთა ხელისუფლებისა საქართველოში

საქართველოს ყველა მუშებს, მუშა-ქალებს, გლეხებს და გლეხ-ქალებს!

ამხანაგებო! განვლო ხუთმა წელმა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ხუთი წლიწადი ძალიან მოკლე დროა ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებაში. მაგრამ ეს განვლილი დრო მსხვილი და წაუშლელი ასოებით იქნება აღბეჭდილი საქართველოს **მუშების და გლეხების ახალ ისტორიაში.**

ხუთი წლის წინედ ჩაეყარა საფუძველი საქართველოში მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს. ამ ახალი სახელმწიფოს დანიშნულებას შეადგენდა მყვლეფელ კლასების, ე. ი. **მემამულეების და კაპიტალისტების** სრულიად განდევნა ხალხის მართვა-გამგეობიდან და აგრეთვე მათგან მთელი **ქონების, ე. ი. მიწების და ქარხანა-ფაბრიკების ჩამორთმევა და მშრომელების: მუშების და გლეხების ხელში გადაცემა.** და აი ამ საფუძველზე უნდა დაწყებულიყო და გაჩაღებულიყო ახალი **სახელმწიფოებრივი მუშურ-გლეხური აღმშენებლობა.** საჭიროა მოკლედ ორიოდე სიტყვით ჯამი გაუკეთოთ საბჭოთა ხელისუფლების **მუშაობას, მის ნამოქმედარს** ამ ხნის განმავლობაში.

მყვლეფელ კლასების განდევნა მართვა-გამგეობიდან და მათგან მთელი ქონების ჩამორთმევა მშრომელი ხალხის სასარგებლოდ განხორციელებულ იქნა თავიდანვე. მემამულეები და კაპიტალისტები და მათი დამქაშები გაძევებული არიან სახელმწიფოს მართვა-გამგეობიდან და იმათ ადგილას **სახელმწიფოს სათავეში მოექცენ მუშები და გლეხები.** ჩამორთმეული მიწები სულ მთლად მშრომელ გლეხკაცობას ანუ მიწის მუშებს გადაეცათ; რაც შეეხება ფაბრიკა-ქარხნებს, რკინის გზებს, მაღაროებს,—ყოველივე ეს გადავიდა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ხელში. ამის შემდეგ იწყება უკვე საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედებითი მუშაობა როგორც სახალხო მეურნეობის, ისე კულტურულ-განმანათლებელ დარგში.

ამხანაგებო! თქვენ უნდა იცოდეთ, რომ აღმშენებლობის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენ საქართველოში, რომელიც მეტ ნაწილად გლეხური ქვეყანაა და წარმოების განვითარების მხრით მეტად ჩამორჩენილია, და რომლის მოსახლეობა იმავე დროს აჭრელებულია სხვა და სხვა მოდგმის და ეროვნების ხალხით,—**ბევრნაირი დაბრკოლება და სიძნელე ეღობებოდა წინ.**

საჭირო იყო ყველაფერის თავიდან დაწყება, საჭირო იყო სრულიად ახალი სახელმწიფოებრივი დაწესებულებების შექმნა, საჭირო იყო ნივთიერი სახსრის გამოძებნა, საჭირო იყო ნასწავლი ხალხის—მასწავლებლების, აგრონომების, ინჟინერების, ტეხნიკოსების, ექიმების დახმარება, იმათი მომხრობა. უამისოდ შეუძლებელი გახდებოდა საბჭოების შემოქმედებითი და აღმშენებლობითი მუშაობა. თქვენ იცით, თუ რა პირობები იყო ამ მხრით, კერძოთ საბჭოთა საქართველოში, განსაკუთრებით პირველ ხანებში მაინც.

საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ ჰაერი მოწამლული იყო ჩამოგდებული და საზღვარგარეთ გაქცეული „დემოკრატიული“ მთავრობის პარტიების და მათი მომხრეების საზიზღარი და ყოვლად უსინდისო აგიტაციით, პროვოკაციით, სიცრუით და ცილისწამებით. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ხალხის ზოგიერთ ნაწილში ასეთ პროვოკაციას გასავალი ჰქონდა; მით უფრო, რომ ჯერ იმპერიალისტური ომის გამო და მერე მენშევიკების ბატონობის მეოხებით საქართველოში წარმოება არა თუ არ იზრდებოდა, არამედ სულ უკან-უკან მიდიოდა, ამიტომ ხალხის ეკონომიური მდგომარეობა თანდათან დაბლა ეცემოდა, ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ხალხი ჩვენში დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ამას თან დაერთო დიდი მოუსავლობა რუსეთში ზედიზედ 1920 და 1921 წლებში, მოუსავლობა ჩვენში 1922 წელს და საბჭოთა ხელისუფლებას ხომ არ ძალუძდა ერთბაშად ხალხის გამოყვანა ასეთი დიდი გაჭირვებიდან. ეს ადვილი გასაგები უნდა ყოფილიყო ყველასათვის, მაგრამ მუშების და გლეხების ხელისუფლების მტრები რაღა იქნებოდნენ, რომ ამ უბედურებით არ ესარგებლათ და არ გამოეყენებიათ ის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი მტრები ხალხს აგონებდენ, რომ ბოლშევიკები დღეს თუ არა ხვალ განდევნილი იქნებიან და საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა, ამნაირად აღდგენილი იქნება ჟორდანიას მთავრობა, მასთან ერთად საქართველოში შემოვლენ უცხოელები, ფრანგები და ინგლისელები, და ქართველ ხალხს მიაწოდებენ სხვა და სხვა საჭირო საქონელსო. ამისათვის ჩვენი მტრები საჭიროდ სთვლიდენ საქართველოში „პატარა“ აჯანყების მოწყობას. ასეთი მუხანათური ქადაგებით მენშევიკებმა და მათ მიმყოლმა პარტიებმა, როგორც იცით, 1924 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოტყუილებით და სიცრუით საქართველოს ზოგიერთ ადგილას ჩაიყოლიეს ხალხის რამოდენიმე ნაწილი და სცადეს საბჭოთა მთავრობის ჩამოგდება. თქვენ იცით, თუ როგორ სამარცხვინოთ დამთავრდა ამ ვაჟბატონების ეს საკაყი „საქმე“, და მისი სხვანაირი ბოლო შეუძლებელი იყო. როგორც იცით, თვით „აჯანყების“ მეთაურებმაც კი დაგმეს თავისი უსაშინელესი დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე. მაგრამ საქართველოს მუშებს და გლეხებს ეს „აჯანყება“ მაინც მეტად ძვირად დაუჯდათ. თუმცა ერთი კი უნდა ითქვას: ამ „აჯანყებამ“ ბევრს დაუკარგა ყოველივე იმედი საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა, იმდენად მტკიცე და ურყევი შეიქნა ეს ხელისუფლება.

ამხანაგებო! გახსენება ჩვენი მტრების ვერაგული მუშაობის შესახებ საჭიროა აქ, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ის სიძნელე და ის დაბრკოლებანი, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლებას თქვენთან ერთად უხდებოდა მუშაობა. მაგრამ საბჭოთა მთავრობას თქვენთან ერთად ერთხელ და სამუდამოდ მიღებული ჰქონდა და აქვს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ **ყოველივე სიძნელე და ყოველგვარი დაბრკოლებანი დაეძლია და გადაელახა.** საქართველოს მუშების და გლეხების წარმომადგენლები, რომლებიც სათავეში უდგანან საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას, ამ გადაწყვეტილებას ვერ გადაუხვევდენ და მით უმეტეს ვერ უღალატებდენ.

ამხანაგებო! ჩვენი მუშაობა ორგვარია: 1) **განმტკიცება და გამაგრება ძმური კავშირისა საბჭოთა რესპუბლიკებთან** და 2) **აღმშენებლობითი მუშაობა.** საქართველო დაკავშირებულია ურყევი ძმური კავშირით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან და აგრეთვე საბჭოთა ყველა რესპუბლიკების კავშირთან. ეს კავშირი თავდებია საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცისა და ნაყოფიერი მუშაობისა. რაც შეეხება **აღმშენებლობითი მუშაობას,** ის სწარმოებდა საქართველოში ამ ხუთი წლის განმავლობაში აჩქარებული ნაბიჯით. **სოფლის, თემის და მაზრის საბჭოების მოწყობა და გაუმჯობესება, მუშების და გლეხების ფართო მასების, როგორც მამაკაცების, ისე ქალების ჩაბმით საბჭოების, კოოპერატივების, გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტების მუშაობაში; სახალხო განათლების და ჯანმრთელობის** საქმის ფართოდ მოწყობა, რამდენადაც ამას ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა შესაძლებლად ხდიდა; **სოფლის მეურნეობაში** ახალი ცვლილებების შეტანა: **სარწყავი არხების** გაძლიერებული შენება, **ჭაობების ამოშრობა, სამეურნეო იარაღების, მანქანების და ტრაქტორების** გავრცელება გლეხობაში; **სასოფლო-სამეურნეო სესხის** მოწყობა. აბრეშუმის, ჩაის და განსაკუთრებით ბამბის მოყვანის გაძლიერება და გაფართოება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება გლეხკაცობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყველა ამას თან მისდევს **ქალაქის მრეწველობის** ზრდა, გაფართოება მრეწველობის ახალ დარგთა შემოღებით (მაუდის და ბამბის ფაბრიკები და სხვ.).

არ შეგვიძლია აქვე თქვენი ყურადღება არ მივაქციოთ საქართველოში ელექტრონული ძალის გამოყენებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მომავალში კიდევ მეტი ექნება სახალხო მეურნეობის გასაძლიერებლად. ამ მხრით დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ და იმედი გვაქვს მარტო ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გვექნება 30—40 ათასი ცხენის ძალა ელექტრონული ენერგიის სახით. და ბოლოს მუშა-მოსამსახურეთათვის **სოციალური დაზღვევის** საქმის მოწყობა და სხვა და სხვა.

ერთ ჩვენ უდიდეს მიღწევათაგანს შეადგენს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ირგვლივ მცხოვრებ სხვა და სხვა ერებს შორის მშვიდობიანობის და **ძმური ურთიერთობის დამყარება.** ყველა ჩვენგანს ალბად კარგად ახსოვს, თუ რა შუღლი და შეუწყვეტელი განხეთქილება არსებობდა ამ ერებში და თუ რა საშინელ შედეგებს იწვევდა ასეთი მდგომარეობა მშრომელ მასებისათვის. საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ასეთ მდგომარეობას.

ამხანაგებო, მუშებო და გლეხებო! ჩვენ ოდნავაც არ უნდა გავაზვიადოთ ის, თუ რა გაკეთდა ჩვენში ამ ხუთი წლის განმავლობაში. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გაკეთებული ძლიერ ცოტაა იმასთან შედარებით, რაც საჭიროა გაკეთდეს. მაგრამ საყურადღებოა ის, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში, მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა და უდიდეს სიძნელეთა, ჩვენ მაინც შევსძელით მკვიდრი საძირკველი ჩაგვეყარა **იმ შენობის** ასაგებად, რომელსაც **სოციალიზმი** ეწოდება.

ამხანაგებო! ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ მივდიოდით **იმ გზით,** რომელიც ჩვენ გვიჩვენა და გვიანდერძა ამხ. **ლენინმა.** ჩვენ ვივლით ამავე გზით მომავალშიაც. ჩვენ ვსდებთ ფიცს, რომ მტკიცეთ და შეუდრეკელად დავიცავთ საბჭოთა ხელისუფლებას, რაც ასე ძვირად უღირს მუშათა კლასს. მწყობრი და მჭიდრო რიგებით, მუშებმა და გლეხებმა ხელიხელ ჩაკიდებით განვაგრძოთ ნა[illegible] და შემოქმედებითი მუშაობა [illegible] მშრომელ მასების [illegible] წინ, წინ, წინ!

გაუმარჯოს საქართველოს მუშებს და გლეხებს!
გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს!
გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის შემოქმედებას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე**

ხუთი წლის თავზე

5 წლიწადი შეუსრულდა იმ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, რომლის შესახებ ჟორდანიას მთავრობა საზღვარგარედ გაქცევისას არწმუნებდა თავის „მრევლს“: გულს ნუ გაიტეხთ, ბოლშევიკები დიდხანს ვერ იბოგინებენ აქ, ჩვენ მალე დავბრუნდებით და გაგაბედნიერებთო. მენშევიკების წინასწარმეტყველებას ისეთივე ბედი ეწვია, როგორც რუსეთის კონტრ-რევოლიუციას, რომელიც ოქტომბრის გადატრიალებას „ისტორიულ გაუგებრობად“ სთვლიდა და მის არსებობას ორი-სამი კვირით განსაზღვრავდა.

მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამყარების 5 წლის თავზე საბოლოოდ დამსხვრეულია კონტრ-რევოლიუციის იმედი თავისი ბატონობის დაბრუნების შესახებ და, რაც უმთავრესია, საქართველოს იმ მუშურ-გლეხურ მასებმაც, რომელნიც წინედ მისდევდენ მენშევიკებს, სამუდამოდ განაცხადეს უარი უკანასკნელთა მიერ მათ „გაბედნიერებაზე“ და გადაჭრით შეაქციეს ზურგი ამ „ძალით მაცხონებლებს“. ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა კარგა ხანია მტკიცეთ დადგა საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე და ახლა მას ვეღარ კი წარმოუდგენია თავისთვის სხვა რეჟიმი. კონტრ-რევოლიუციისაგან გაიმიჯნა არა მარტო საქართველოს მშრომელი მასა, არამედ დაშლის ფართე პროცესი მოედვა ემიგრაციასაც, რომლის ქვედა ფენა სცილდება თავის „ლიდერებს“ და საბჭოთა სამშობლოსაკენ მოეშურება.

ყველაფერი ეს ბუნებრივი და ისტორიულად აუცილებელი იყო. თუ პირველ ხანებში მშრომელ მოსახლეობის ნაწილი რამოდენიმედ აღმაცერად და მტრულადაც უყურებდა საბჭოთა მთავრობას, ეს იყო შედეგი მენშევიკების დროს წარმოებულ მოწამლულ კამპანიისა ჩვენ წინააღმდეგ. ეს იყო შედეგი მენშევიკების „მოღვაწეობისა“ მუშურ-გლეხურ რეჟიმის დამყარების შემდეგაც. კომუნისტებს ისე უსახავდენ ხალხს, თითქოს ისინი ყოფილიყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მომსპობნი, ეროვნულ კულტურის გამანადგურებელნი, ქვეყნის მეურნეობის გამნიავებელნი.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკით, თავისი მოღვაწეობით ძირფესვიანად დაამსხვრია ბოროტი პროვოკაციის და ჭორების ეს ხუხულა. თუ მენშევიკურ საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, ნამდვილად კი ქვეყანა იმპერიალისტების კოლონიას წარმოადგენდა, საბჭოთა ხელისუფლებამ განმტკიცა ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა. ამას რა თქმა უნდა არ ეწინააღმდეგება ჩვენი ნებაყოფლობითი კავშირი დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან სრული თანასწორობის საფუძვლებზე, პირიქით, უკანასკნელი ძირითადი პირობაა ჩვენი ხალხის რეალური დამოუკიდებლობისა. იგი საბჭოთა სრული ბატონ-პატრონია თავის ქვეყნის და ბედის; მთელი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა ადგილობრივი ძალების ხელშია.

ჩვენ წინ წავსწიეთ ეროვნული კულტურის საქმე. მშობლიური ენა დაეპატრონა დაწესებულებებს. ამ ენაზე მოწყობილი სწავლა-განათლება, დაწყებული დაბალიდან უმაღლეს სკოლამდე, არასოდეს არ მდგარა ისეთ სიმაღლეზე, როგორც დღეს; მასების კულტურული დონე სულ მაღლა იწევს. ბეჭდვითი სიტყვის საქმე არაჩვეულებრივად გაფართოვდა და გაუმჯობესდა; მეტად გამრავლდა სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებათა რიცხვი, რომელნიც იმყოფებიან სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. ასეთია სურათი კომუნისტების მიერ ქართულ ეროვნულ კულტურის „შევიწროვებისა“.

ასეთივე დიდი ყურადღება ექცევა ჩვენში არსებულ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების და კულტურულ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფას: რა უყოთ, რომ ეს არ მოსწონთ მენშევიკებს, რომელნიც ჯვაროსნულ ომს აწარმოებდენ საქართველოში მოსახლე მცირე ერების წინააღმდეგ. ჩვენი ასეთი პოლიტიკა მათ მიაჩნიათ საქართველოს გაყიდვათ. მაგრამ ეს მხოლოდ მათ შოვინისტურ ბუნებაზე მეტყველებს. ქართველ მშრომელ მასას კი სხვა გზა ვერ წარმოუდგენია, თუ არ ამ უმცირესობათა ეროვნულ ინტერესების სრული უზრუნველყოფა თავის ინტერესებთან ერთად. ასეთ პოლიტიკის შედეგია ნაციონალურ მშვიდობიანობის, ხალხთა მტკიცე სოლიდარობა და მათი ძმური თანამშრომლობის განხორციელება, რაც საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი პოლიტიკური მიღწევაა და გამომდინარეობს მისი ბუნებიდან.

კომუნისტური მთავრობა ქვეყნის ეკონომიკის, მის მატერიალური დოვლათის გამანიავებელია? აბა რა პირით უნდა ილაპარაკონ ასე მენშევიკებმა, რომელთაც თვითონ აღიარეს თავის ბატონობის მიწურულში, რომ მათ ეკონომიურ კატასტროფამდე მიიყვანეს რესპუბლიკა. საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობას, მიუხედავათ დაშლილ სახალხო მეურნეობისა, რომელიც მენშევიკებისაგან მემკვიდრეობათ გადმოგვეცა, მიუხედავათ ათასგვარ მატერიალურ და სხვა გვარ დაბრკოლებებისა, რომელთა შორის მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას არა უკანასკნელი ადგილი უკავია,—ეკონომიკის ყოველ დარგში ჩვენ მივაღწიეთ ფრიად თვალსაჩინო წარმატებებს.

რევოლიუციონური წესით აგრარული რეფორმის ჩატარების და სამრეწველო დარგების ნაციონალიზაციის შემდეგ ჩვენ შევუდექით სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის აღორძინებას ფართე მასშტაბით. რომელი დარგიც უნდა აიღოთ, შედარებაც არ შეიძლება მენშევიკების დროსთან: ისე შორს წავიწიეთ წინ.

რა თქმა უნდა, 5 წელი დიდი დრო არ არის იმისათვის, რომ გაგვეკეთებია ყველაფერი ის, რაც სასურველი იყო, მით უმეტეს, ისეთ მძიმე პირობებში, რომლებშიც გვიხდებოდა მუშაობა. მაგრამ ფართე სოციალისტურ მშენებლობისათვის ჩაყრილია მკვიდრი საძირკველი. 5 წლის განმავლობაში შესრულებული მუშაობა და ხალხის გამოულეველი შემოქმედებითი ენერგია, რომელიც სამოქმედოდ გააღვიძა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, სრულ გარანტიას იძლევა, რომ მომავალში უფრო ჩქარი ნაბიჯებით წავალთ წინ დასახული მიზნებისაკენ, დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, საბჭოთა კავშირის მფარველობის ქვეშ და კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით. ამაში ღრმად დარწმუნებულნი, გადავდივართ განახლებულ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს არსებობის მეექვსე წლიწადში.

მილოცვები

ამხ. კალინინი—საქართველოს მუშებს და გლეხებს

თბილისი, კომუნისტის რედაქციას

25 თებერვალს სრულდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის ხუთი წლისთავი.

5 წლის წინად საქართველოს მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხვეს თავიანთი თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის ბატონობა და მოიგერიეს საერთაშორისო იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყოველგვარი თავდასხმა საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

5 წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელები აშენებენ სოციალისტურ რესპუბლიკას, დაამყარეს რა მათ მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან და შექმნეს მშრომელთა დიდი კავშირი—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი—საერთაშორისო პროლეტარიატის სიამაყე, იმედი და საყრდენი.

მნიშვნელოვან წარმატებებს, რომელიც მიღწეულია ამ ხნის განმავლობაში, მშრომელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დარგში, თვით მტრებიც ვერ უარყოფენ. დღითი-დღე იზრდება საქართველოს პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერება, ვითარდება ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქართველი ხალხის ეროვნული კულტურა, იქმნება და მტკიცდება ახალი ყოფა-ცხოვრება, იზრდებიან მშრომელთა ნამდვილი დემოკრატიის და სოციალიზმის ელემენტები.

საქართველოს მუშათა და გლეხთა დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის 5 წლისთავზე განთავისუფლებულ ქართველ ხალხს ვუძღვნი გულწრფელ სალამს და ვუსურვებ შემდეგ წარმატებას ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცების საქმეში და მშრომელთა შემდეგ გამარჯვებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ფრონტზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მშრომელებთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე.

ჩემი გულწრფელი სალამი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მუშებს და გლეხებს.

მ. კალინინი.

[illegible] 24 თებერვალი.

ამხ. რიკოვისაგან

მოსკოვი, 24 თებ. რიკოვის მისალმებაში ნათქვამია: „საბჭოთა საქართველოს დიდი მიღწევები აქვს სოციალისტურ აღმშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის მშრომელთ კიდევ დიდი სიძნელენი აქვთ გადასალახავი ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მთავარი დაბრკოლებები უკვე დაძლეულია.

მრწამს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ძლიერი კავშირი დაამთავრებს ოქტომბრით დაწყებულ საქმეს, და ევროპისა და აზიის საზღვარზე საბჭოთა კავკასია და საქართველო იქნებიან სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციის მაგალითი“.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ელიავას

საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარების 5 წლისთავზე სომხეთის სახ. კომისართა საბჭო მხურვალე ძმურ სალამს უგზავნის მუშურ-გლეხურ საქართველოს. საქართველოში მენშევიკურ ძალა-უფლების დამხობასთან ერთად დაემხო ამიერ-კავკასიის კონტრრევოლიუციის უკანასკნელი საყრდნობი, რომელიც იმპერიალისტურ მსოფლიოს ემსახურებოდა. განთავისუფლებული მუშურ-გლეხური საქართველო ენერგიულად შეუდგა ქვეყნის აღდგენას და მის 5 წლის მეცადინეობას ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა. დღეს თქვენთან ერთად ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ მიღწევებს და გამოვსთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა საქართველოს ეკონომიური და კულტურული მშენებლობა ისევე ჩქარის ტემპით იწარმოებს, როგორც წარსულ 5 წლის განმავლობაში. საქართველოს მუშათა და გლეხთა განუსაზღვრელი ერთგულება სოციალისტურ მშენებლობის დიად საქმისადმი, ამიერ-კავკასიაში გამეფებული ძმური ატმოსფერა, ამიერ-კავკასიის და დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობა—ყველაფერი ეს იძლევა შემდეგ მიღწევათა გარანტიას. ასეთ პირობებში საშიში აღარ არის იმპერიალისტების და მათი მსახურების, მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების შეთქმულება.

მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა მთლიანმა რევოლიუციონურმა ნებისყოფამ ჩაფუშა და მომავალშიაც ჩაფუშავს საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრების ყველა გაიძვერულ გეგმებს. ფოლადის ერთიანი ფრონტით ჩვენ მივდივართ სოციალისტურ მშენებლობის გზაზე ლენინიზმის დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საქართველოს!

გაუმარჯოს მის ბრწყინვალე კომუნისტურ მომავალს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

საქართველოს ცაკს

აზერბეიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აზერბეიჯანის მუშების და გლეხების სახელით, მხურვალეთ ესალმება რა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავს, უძღვნის ძმურ სალამს საქართველოს მშრომელებს და უსურვებს მათ წარმატებას სოციალისტური მშენებლობის საფუძვლების გამაგრების და მშრომელთა ხელისუფლების ყოველმხრივ განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს! გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდ კავშირს!

აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**

საქართველოს მთავრობას და ხალხებს

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მშრომელი საქართველოს ოქტომბრის რევოლიუციით ზიარების ხუთი წლის თავზე სალამს უძღვნის საქართველოს მთავრობას და ხალხებს. ჩვენ სიხარულით და სიამაყით აღვნიშნავთ იმ მნიშვნელოვან მიღწევებს, რომელიც მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა წყობილების პირველი ხუთი წლის განმავლობაში. საბჭოთა ხელისუფლებით მოვლინებული ეროვნული ზავი, საქართველოს მთავრობამ და მშრომელ ხალხმა გამოიყენა დაუღალავ და ნაყოფიერ კულტურულ და სამეურნეო შემოქმედებისათვის. ეს მიღწევები ერთ და იმავე დროს ამაგრებენ ძმურ კავშირს ამიერ-კავკასიის და მათთან ერთად რევოლიუციონურ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის.

წავალთ რა ამ გზით, ჩვენ [illegible] მთელ მსოფლიოს ხალხთა ჭეშმარიტ ძმურ თანამშრომლობის და სოციალიზმის ერთსულოვან აღმშენებლობის მაგალითს. ჩვენს რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე, იქვე არ არის, მივაღწევთ შრომის, ბრძოლის და აღმშენებლობის სრულსა და საბოლოო გამარჯვებას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

დაე, მუდმივი მიღწევები იყოს მისი ხვედრი საუკეთესო მომავლისაკენ ლტოლვაში.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდ. მოადგილე
დ. გუსეინოვი.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ელიავას

აჭარისტანის მშრომელი ხალხის სახელით ვულოცავ საქართველოს ხუთი წლისთავს. ხუთი წლის [illegible] თებერვალს, საქართველოს მშრომელმა ხალხმა, მუშებმა და გლეხებმა, უარი განაცხადა თავად-აზნაურობის, ბურჟუა-კაპიტალისტების, მენშევიკების საქართველოზე და საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, გამოაფინა წითელი დროშა, როგორც შრომისა და თავისუფლების ემბლემა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მეხუთე წლისთავზე თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ხელისუფლების და მშრომელი ხალხის ერთსულოვანებით იზრდებაქართველი მუშისა და გლეხის ეკონომიური და კულტურული ძალები და სახელმწიფოს ყოველივე დარგში განხორციელებულია მათი ხელმძღვანელობა და კონტროლი. აჭარისტანის მშრომელთათვის საქართველოს მუშებისა და გლეხების საკითხია. საბჭოთა საქართველოს ფარგლებში მისი ხელმძღვანელობით ხდება აჭარელი მშრომელი მასის წარმატება ნებაყოფლობითი საფუძველზე. საბჭოთა საქართველომ მენშევიკებთან ერთად მოსპო მათ მიერ გამეფებული ნაციონალური შუღლი, კაციჭამობა და დაამყარა ხალხთა შორის ნამდვილი ძმობა—თანასწორობა.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს მუშებისა და გლეხების ბრწყინვალე მომავალს!

აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:
ხ. ლორთქიფანიძე.

სამხედრო აკადემიისაგან

ტოლმაჩევის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის მსმენელები—კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ყოფილი პოლიტმუშაკები გილოცავთ თქვენ მენშევიზმის განადგურების ხუთი წლის თავს.

გაუმარჯოს საბჭოთა ამიერ-კავკასიის! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელთ!

მონდობილობით: **ბოგუჩევ, ბარანი, მამულოვი, კულუშკინი, რაუდენსტვენსკი.**

საქართველოს ცაკს

საბჭოთა აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აფხაზეთის მუშებისა და გლეხების სახელით მხურვალე სალამს გიძღვნისთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 5 წლისთავზე. ხუთი წლის წინად საქართველოს მუშებმა და გლეხებმა სამუდამოთ მოიშორეს მენშევიკების ბატონობა და დაუღალავი შრომით, მტკიცე და გაბედული ნაბიჯით მიდიან სოციალისტური აღმშენებლობის გზით.

გაუმარჯოს ძმურ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე
ს. ჩანბა.

საბჭოთა საქართველო და წითელი არმია

(ხუთი და რვა წლისთავის გამო)

5 წლის წინად, სახელდობრ 1921 წლ. 25 თებერვალს მენშევიკურ-თავად-აზნაურულ საქართველოში დამყარდა საბჭოთა წესწყობილება. 8 წლის წინად, სახელდობრ 1918 წლ. 23 თებერვალს, მეფის ძველ დაშლილ რეგულიარულ არმიის ადგილზე წარმოიშვა ახალი კლასიური მუშურ-გლეხური და მასთან ერთად ინტერნაციონალური **რეგულიარული არმია, საბჭოთა ხელისუფლების,—ჩვენი ძლევამოსილი, გმირული წითელი არმია.**

ორივე წლისთავის თარიღი დღისა და თვის მიხედვით თითქმის ერთმანეთს ხვდება—25 და 23 თებერვალი. ამ ორივე წლისთავს საქართველოს მუშები და გლეხები ერთად დღესასწაულობენ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, წლების მიხედვით პირველი ორგანიზაციის—**წითელი არმიის** დაარსების თარიღი—1918 წლის 23 თებერვალი უფრო ძველია და ასე ვსთქვათ უფრო მნიშვნელოვანიც, ვიდრე **საქართველოში** საბჭოთა წესწყობილების დამყარების—1921 წლ. 25 თებერვალი. მით უფრო ეს სწორია, რომ უკანასკნელი, ე. ი. საქართველო საბჭოთა წესწყობილების დამყარებისათვის უნდა უმადლოდეს სწორედ წითელ არმიას. ამიტომ ჯერ ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა **უკანასკნელზე** და შემდეგ შევეხოთ მეორეს, ე. ი. საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარებას.

* * *

წითელი არმიის პირველ უჯრედს, ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, წითელი არმიის წინამორბედს წარმოადგენდენ ლენინგრადის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკის და სხვ. წითელი გვარდიელები. მათ დაიპყრეს საბჭოთა ხელისუფლება 1917 წ. ოქტომბერ-ნოემბრის დღეებში.

რამდენადაც ჩვენი პარტია—საკავშირო კომპარტია, ილიჩის მეთაურობით, ხელმძღვანელობას უწევდა პირველ ძლევამოსილ პროლეტარულ (ოქტომბრის) რევოლიუციას, ლენინგრადის და მოსკოვის (და აგრეთვე ივანოვო-ვოზნესენსკის და სხვ.) მუშა-მებრძოლების ამ ავანგარდს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უწოდოთ ირეგულიარული ნაწილები. მაგრამ შედარებით ისინი იყვნენ მრავალრიცხოვანი და მათ არ ჰქონდათ შესწავლილი სამხედრო ტაქტიკის და სტრატეგიის ყველა საჭირო დეტალები. მათ შეეძლოთ მოეხდინათ გმირობის „სასწაულები“ და გამოეჩინათ უდიდესი თავდადება. წითელი გვარდიელები საკმარისი იყვნენ ადგილობრივ კონტრ-რევოლიუციონერ მემამულეების და ბურჟუების წინააღმდეგ, რომლებსაც ხელმძღვანელობდენ ესერები და მენშევიკები. მაგრამ, როდესაც საბჭოთა ქვეყანას ყოველ მხრიდან დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ცეცხლის რკალივით შემოერტყა საერთაშორისო იმპერიალიზმი ეხლანდელ ანტანტის სახით, მაშინ საჭირო იყო არა მარტო ათეული ათასი გმირი, არამედ ასეული ათასი და მილიონი მებრძოლები. ამისათვის საჭირო იყო სამხედრო საქმის სპეციალური ორგანიზაცია, დიდი და რეგულიარული ორგანიზაცია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მეფის, ესერების და მენშევიკების მიერ განადგურებულ და ალყა-შემორტყმულ ქვეყნისათვის. პროლეტარული რევოლიუციის გენიალურმა ბელადმა ამხ. ლენინმა მთელ თავის პარტიასთან ერთად კარგად გაითვალისწინა, რომ ძალას ძალა უნდა დაუპირდაპირდეს.

სახელდობრ: იმპერიალისტურ კონტრ-რევოლიუციონურ ჯარებს, რომლებსაც აქვთ ძლიერი ტეხნიკა და მყავთ გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელები, მუშურ-გლეხურმა ქვეყანამ, საბჭოთა რესპუბლიკამ უნდა დაუპირდაპიროს თავისი რეგულიარული არმია და შეძლებისდაგვარათ შესაფერი ტეხნიკა და სამხედრო საქმის კარგი სპეცები.

აი ამაში მდგომარეობს დეკრეტის აზრი რვა წლის წინად—1918 წლ. თებერვალში წითელი არმიის ორგანიზაციის შესახებ.

და მან ბრწყინვალედ გაამართლა იმედები, ჩვენი დიდი კავშირის ყველა ერთა და ყველა ხალხთა მუშათა და გლეხთა მართლადაც გმირულმა წითელი არმია უსაშინლეს პირობებში, როდესაც მას არ ჰქონდა პური, ტანთსაცმელი და იარაღი, ერთსა და იმავე დროს იგერიებდა და უნდა ვსთქვათ სამუდამოთაც მოიგერია საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველა ყაჩაღები ჩრდილოეთითაც, სამხრეთითაც, დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც. ეს კიდევ ცოტაა. საბჭოთა რუსეთის გმირულად დაცვის შემდეგ, ჩვენი კავშირის სხვადასხვა ხალხთა და ერთა ჩაგრულ და მებრძოლ ძმების—მუშების და გლეხების მოწოდებით ჩვენი გმირული წითელი არმია მოკლე ხანში გადიოდა ათასი ვერსის მანძილს, გადადიოდა მთებზე და ველებზე, გერმანიიდან ურალზე ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთამდე, ბელორუსიაზე და უკრაინაზე—დაღუპვის პირას მიმდგარ კავკასიაში და შემდეგ ორენბურგზე გავლით—ტაშკენტში და სხვაგან **რევოლიუციის საქმის, პროლეტარულ რევოლიუციის, დიდი „ოქტომბრის“ მონაპოვართა დასაცავათ.** იგი ამხნევებდა მებრძოლებს და თავისი სისხლით იცავდა მათ თავისუფლებას. აი, საიდან შეიქნა სოციალისტურ რესპუბლიკების ჩვენი დიდი კავშირი...

ჩემი მხურვალე სალამი ამ მერვე წლისთავზედაც ჩვენ სახელოვან წითელ არმიას. მხურვალეთ უსურვებ მას კიდევ მეტი ენერგიით და მეტი ენტუზიაზმით იაროს იმავე გზით, დიდი ლენინის გზით და მოესწროს ჩქარა სხვა ქვეყნებშიაც საბჭოთა ქვეყნების გარედ ისეთივე არმიების ორგანიზაციას, როგორიც თვითონ არის,—**რათა მათთან ერთად ბოლო მოუღოს საზიზღარ და გახრწნილ კაპიტალიზმს და მის თანამედროვე თავხედურ-მტა-**

საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელებისადმი

დღეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარების 5 წლის თავზე, თქვენ ამიერიდან და სამუდამოდ განთავისუფლებულ საქართველოს მშრომელებო, დღეს მოგმართავს მხურვალე სალამით ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც გამოხატავს მთელი ამიერ-კავკასიის მრავალ მილიონიან მუშების და გლეხების ნებისყოფას. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 5 წლის განმავლობაში თქვენ საშუალება გქონდათ თვალსაჩინოთ დაგემტკიცებინათ, თუ რა დიდი წარმატებათა მიღწევის უნარი აქვს საბჭოთა სახელმწიფოს. ამ წლების განმავლობაში მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტრები განუწყვეტლივ თავს ესხმოდენ გარედან ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას; აქ მათ თავდასხმებს ხელს უწყობდენ სოციალურ რევოლიუციისაგან გარიყული ელემენტები. მაგრამ თქვენ, გმირული ძალ-ღონით, შინაურ და გარეშე დაბრკოლებათა გადალახვით დაანახვეთ მთელ მსოფლიოს, რომ უკიდურესად კრიტიკულ პირობებშიაც კი თქვენ შეგიძლიათ შეუწყვეტელი მუშაობა თქვენი სახელმწიფოს, მშრომელთა სახელმწიფოს, განსამტკიცებლად და ასაყვავებლად.

წითელი საქართველოს ამხანაგო მუშებო და გლეხებო! თუ გადახედავთ განვლილ გზას, თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ მიღწეული შედეგებით. უდიდესი მატერიალური და მორალური მიღწევანი — ეროვნული კულტურის ყოველი დარგის განვითარება, სახალხო განათლების საქმის ფართოდ დაყენება, ძლიერი ჰიდროელექტრონული სადგურები, სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის აღორძინება — ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ თქვენი ხელისუფლების, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რომელმაც უზრუნველჰყო ზავი მეზობლებთან და რომელმაც განთავისუფლა საქართველო უცხოეთის კაპიტალისტების და მათი ადგილობრივ მსახურთა განუყოფელ გავლენისაგან.

ეხლა 5 წლის ბრძოლის და წარმატებათა შემდეგ, თავის არსებობის მეექვსე წელში გადასვლისას, საბჭოთა საქართველო, ამიერ - კავკასიის მეზობლებთან და საბჭოთა სოციალურ რესპუბლიკების დიდ კავშირში შესულ ყველა თავისუფალ რესპუბლიკებთან ძმურ კავშირის ნიადაგზე, დამშვიდებით და მტკიცეთ შეჰყურებს მომავალს, რადგან იცის, რომ მისი არსებობის ყველაზე მძიმე წლები უკვე განვლილია. თქვენ აირჩიეთ რა ეროვნული სოლიდარობის და კლასიური განთავისუფლების გზა, რომელიც გიანდერძათ მთელი ჩაგრული კაცობრიობის უდიდესმა ბელადმა ვ. ი. ულიანოვმა - ლენინმა, წითელი საქართველოს ამხანაგო მუშებო და გლეხებო, გამოხვედით სწორ გზაზე, რომელსაც მიყავხართ თქვენ სოციალიზმ - კომუნიზმის სამეფოსაკენ. მშვიდობიან, შემოქმედებით მოღვაწეობაში, ენერგიულ მუშაობით საბჭოებში, ახალ ყოფა - ცხოვრების მშენებლობაში, თქვენ მოუპოვებთ ბედნიერებას და აყვავებას ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთათვის ძვირფას წითელ საქართველოს.

გაუმარჯოს წითელ საქართველოს მუშებს და გლეხებს!

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ერთობას!

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — **ს. ხანოიანი.**
ამიერ - კავკასიის ცაკ-ის მდივანი—**ა. შავერდოვი.**
1926 წ. 25 თებერვალი.
თბილისი, სასახლე.

ცეგლურ და ცინიკურ-მხეცურ ფორმა—რეაქციონულ იმპერიალიზმს. ძირს იგი!

გაუმარჯოს საერთაშორისო წითელ არმიას!

გადავიდეთ ჩვენი შენიშვნის მეორე მთავარ თემაზე—**საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე.**

იგი მოხდა აგრეთვე თებერვლის დღეებში, მხოლოდ სამწუხაროდ არა 1918 წელს, ან 1919, ან 1920 წელს, არამედ მხოლოდ 1921 წელს. რატომ ასე გვიან? ეს დიდი საკითხია, რომლის დაწვრილებით გარკვევა ჩვენ აქ არ შეგვიძლია.

ვიტყვით მხოლოდ, რომ საქართველო [illegible] მჭიდროთაა გადაბმული ჩრდილოეთ კავკასიასთანაც და ამიერ-კავკასიის ფედერაციის სხვა ნაწილებთანაც—აზერბეიჯანთან და სომხეთთან, მას აქვს გასავალი შავ ზღვაში (ბათომიდან და ფოთიდან), რომელიც აკავშირებს მას მთელით ევროპასთან.

აი, ამიტომ იმპერიალისტებმა, მენშევიკების დახმარებით და ამ უკანასკნელებმა იმპერიალისტების დახმარებით შესძლეს ასე დიდხანს გაეწიათ წინააღმდეგობა მუშათა და გლეხთა ნებისყოფისთვის. 1917 წლის დამლევიდან საქართველოს მუშათა და გლეხთა ავანგარდი იბრძოდა თითქმის სრულიად შეუიარაღებელი და დაურაზმავი იმპერიალისტების [illegible] სხვა ელემენტების წინააღმდეგ.

მაგრამ 1921 წ. თებერვალში—უკვე საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, აზერბეიჯანში და სომხეთში, საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ, შეიქმნა სულ სხვა პოლიტიკური მდგომარეობა. ამ დროს უკვე ეკონომიურად და პოლიტიკურად გაკოტრებული ქართველი მენშევიკები, რომლებიც მიატოვეს იმპერიალისტებმაც და მე-2 ინტერნაციონალმაც, კაუცკითურთ,—გონივრულად უნდა მოქცეულიყვნენ და შერიგებოდენ 8 წლის განმავლობაში მათ წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს რევოლიუციონურ მუშებს და გლეხებს, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევდით ჩვენ—კომუნისტები, და ჩაებარებიათ, თუ არა ძალა-უფლება, თავისი პოზიციები მაინც, შეეცვალათ თავისი პოლიტიკა, თავისი რეჟიმი და ნებაყოფლობით გადასულიყვნენ მუშურ-გლეხურ საბჭოთა სისტემაზე.

მით უმეტეს ეს ადვილი იყო თბილისში და საერთოთ საქართველოში, სადაც ქართველ მუშების და მოწინავე გლეხების მასები უკვე იცნობდენ საბჭოების ორგანიზაციას ჯერ კიდევ 1917 წლ. თებერვლიდან, როდესაც პირველად მოეწყო ყველგან მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

ჩვენი გენიალური ბელადი ილიჩი სწორედ ასე ურჩევდა მათ, მშვიდობიანობის გზით და უმტკივნეულოთ შეეცვალათ ცრუ-დემოკრატიული რეჟიმი სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნებით და შეეწყვიტათ საქართველოს კომუნისტების და რევოლიუციონურ მუშათა და გლეხთა დევნა. მაგრამ ქართველი მენშევიკები ჟორდანიას, ჩხეიძის, წერეთლის და სხვების მეთაურობით მორალურ-პოლიტიკურად და, მაშასადამე, მორალურ-ინტელექტუალურადაც აღმოჩნდენ უგუნურები და მათ ვერ გამოიჩინეს უნარი გარკვეულიყვნენ საერთაშორისო მდგომარეობის ურთულეს პირობებში. აღარ იზიარებდენ რა მშრომელთა—მუშების და [illegible],—ქართველმა მენშევიკებმა [illegible] იწყეს სამშობლოსათვის, საქართველოსათვის „მებრძოლთა“ როლის თამაში და ვერ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ დიდი ოქტომბრის და დიდ სამოქალაქო ომის შემდეგ ჩრდილოეთში და საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ჩრდილოეთ კავკასიაში, აზერბეიჯანში და სომხეთში,—არ შეიძლებოდა მუშურ-გლეხური ქართველი ხალხის მეტი მოტყუება.

და, აი, ორი-სამი ათეული ათასი გვარდიელის და თავად-აზნაურთა შვილების საშუალებით ბრძოლის შემდეგ, 1921 წ. თებერვლის დღეებში, 2-3 კვირის განმავლობაში, ისინი განდევნილი იქნენ მთელ საქართველოდან და მცირე ჯგუფით გაიქცენ იმპერიალისტურ, კონტრ-რევოლიუციონურ ნადმონხების დახმარებით კონტრ-რევოლიუციონურ დასავლეთ ევროპაში თავიანთ დამქირავებლებთან.

რევოლიუციონურ ქართველ ხალხის ძლიერება ჩრდილოეთის მუშათა და გლეხთა მოძმე წითელი არმიის დახმარებით გამოაშკარავდა აქ მთელი თავისი სიცხადით.

სულგრძელმა გამარჯვებულებმა,—საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, განამტკიცეს რა საბჭოთა ხელისუფლება თავიანთ ქვეყანაში, ორი სპეციალური დეკრეტით აპატიეს მათ წარსული... მაგრამ იმათ, ალბათ, შეეშინდათ იმის, რომ საშინლად დასცინოდენ და ატყუებდენ „თავის“ ხალხს წარსულში, არ დაიჯერეს ეს და წავიდენ. ჩვენ უთხარით „გზა მშვიდობისა! უთქვენოდაც გავძლებთ“: და როგორც მთელი ქვეყანა ხედავს, მიუხედავათ მათი ინტრიგებისა საზღვარგარეთიდან, მიუხედავათ 1924 წ. აგვისტოს დღეებისა, ჩვენ მივდივართ წინ სახალხო მეურნეობის აღორძინების გზაზე და ჩვენ პოლიტიკურად და იდეურათ განუყოფელად გაერთიანებული ვართ ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხებთან ერთიან ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედერატიულ რესპუბლიკაში, და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირში. ამავე დროს შენარჩუნებული გვაქვს სრული თავისუფლება, დამოუკიდებლობა ჩვენი ენის, ეროვნული კულტურის და ქალაქის და სოფლის გაერთიანებულ მუშურ-გლეხური ხალხის ყოველგვარ კეთილდღეობის დარგში. ისინი კი, ე. ი. ქართველ მენშევიზმის ბელადები ლონდონის, პარიზის და დასავლეთ ევროპის სხვა ქალაქების ბნელ შესახვევებში, დაჰკარგეს რა იმ მუშების უმნიშვნელო რიცხვი, რომლებიც მათთან ერთად მოხვდენ ემიგრაციაში,—გადაიქცენ ნამდვილ აფერისტებათ და მოჩხუბარ-ავარებათ, უკანიდან ეპარებიან თავიანთ გუშინდელ თანამოაზრეებს, რომლებიც დღეს გამოფხიზლდენ სულელურ მენშევიზმის ბურუსიდან, **რათა დანა ჩასცხონ მათ ზურგში,** ან ჩემბერლენებს და სხვებს სტყუებენ გროშებს ხელახალ სისხლის ღვრის მოსაწყობათ, რომლის წარმატებაშიაც თვითონაც არ არიან დარწმუნებული.

იმის თქმა, რომ ისინი კაინები, ან იუდებია—ცოტაა; ეს არ იქნება სწორი და სამართლიანი იმ კაინისა და იუდას მიმართ, რომელნიც უხსოვარ წარსულში შექმნა ხალხის ფანტაზიამ.

ქართველ მენშევიკებთან—რამიშვილთან, ჟორდანიასთან, ჩხეიძესთან და ტყუილ-უბრალოთ მოხეტიალე ჯგუფთან შედარებით იუდა და კაინი უფრო კეთილშობილი და სიმპატიური ადამიანებია. მე ვლაპარაკობ, რომ ისინი უფრო „სიმპატიური“ და მისაღები არიან ჩვენი მორალისათვის, მონანიებული იუდა—რომელმაც (ხალხური ლეგენდით) თავი ჩამოიხრჩო, დაუბრუნა რა თავის დამქირავებლებს 80 ვერცხლი, რისთვისაც ვითომდა მან გაჰყიდა თავისი საყვარელი მასწავლებელი.

ქართველმა აზნაურებმა—მენშევიკებმა—ჟორდანიამ, წერეთელმა, ჩხეიძემ და სხვებმა არც მოინანიეს და არც დაუბრუნეს ხალხს გატაცებული ქონება, რომელსაც ისინი ფლანგავენ პარიზის, ლონდონის და სხვა ქალაქების კაფე-შანტანებში.

დეე, ასე იყოს! დეე, ისინი, ეს პატარა კაცუნები, რომლებიც თავის თავს უწოდებენ გმირებს, ერთ დროს თავს უწოდებდენ ქართველებს, ქართველ სოციალისტებს, დაიღუპონ ისტორიაში!..

ძირს ისინი ყველა მათი დამქირავებლებით!

გაუმარჯოს ამ მეხუთე წლისთავზედაც ჩვენს საბჭოთა სოციალისტურ მუშურ-გლეხურ საქართველოს!

გაუმარჯოს მის განუწყვეტელ ერთობას ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხებთან სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან ძლიერ კავშირში!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა [illegible] პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელს—საკავშირო კომპარტიას!

გაუმარჯოს კომინტერნს, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ამ წინამძღოლს და იმპერიალიზმისაგან ჩაგრულ აღმოსავლეთის, აზიის, აფრიკის და ავსტრალიის ხალხების მხსნელს და ხელმძღვანელს!

გაუმარჯოს კომუნიზმს — მარქსიზმს—ლენინიზმს!

მიხა ცხაკაია.

ხუთი წელი

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მოიშორეს თავიდან ევროპის იმპერიალისტებისა და მათი ადგილობრივი დამქაშების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

ხუთი წელი საკმაო დროა, რომ ჯამი გაუკეთოთ ჩვენს პოლიტიკურსა და ეკონომიურ მიღწევებს, რომ ერთხელ კიდევ დავანახოთ ჩვენს მტერმოყვარეთ, თუ რის გაკეთება შესძლებია მშრომელთა ძლიერ ნებისყოფას.

რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა იმ დროს, როცა აქ „მოღვაწეობდენ“ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები? რა მდგომარეობაში ჩააყენეს მათ სახელმწიფო?

1917 წლიდან 1921 წლის დასაწყისამდე საქართველო იყო ეროვნულ შუღლის და ანტაგონიზმის კლასიკური ქვეყანა. ეს იყო ამ პარტიების პოლიტიკის შედეგი.

მენშევიკური პარტიის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში ეხლაც თვალწინ გვიდგას. გაიხსენეთ ოსეთის ამბები. ამ ჩაგრულმა ერმა მოითხოვა 1920 წელს კულტურული ავტონომია: საკუთარ ენაზე მართვა-გამგეობა, შვილების აღზრდა მშობლიურ ენაზე, მოითხოვეს აგრეთვე მემამულეთაგან მიწების ჩამორთმევა და ღარიბგლეხ-კაცობისთვის გადაცემა.

რით უპასუხეს მენშევიკებმა ამ სამართლიან მოთხოვნებზე? ცეცხლს და ქარს მისცეს მათი სარჩო-საბადებელი. სისხლისღვრა დააყენეს ოსეთის ტერიტორიაზე. თოფ-ზარბაზნები შეხვდა მათ რევოლიუციონურ მოთხოვნილებას.

ასეთი ბედი ეწვია აფხაზეთს, აჭარისტანს და სხვებს.

სომხების დევნა საქართველოს ტერიტორიაზე მენშევიკების დროს ხომ საშინელ სურათს წარმოადგენდა. ამას მთელი ომიც კი მოჰყვა, რომელიც თავისი შინაარსით წმინდა იმპერიალისტური ხასიათისა იყო და იმპერიალისტურ მიზანს ატარებდა. ერთის მხრით დაშნაკელები მოითხოვდენ ახალციხე-ახალქალაქის საშუალებით ზღვაზე გასავალ გზას, მეორეს მხრით მენშევიკები მაგრად ებღაუჭებოდენ სომხეთის იმ ტერიტორიას, რომლის მცხოვრებთა 90% სომხებისაგან შესდგებოდა (ლორის რაიონი).

ასეთივე ხასიათი ჰქონდა ბრძოლას აზერბაიჯანთან და სხვებთან ყველა [illegible] აქ ჩამოთვლა ზედმეტია. რადგან მკითხველისათვის ჩამოთვლილიც საკმაოა მაშინდელ მესვეურთა „მოღვაწეობის“ დასაფასებლად.

საბჭოთა ხელისუფლებამ ძირიანფესვიანათ აღმოფხვრა მენშევიკების უსამართლობა და მათ მიერ ერებს შორის დათესილი შუღლი და მტრობა. ის, რაც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ წვრილ ერებმა, რომელთაც მრავალი მსხვერპლი გაიღეს მენშევიკური ხელისუფლების დროს, ვერ მიიღეს ვერც თხოვნით და ვერც ბრძოლით, საბჭოთა ხელისუფლებ[illegible] ნამდვილად. დღეს ამ განთავისუფლებულ ერთა მშრომელნი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მმართავენ თავიანთ კუთხეებს ისე, როგორც ამას მათი ეროვნული ინტერესები მოითხოვს.

საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ საბჭოთა კავშირის თანდათანი განმტკიცება ამ ხუთი წლის განმავლობაში. 1917 წლიდან დაწყებული უკანასკნელ წლებამდე ბურჟუაზიული მთავრობები არა თუ გვცნობდნენ, არამედ ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დღეები დათვლილია და ზედმეტად სთვლიდენ ლაპარაკსაც კი ჩვენთან. მაგრამ დღეს, როდესაც მათ თვალნათლივ დაინახეს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე, მისი უნარი სახელმწიფო მმართველობის საქმეში, არა თუ ლაპარაკი მოისურვეს,—ბევრმა მათგანმა იურიდიულადაც კი გვიცნო და საბჭოთა კავშირთან ალებმიცემობის ხელშეკრულება დასდო.

მეორე ინტერნაციონალი, რომლის აზრიც საბჭოთა ხელისუფლების შესახებ არ განსხვავდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აზრისაგან, პრესის საშუალებით და სხვა გზით დღემდე განაგრძობს კამპანიას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. იგი საზღვარგარეთელ მშრომელთ დღემდე უნერგავს მტრობას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ამით ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები. მაგრამ, მიუხედავათ ასეთი კამპანიისა, ჩვენ უკვე დიდი ხანია მოწმენი ვართ საზღვარ-გარეთის მუშათა კლასის აშკარა სიმპატიისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ამ სიმპატიის უტყუარი მაჩვენებელია მუშათა ის მრავალრიცხოვანი დელეგაციები, რომელნიც ჩვენი ქვეყნისკენ მოილტვიან, თავიანთი თვალით ეცნობიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეს და მუშაობის ყოველ დარგს და ამ გზით შეგროვილი მასალით ბრუნდებიან უკან. ისინი აშკარათ რწმუნდებიან თავიანთ ბელადების სიცრუეში და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტატორებათ გამოდიან. რამდენათაც უფრო მეტი დელეგაცია გვესტუმრება, იმდენათ უფრო ძლიერათ შეირყევა დამპალი ბოძები კაპიტალისა, რომლის დამცველებადაც გამოდიან ხავსმოკიდებული მეორე ინტერნაციონალის ბელადები. მალე ამ მეორე ინტერნაციონალს კაპიტალისტური სატლავის გვერდით მოუხდება განსვენება. გრძნობს რა ამას, იგი ყოველი ღონით ხელს უშლის საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მომავალ დელეგაციებს, სოც.-დემოკრატიულ პარტიის წევრებს, რათა მენშევიკურ პარტიებს თავიდან აიცილოს ის ბედი, რომელიც მათ საქართველოში ეწვია.

ეს ბედი-კი მეტად და მეტად მწარე იყო. საქართველოში მათ 1923-25 წლის განმავლობაში დაჰკარგეს საბჭოთა ხელისუფლებას მიემხრენ 24.000 საუკეთესო მუშა, რომელნიც და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტურ აღმშენებლობას შეუდგნენ.

ყოველივე ეს საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს პოლიტიკურ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

ნაკლები მიღწევა არც ეკონომიურ დარგში გვაქვს. ასეთ მიღწევას წარმოადგენს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპით აღორძინება. ორივე ეს დარგი ძალზე განადგურდა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის დროს და თუ დღეს, რამოდენიმე წლის შემდეგ, სულ სხვა სურათს ვხედავთ, ის უნდა მიეწეროს ჩვენ დაუღალავ შრომას და საქმის უნარს.

[illegible] შეეხება საქართველოს და უფრო [illegible]

ავიღოთ მენშევიკური მთავრობის მიერ დატოვებული ტრანსპორტი, რომელიც ფოთიდან დაწყებული ბათომამდე მენშევიკებმა პოზიციებიდან გაქცევის დროს თითქმის სულ ააფეთქეს და გაანადგურეს. ორთქლმავალების და ვაგონების 50% იმდენათ იყო დაზიანებული, რომ გენერალურ შეკეთებას მოითხოვდა. მენშევიკების დროს ტრანსპორტი მთლად დანგრეული იყო. მენშევიკურო მთავრობას, რა თქმა უნდა, მისი აღდგენისთვის არ ეცალა და არც უნარი ჰქონდა ამისა. სათბობი მასალის უქონლობის გამო მატარებლების მიმოსვლა ისე იყო აწეწილი, რომ სამი დღე და ღამე იყო საჭირო თბილისიდან ბათომში ჩასასვლელათ.

დღეს კი ყველა თვალხილულია და [illegible] კი ხედავს, თუ რა წარმატებას მიაღწია ამ დარგში საბჭოთა ხელისუფლებამ: საქმე იმდენათ არის მოგვარებული, რომ რკინისგზის მიმოსვლა ომამდე არსებულ დონემდე ავიდა.

რაც შეეხება მრეწველობას, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ძველ დროსაც ღარიბი იყო, მენშევიკურმა ხელისუფლებამ იგი არ თუ შეინარჩუნა რაც იყო, სულ გააქრო და გაანადგურა რაც ამ მხრივ გვქონდა.

დღეს კი ძველი წარმოებები სავსებით აღდგენილია და ამავე დროს მოწყობილია რამდენიმე ახალიც. მაგალითისათვის არაა საჭირო შორს [illegible] ჩათახის ლითონის ქარხანა, ბათომის ბიდონის ქარხანა და სხვა.

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ შევძელით აგრარული რეფორმის რევოლიუციონურათ გატარება და მიწათ-მოწყობის საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენება, მემამულეთაგან მიწების ჩამორთმევასა და ღარიბ გლეხკაცობისადმი მათი გადაცემის შემდეგ მიღებული იქნა ზომები მათი მაქსიმალურათ გამოყენებისათვის. სარწყავი არხების გაყვანა აქტუალურ კითხვათ იდგა და დგას ჩვენში. დღეს უკვე გაყვანილი არხები რწყავენ 90 ათას დესეტინა მიწას, ხოლო გეგმით ნავარაუდევი არხები კი მორწყავენ 115 ათას დესეტინა მიწას, ეს არხები ახლო მომავალში იქნებიან დამთავრებულნი.

მნიშვნელოვან სამუშაოებიდან მელიორაციის დარგში უნდა აღინიშნოს ტირიფონის და ალაზნის ველების მორწყვაზე წარმოებული მუშაობა. არსებული არხების საშუალებით საქართველოს გლეხობამ მიაღწია 1913 წლის ნათესების სივრცის 90% და გადააჭარბა 1917 (477.000 დეს. უდრიდა) და 1919 წლისას, როდესაც ნათესების სივრცე 522.000 დესეტინას უდრიდა; უკანასკნელ ხანებში კი ეს სივრცე 650.000 დეს. აღემატება.

თუ ავიღებთ ძვირფასი კულტურის ნათესს (თამბაქო ბამბა, და სხვ.), შემდეგ სურათს დავინახავთ: თამბაქოს ნათესების სივრცემ (თამბაქო საქართველოს ზოგიერთი კუთხის გლეხობისათვის დიდი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს: მეთამბაქოობა საშინლად დაეცა 1917-20 წლებში) დღეს უკვე ომამდე არსებული ნორმის 80%-ს მიაღწია.

ასეთსავე სურათს იძლევა ბამბის ნათესების სივრცე 1913 წელთან შედარებით, ხოლო თუ ავიღებთ 1917 წელს, დღევანდელმა სივრცემ ამ დარგში ხუთჯერ გადააჭარბა მაშინდელს.

რაც შეეხება აბრეშუმის კულტურას, უკანასკნელმა ბევრათ გადააჭარბა 1913 წლ[illegible] ნორმას.

ასეთივე მიღწევებია სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში (ჩაის კულტურა, მევენახეობა და სხვა).

რაც შეეხება თბილისს, მთავარ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგება, რომელიც [illegible] შემოდგომისათვის სავსებით დამთავრებული იქნება. მთელი სადგური თბ. აღმასრულებელ კომიტეტს უჯდება თექვსმეტი მილიონი მანეთი.

თბ. კომუნალურ მეურნეობას დაწვრილებით არ შევეხები, ვიტყვი მხოლოდ ორიოდე სიტყვას. 1921 წელს ჩვენ ჩავიბარეთ 25 ტრამვაის [illegible], ეხლა კი მათი რიცხვი უდრის 127-ს. ტრამვაის ლიანდაგი, რომელიც 1921 წელს კატასტროფიულ მდგომარეობაში იყო, 1926 წლისთვის სავსებით შევაკეთეთ და მისი ლიანდაგის სიგრძე თექვსმეტ ვერსამდე მივიყვანეთ. გაყვანილ იქნა ახალი ხაზები ფუნიკულიორთან, ნავთლუღში, გერმანელთა კოლონიაში (დიდუბეში) და სხვა განაპირა უბნებში.

წყალსადენის დღიური დაკმაყოფილება 1913 წელთან შედარებით 1925 წელს უდრიდა 136.4%-ს, ესე იგი 36.4%-ით [illegible] იყო. ასეთივე მიღწევებს აქვს ადგილი ქალაქის სხვა კომუნალურ წარმოებებში: სასაკლაოზე, აბანოებში, ელ-სადგურებში და სხვ.

ჩვენ ბევრ დარგში უკვე მივაღწიეთ ომის წინა არსებულ დონეს, ზოგან ვუახლოვდებით, ზოგ ადგილას გადავაჭარბეთ კიდეც. და ეს მაშინ, როცა ომის მიერ დაზარალებულ ბევრ ქვეყნებში ვერ მოუშუშებიათ ომის მიერ მიყენებული ჭრილობები.

ჩვენთვის, რასაკვირველია, არ შეადგენს იდეალს ომის წინა არსებული დონე. მუშათა და გლეხთა სახელმწიფო მოითხოვს გაცილებით მეტს. [illegible] აღმშენებლობითი მუშაობას უკვე ჩაყრილი აქვს მტკიცე საძირკველი. დამდგარია ის დრო, როცა შორს უნდა დავიტოვოთ უკან ომის წინანდელი დონე და გამოვიდეთ სოციალისტური მშენებლობის ფართე გზაზე.

ლ. სუხიშვილი.

საზეიმო სხდომა
საქართველოს ცაკის და თბილისის საბჭოსი

საქართველოს ცაკის და თბილისის საბჭოს გაერთიანებული საზეიმო საბჭოს გაერთიანებული საზეიმო რომელმაც მოკლე მიმოხილვა გაუკეთა იმ მიღწევებს, რომელიც საბჭოთა წყობილების ხუთი წლის არსებობამ მისცა ქართველ ხალხს და საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს.

შემდეგ ამხ. შ. ელიავამ მოკლეთ მოაგონა საზეიმოდ შეკრებილ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს წითელ არმიის უდიდესი დამსახურება საბჭოთა ქვეყნების წინაშე, მისი დღევანდელი მდგომარეობა და მომავალი ამოცანები.—წითელი არმიის ღვაწლს,—ამბობს ამხ. ელიავა,—ვერ დაივიწყებენ ყოფილი რუსეთის ჩაგრული ერები, რადგან მათ ამ სახელოვანი არმიის დახმარებით მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა და კულტურული განვითარების საუკეთესო პირობები.

მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. შ. ელიავა ეხება საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავს; მოაგონებს დამსწრეებს, თუ რას წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობა მენშევიკების დროს, როგორ ეროვნულ თავისუფლებას უმზადებდენ ისინი საქართველოს და შემდეგ ვრცლად ჩერდება იმაზე, თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ საბჭოთა საქართველომ ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

ამხ. შ. ელიავას მოხსენების შემდეგ წაკითხულ იქნა აზერბეიჯანის, სომხეთის, აფხაზეთის და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების საბჭოთა, პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებისგან მიღებული დეპეშები.

დეპეშები მიღებულ იქნა აგრეთვე საკავშირო ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინისაგან. საკავშირო სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე რიკოვისაგან და სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვოროშილოვისაგან.

ცაკის და თბილისის საბჭოს გაერთიანებული სხდომის დადგენილებით მისალმების დეპეშა გაეგზავნა ამხ. კალინინს, რიკოვს და ვოროშილოვს. წითელი არმიის 8 წლის თავის გამო ამხ. ელიავას მოხსენების გამო მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია

„მოისმინა რა ამხანაგ ელიავას მოხსენება საბჭოთა საქართველოს ხუთი წლისთავის და წითელი არმიის რვა წლისთავის შესახებ, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა საქარხნო - საფაბრიკო კომიტეტებთან ერთად, აღნიშნავს დიდ მიღწევებს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის არსებობის განმავლობაში. კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ხუთი წლის განმავლობაში შესძლო მენშევიკების ბატონობის დროს დანგრეულ და განადგურებულ სახალხო მეურნეობის აღდგენა და შესაფერ პირობების უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენებისათვის.

ანტი-საბჭოთა პარტიების დაშლა ჩვენს ქვეყანაში, სრული ეროვნულ მშვიდობიანობის დამყარება საქართველოს და ამიერ - კავკასიის ყველა ეროვნებებს შორის საბჭოთა აღმშენებლობის უდიდესი მიღწევაა.

მუშაობის ხუთი წელი საქართველოს მუშურ-გლეხურ მასების განუწყვეტელი ბრძოლაა სოციალიზმისათვის.

გაერთიანებული საზეიმო სხდომა უგზავნის მხურვალე სალამს მუშურ-გლეხურ ქვეყნების დიად საბჭოთა კავშირის ერთგულ დარაჯს—უძლეველ წითელ არმიას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს მუშათა კლასის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას“!

საქართველოს კომკავშირის მე-8 ყრილობის სახელით გაერთიანებულ საზეიმო სხდომას მიესალმა ამხ. კეკელია, რომელსაც მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეეგება.

დასასრულ საზეიმო სხდომაზე გამოცხადდა ახლად დამთავრებულ სრ. საქართველოს მწერალთა ყრილობის დელეგაცია, რომელსაც დარბაზი აღფრთოვანებით შეეგება.

სრ. საქართველოს მწერალთა ყრილობის სახელით—მიმართა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს მხცოვანმა მწერალმა დ. კლდიაშვილმა—მოგესალმებით ქართველი მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს და გადმოგცემთ მათ სიყვარულს, თანაგრძნობას და გულწრფელ აღთქმას, რომ ამიერიდან საქართველოს მშრომელ ხალხთან და მათ არჩეულებთან ერთად ქართველი მწერლობა განაგრძობს თავდადებულ მუშაობას ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

მხცოვანი მწერლის სიტყვას ფარავს მქუხარე ტაში.

მწერალ არ. ჭუმბაძის მიერ წაკითხულ იქნა აგრეთვე მწერალთა ყრილობის რეზოლიუცია, სადაც ქართველი მწერლობა გამოსთქვამს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილს.

როგორ იყო
(პირადი მოგონებიდან)

1921 წლის თერთმეტ თებერვალს ღამით დაიწყო ბოლშევიკური აჯანყება ლორის რაიონის სოფელ უზუნლიარში.

როგორც ვიცით, საქართველოს მენშევიკურმა და სომხეთის დაშნაკურმა მთავრობებმა ლორის რაიონის გულისთვის ომი ასტეხეს 1918 წლის დეკემბერში, რაც დამთავრდა ამ სადაო ადგილის ინგლისელების ჯარების მიერ დაკავებით.

1920 წლის ზაფხულს, ინგლისელების საქართველოდან გასვლის შემდეგ, ლორი ხელახლა დაიკავეს მენშევიკებმა ძალით.

ამ დროს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა, რომელმაც წინადადება მისცა მენშევიკებს ეს სადაო საკითხი გადაეჭრათ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების კონფერენციაზე. ამ წინადადებას მხარს უჭერდა აგრეთვე საბჭოთა რუსეთიც. მაგრამ მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდენ საკითხის მშვიდობიანათ გადაჭრის გასაჭიანურებლად და იმავე დროს იპყრობდენ სადაო ადგილებს, სცვლიდენ რა ადგილობრივ სომხურ ადმინისტრაციას ქართველებით და ატუსაღებდენ და ასახლებდენ მათთვის არა სასურველ პირებს. შემდეგ დამფუძნებელი კრების დეკრეტით გამოცხადებული იქნა ლორის რაიონი საქართველოზე შემოერთებულათ. სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი ამ რაიონში აჯანყების დაწყებისა, სადაც მცხოვრებნი სომხებია და ისინი ბუნებრივათ მიილტოდენ საბჭოთა სომხეთთან შეერთებისაკენ.

დაწყებულ აჯანყებით არ შეიძლებოდა არ ესარგებლათ ქართველ ბოლშევიკებს, რომლებიც ასობით იყვნენ გადასახლებული საქართველოდან და იმყოფებოდენ საბჭოთა აზერბეიჯანში, სომხეთში და ჩრდილო კავკასიაში.

აჯანყების დაწყების პირველ დღეებში ფიქრობდენ, რომ მას ადგილობრივი მნიშვნელობა ექნებოდა და ბოლოს და ბოლოს საქმე გათავდებოდა ლორის რაიონის საბჭოთა სომხეთთან შეერთებით. მაგრამ როდესაც მოაღწია თბილისში შულავერის რევოლიუციონურ კომიტეტის პროკლამაციამ, ფ. მახარაძის, ლ. დუმბაძის და სხვ. ხელის მოწერით, მაშინ ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ აჯანყება მარტო ლორის რაიონით არ განისაზღვრებოდა, არამედ მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება ჰქონდა მიზნათ მას დასახული.

* * *

ამ აჯანყების დაწყებამდე ერთი თვის წინ დავბრუნდი მე მოსკოვიდან და ვიცოდი იქაურ ამხანაგების სულიერი განწყობილება საქართველოს მენშევიკურ მთავრობის მიმართ. ერთ ფრიად პასუხისმგებელ ამხანაგისაგან გაგონილი მქონდა შემდეგი:

—„ქართველ მენშევიკებს ჩვენ წინადადება მივეცით, რომ ისინი გამოსულიყვნენ ვრანგელის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში და შავი ზღვის ოლქში. იმათ რომ ეს ჩვენი წინადადება მიეღოთ და ცოტა დაერტყათ ვრანგელისათვის თავის მხრით, ჩვენ სამოქალაქო ომს გავათავებდით ექვსი თვით ადრე მაინც, რითაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე და აუარებელი სიმდიდრე შეგვრჩებოდა. მენშევიკებს რომ თავიანთი წამოხმარებისათვის სასყიდელი მოეთხოვათ ჩვენთვის და იმის მესამედი ნაწილი მიგვეცა, რაც ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ დაგვეხარჯა, საქართველო მოოქროვებული იქნებოდა. მაგრამ მენშევიკებმა უარი განაცხადეს ჩვენს დახმარებაზე თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასაბუთებდენ რა ამ უარს მათ მიერ ნეიტრალიტეტის დაცვით. იმავე დროს კი ავიწყდებოდათ ამ ნეიტრალიტეტის დაცვა, როდესაც მათ მიწა-წყალზე დათარეშობდენ გერმანელები, ინგლისელები და ოსმალების ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი ჯარები“.

„რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილი არც ერთი პატარა სახელმწიფოების მთავრობებს არ მიუყენებია საბჭოთა მთავრობისთვის იმდენი ზიანი, რაც საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ,—მითხრა იმავე ამხანაგმა.—სხვა მთავრობების რეაქციონურ ბუნებაში არავის არავითარი ეჭვი არ შეჰქონდა, მაგრამ მენშევიკები რომ ყველა ამ მთავრობებზე უფრო რეაქციონერები და მუშათა კლასისთვის მავნებლები შეიქმნენ, ამის შესახებ ბევრი ჩიჩინი და ახსნა-განმარტება გვჭირდება ჩვენი და სხვა ქვეყნების კლასისათვისო“.

მოსკოვიდან დაბრუნებისას მენშევიკების ზოგიერთ ხელმძღვანელებისთვის, რომლებთანაც დიდი ხნის პირად მეგობრულ განწყობილებაში ვიყავი, თუმცა არ გადამიცია ეს ნალაპარაკევი, მაგრამ რამდენჯერმე გარკვევით მითქვამს, რომ მათი საქმე წასულია, ადრე თუ გვიან აუცილებლათ დადგება მათი აღსასრულის ხანა, თუ ისინი დროზე არ შესცვლიან თავიანთ ორიენტაციას და ბოლშევიკებთან ერთად არ დაამყარებენ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში“.

განსაკუთრებით ხშირად მქონდა ამ საგანზე ლაპარაკი მენშევიკების ერთ ბელადთაგან—სილიბისტრო ჯიბლაძესთან.

* * *

აჯანყების მეორე თუ მესამე დღეს მოირბინა სახლში ჩემმა ცოლმა, რომელიც მუშაობდა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაში და გამაგებია, რომ მენშევიკებმა დაატუსაღეს საბჭოთა წარმომადგენლობა.

მანამდის დატუსაღებული იყვნენ თითქმის ყველა ჩვენი ამხანაგები, ზოგიერთის გამოკლებით. რიგი ჩვენზედაც უნდა მოსულიყო. ამიტომ გადავსწყვიტეთ სახლიდან წასვლა სადმე გადასამალავათ. გამოვედით ქუჩაში, მარა ჩვენი ბინის მახლობლათ შეგვხვდა წინ სილ. ჯიბლაძის შვილი და გვითხრა, რომ ისინი მიემგზავრებიან და მამა მისი გვთხოვს, რათა ჩვენ მივიდეთ მასთან.

წავედით სილ. ჯიბლაძესთან, რომელიც კარებში შემოგვხვდა და დაცინვით შემოგვეკითხა:

—რას ნიშნავს ეს ამბავი?

— ალბათ, დადგა თქვენი აღსასრულის ხანა,—მიუგე მე.

ოთახებში ყველაფერი გადატრიალებული იყო,— ალაგებდენ ბარგს და ემზადებოდენ წასასვლელათ, დასავლეთ საქართველოსკენ—ბათუმთან ახლოს. იმ საღამოსვე გაგზავნეს ცოლშვილი ზოგიერთმა მენშევიკების ხელმძღვანელებმა და თითონ კი დარჩენ თბილისში. ჩემს წინაშე ეს გარემოება ახსნეს იმით, რომ ვითომ თბილისის მიდამოებში და თვით თბილისშიდაც ექნებოდათ გადამწყვეტი ბრძოლა და ცოლშვილის ამ დროს აქ ყოფნა მხოლოდ ხელს შეუშლიდათ მათ.

ყოველივე იმისგან, რასაც გაზეთები სწერდენ და ჩემს გარშემო ლაპარაკობდენ, მე ისეთი შთაბეჭდილება მქონდა მიღებული, რომ ეს შესაძლებლათ მიმაჩნდა, მაგრამ შემდეგმა გარემოებამ კი სულ სხვა რამეში დამარწმუნეს ჩქარა.

ცოლშვილის გამგზავრების შემდეგ სილიბისტრომ დაგვტოვა ჩვენ თავისთან და გამოგვიცხადა, რომ გარეთ არ გავსულიყავით, თუ არ გვსურდა მეტეხის ციხეში თავის ამოყოფა. ამნაირათ, ის შინაურულათ გვატუსალებდა ჩვენ,—რა მიზნით, ეს შემდეგ გამოირკვა.

ამის შემდეგ მე იშვიათად ვხვდებოდი მას, რადგან გვიან ბრუნდებოდა სახლში და ადრე მიდიოდა. ხანდახან მოვიდოდა სადილობისას ხოლმე.

ვგონებ 18 თებერვალი უნდა ყოფილიყო, როდესაც შევხვდი სილიბისტროს და მითხრა, რომ ჩიჩერინიდან რადიო-ტელეგრამა მიიღეს, რომლითაც წინადადებას გვაძლევს საზაო მოლაპარაკებას დაეწყება საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან მისი შუამდგომლობით.

მე ვკითხე, თუ რა პასუხი მიეცით მეთქი.

—შეუთვალეთ, რომ ჩვენ ზავზე მოლაპარაკებას დავიწყებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წითელი ჯარები რომლებიც ებმარებიან აჯანყებულთ, დაიხევენ უკან აზერბეიჯანის და სომხეთის საზღვრებამდის,—მითხრა მან.

— დიდი შეცდომა დაგიშვიათ და გირჩევთ გამოასწოროთ, ხანამ დრო გაქვთ,—შევნიშნე მე.

ერთხელ კიდევ გაუმეორე ჩემი რჩევა, რომ შეეცვალათ ორიენტაცია და გამოეცხადებიათ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, თუ სურდათ თავის გადარჩენა.

ამაზე სლიბისტრომ მიპასუხა:

—არაფერია, არ დავიღუპებით!

— თქვენ უკვე დაღუპული ხართ!— მიუგე მე.

ამ დროს ზარბაზნების გრიალი უკვე მოისმოდა თბილისში. მენშევიკების მთავრობა კი, აცხადებდა რა უარს რევოლიუციონურ კომიტეტთან საზაო მოლაპარაკებაზე, თურმე ოსმალებთან აწარმოებდა ამ დროს მოლაპარაკებას და მას თხოვდა დახმარებას. ოსმალებმა მოსთხოვეს მათ დახმარების სამაგიეროთ ბათუმი, ახალქალაქი და ახალციხე. ამ ადგილების ოსმალებისთვის გადაცემა ნიშნავდა მის საქართველოზე გაბატონებას და მენშევიკები მზად იყვნენ წასულიყვნენ ამ დათმობაზე, მაგრამ ოსმალები არ ჩქარობდენ და უცდიდენ საქმის მსვლელობის განვითარებას.

ზარბაზნების გრიალი კი სულ უფრო მკაფიოდ ისმოდა და უახლოვდებოდა თბილისს.

ვგონებ, ოცი თებერვალი უნდა ყოფილიყო, როდესაც მოვიდა ს. ჯიბლაძე და მითხრა, რომ წავსულიყავი რადიო-სადგურზე და გამომეძახა აბელი ენუქიძე მოსალაპარაკებლად ჩიჩერინის წინადადების შესახებ. ეხლა თანახმა იყვნენ წითელი ჯარების უკან დაუხევლათ საზაო მოლაპარაკების გამართვაზე.

ასეთმა წინადადებამ მე გამაკვირვა, რადგან, თუ საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება სურდათ, ამისთვის არსებობდა წარმომადგენლობა,—თუნდა მეტეხის ციხეში. თუ საქმეში „უცხო პირის“ ჩარევა არ სურდათ,—იქვე მეგულებოდა სერიოჟა ქავთარაძე, რომელიც ბევრათ უკეთესად გასწევდა ჩემს მაგიერობას. მაგრამ გამოირკვა, რომ საბჭოთა წარმომადგენლობა ყველა დატუსაღებულ ბოლშევიკებთან ერთად ქუთაისის ციხეში გადაეგზავნათ.

მეორე დღეს სილიბისტრომ წინადადება[illegible]ნა, რომ მენშევიკების საქმე წასულიყო და ეხლა ზავზე ლაპარაკი საბჭოთა მთავრობის მხრივ სრულებით არ არის მისაღები.

ამიტომ ჯიბლაძეს წინადადებაზე უარით უპასუხე,—არა მაქვს მე არავითარი მინდობილობა ამ საკითხში ჩავერიო მეთქი.

მეორე დღეს სილიბისტრომ წინადადება გამიმეორა, მხოლოდ ეხლა სხვა სახით. გაგამგზავრებთ კავკავში და იქიდან შენთვის უფრო თავისუფალ პირობებში მოელაპარაკე საბჭოთა მთავრობასო. ჩვენ თანახმა ვართ საზავო მოლაპარაკებისთვის კომისიის შედგენაზე აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით.

მე ასეთ წინადადებაზედაც უარით უპასუხე,—თქვენ უკვე გაუშვით შესაფერი დრო ზავზე მოსალაპარაკებლათ და ეხლა ასეთ როლში ჩემი გამოსვლა უგუნურება იქნება მეთქი.

ეხლა ცხადი შეიქნა ჩემთვის, თუ რატომ ვყავდი მე მას შინაურ ტუსაღობაში: თუ რამე გამოვიდოდა მათთვის სახეირო ანტანტისაგან, ან ოსმალებისაგან,—ხომ კარგი, თუ არა და ხელქვეშ ეყოლებოდათ ისეთი კაცი, რომელიც მისცემდა მათ საშუალებას გაებათ კავშირი საბჭოთა მთავრობასთან და ბოლშევიკურ პარტიასთან.

უთხარი უარი, მაგრამ მეორე დღეს სინანულში ჩავვარდი. ზარბაზნების გრიალი მიწყნარდა. გაზეთებმა ერთი ამბავი ასტეხეს ბოლშევიკების კატასტროფიულ დამარცხების შესახებ. ისეთი ატმოსფერა შეიქნა, რომ 21 თებერვალს დაბრუნდენ უკან თბილისში ბათუმისაკენ გამგზავრებული მენშევიკების ხელმძღვანელების ცოლშვილი.

მიუხედავათ ამისა, ჯიბლაძის სულიერ განწყობილებას გაუმჯობესება არ ეტყობოდა; პირიქით, მას მეტი აღელვება ემჩნეოდა. ცოლშვილის უკან დაბრუნებას ის გულისწყრომით შეხვდა.

იმავე დროს ზარბაზნების გრიალი ხელახლა გაისმა თბილისის მიდამოებში კიდევ უფრო ძლიერათ, ვიდრე მიწყნარებამდე ისმოდა.

ოცდაოთხ თებერვალს საღამო ხანს ისევ შეუდგენ ბარგის ჩალაგებას და ეხლა კი თვით მენშევიკების ხელმძღვანელების ბარგის დამატებით. ცხადი იყო, რომ საქმე მათი დამარცხებით თავდებოდა და ემზადებოდენ გასაქცევად.

უნდა გამოტეხით ვსთქვა, რომ მეტად ცუდ მდგომარეობაში ვგრძნობდი თავს, როდესაც ჩემს თვალწინ ჩემი ძველი მეგობრები, მარა პოლიტიკურად შეურიგებელი მტრები, ალაგებდენ თავიანთ ბარგ-ბარხანას და ემზადებოდენ გასაქცევად.

მეორე მხრით კი ჩემი სინდისი მეუბნებოდა, რომ ახია მათზე, რაც მოუვიდათ, რადგან გაფრთხილება არ დამიკლია, რომ დროზე შეეცვალათ თავიანთი ორიენტაცია, გადასულიყვნენ საბჭოთა ორიენტაციაზე და გამოეცხადებიათ ბოლშევიკებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, მაგრამ არ მიიღეს ჩემი რჩევა და ეხლა ეწვნიათ დამარცხების სიმწვავე...

ს. ჯიბლაძის ბინა წარმოადგენდა მენშევიკების ზოგიერთ ხელმძღვანელების გაქცევის წინ თავყრილობის ალაგს. აქ მოჰყავდათ ცოლშვილი, მოჰქონდათ ბარგი და აქედან მიემგზავრებოდენ სადგურში.. ღამის სამ საათამდი გრძელდებოდა მათი გამგზავრება. უკანასკნელი გავიდა სახლიდან ჯიბლაძე, რომელმაც დაგვიბარა, რომ ისევ მობრუნდებოდა.

დავრჩით მარტონი მე და ჩემი ცოლი სონია, რომელიც ჩემსავით იყო შინაურულათ დატუსაღებული. არაფერი არ ვიცოდით იმის შესახებ, თუ ჩვენ ამხანაგებთაგანი ვინ დარჩა დაუტუსაღებელი. იწყო გარიჟრაჟება. მოდიოდა ფიფქი თოვლი. ქუჩაში სამარისებური სიჩუმე არსებობდა. სროლის ხმა არსაიდან არ ისმოდა.

გათენდა თუ არა, მოვიდა ჩემთან ტ. სვანიძე და გადმომცა, რომ ამხანაგები გელიან ერთ დუქანში. იმ წუთში გავეშურე დანიშნულ ადგილისკენ. მიუხედავათ [illegible], რომ ახალი გათენებული იყო, რუს[illegible] გამზირზე აუარებელი ხალხი გა[illegible]ლიყო. მათ შორის არ მოსჩანდენ მ[illegible] სამხედრო პირები და მილიციონერები.

აღნიშნული დუქანი დაკეტილი დაგვიხვდა. ქალაქის გამგეობის წინ მოედანზე დიდ მიტინგს მოეყარა თავი.

აივნიდან სიტყვას ამბობდა გალაქტიონ ნუცუბიძე, ძირს კი ავტომობილზე შემდგარი გალაქტიონ ვაშაძე.

მივედი თუ არა მიტინგთან, მტაცეს ხელი ამხანაგებმა და ძლივ-ძლივობით შემიყვანეს ქალაქის გამგეობის კარებში, რომელშიც აუარებელი ხალხი შედი-გამოდიოდა. შევედით ერთ ოთახში, სადაც დამხვდენ ზოგი დატუსაღებას გადარჩენილი ამხანაგები, რომლებმაც გამომიცხადეს, რომ ქალაქის რევკომის თავმჯდომარეთ ხარ დანიშნული და შეუდექი მოვალეობის შესრულებასო.

ვისგან ვიყავი დანიშნული ამ თანამდებობაზე—დღესაც არ ვიცი.

დამხვდურ ამხანაგებს შორის მაგონდებიან: გალაქტიონ ნუცუბიძე, გალ. ვაშაძე, ბარონ ბიბინეიშვილი, კოლია ოკუჯავა, თეოფილე გორგასლიძე, სტეპა ვარდანიანი და ვარო ჯაფარიძე. ისეთი ფაცი-ფუცი და თრომტრიალი იყო, რომ დანარჩენს ველარ ვიგონებ.

გავმართეთ სხდომა და სახელმძღვანელოთ გამოვიმუშავეთ მოქმედების გეგმა.

პირველად ყოვლისა გადავსწყვიტეთ პატარა მოწოდების გამოშვება. აი მისი შინაარსი:

„მოქალაქეთა საყურადღებოდ“.

დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი საყოველთაო საყურადღებოდ აცხადებს, რომ ყველა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები ვალდებული არიან დარჩნენ თავთავიანთ ადგილებზე და შეასრულონ პირნათლად მოვალეობანი, მოქალაქეებმა დაიცვან სრული წესრიგი და არ დაუშვან არავითარი არევ-დარევა ქალაქის ნორმალურ ცხოვრებაში. პროფესიონალური კავშირების გამგეობებს ევალებათ დაიცვან რევოლიუციონური წესრიგი და განაგრძონ ჩვეულებრივი საქმიანობა.

დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი.
თბილისი 25 თებერვალი.

არაფერი ცნობა არ გვქონდა მებრძოლ ამხანაგების რაზმების ადგილ-ყოფნის შესახებ.

გადავსწყვიტეთ კოლია ოკუჯავას გაგზავნა ნავთლუღის მიმართულებით, რომ გაეგო, თუ სად იმყოფებოდენ ამხანაგების რაზმები და წითელი ჯარი.

შემდეგ შეუდექით ამხანაგების დაგზავნას სხვადასხვა დაწესებულებების და სამილიციო უბნების დასაკავებლად და იქ რაიმე დროებით მომქმედ აპარატის მოსაწყობად. მათ მანდატებს სათანადო ბეჭდის უქონლობის გამო ვასვამდით თბილისის საგუბერნიო პარტიული კომიტეტის ბეჭედს. (ეს ბეჭედი დღესაც მე მაქვს).

ხშირად სრულიად უცნობი პირები მოდიოდენ და აცხადებდენ, თუ სად რა დაწესებულების დაცვა და გაძღოლა შეუძლია მათ და ჩვენც ვანიჭებდით საგანგებო უფლებებს სათანადო მანდატის მიცემით.

წინ ღამით შემდგარი წესიერების დამცველი კომიტეტი პავლო იაშვილის, ლევან მეტრეველის, დათიკო მოხევისა და სხვების შემადგენლობით რევკომის მიერ დაშლილათ იქნა გამოცხადებული.

სალაროებში ერთი გროში არსად არ აღმოჩნდა, — ყველაფერი გამოეხვეტებიათ გაქცეულებს. ვიღაცამ გაგვაგებია, რომ ადელხანოვის ქარხანაში არის სალაროში ოცდა ხუთი მილიონი ბონებით. ვაფრინეთ კაცი იქ მინდობილობით, რათა გამოეტანა ეს ფული რევკომისთვის სესხის სახით.

კოლია ოკუჯავა დაბრუნდა და შეგვატყობინა, რომ ჩვენები თავს იყრიან ნავთლუღში და ემზადებიან ქალაქში მწყობრათ შემოსასვლელათ.

საათის ათი იქნებოდა, როცა გადმომცეს, რომ უცხო სახელმწიფოების ელჩებს სურთ რევკომის თავმჯდომარის ნახვა. ცივმა ოფლმა დამასხა. რა უნდა უთხრა ამ დიპლომატებს, როგორ უნდა მოვიქცე მათ წინაშე,—არავითარი წარმოდგენა არა მაქვს ამის შესახებ. მაგრამ მეტი ჩარა არ არის,—მიღებით უნდა მივიღო.

გაიღო კარები და შემოვიდნენ ხუთი თუ ექვსი დიპლომატი. თუ მე ცივი ოფლი მასხამდა, ეტყობოდათ, რომ არც ისინი გრძნობდენ თავს ხეირიანათ: ყველანი გაფითრებული იყვენ. მათ იმდენი საშინელი რამეები ქონდათ გაგონილი და წაკითხული ბოლშევიკების შესახებ, რომ როდესაც მოდიოდენ რევკომში, წარმოდგენილი ქონდათ ალბათ, რომ აქ შეხვდებოდენ ეშმაკების მაგვარ რქიან ადამიანებს. მაგრამ, როდესაც დამინახეს მე და ჩემი ამხანაგები, უცებ შეეცვალათ ფერი და სახე გაუბრწყინდათ. წუთში მეც მომემატა გამბედაობა და თავი ისე ვიგრძენ, თითქოს არა ერთხელ მქონებოდეს საქმე დიპლომატებთან. მოვესალმეთ ერთმანეთს და თარჯიმანის მეშვეობით გავაბით მოლაპარაკება. პირველათ ყოვლისა მომილოცეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მე მადლობა გადავუხადე. შემდეგ შემეკითხენ, თუ როგორ იქნებოდა მთავრობის განკარგულება მათი არსებობისა და მოქმედების შესახებ. მე გამოუცხადე, რომ განეგრძოთ თავიანთი მოვალეობის შესრულება ჩვეულებრივ და დაეცვათ თავიანთი მოქალაქეების ინტერესები იმ ფარგლებში, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა მთავრობის მიერ საზოგადოთ ყველა მოქალაქეებისათვის. მათ არავითარი უპირატესობა არ მიეცემოდათ, მაგრამ იმავე დროს არ იქნებოდენ მოკლებული საბჭოთა სხვა მოქალაქეების უფლებებს. ჩემი ასეთი განცხადებით ისინი მეტად კმაყოფილი დარჩენ გამომშვიდობებისას შემეკითხენ, თუ რითი შეეძლოთ ახალი მთავრობისათვის რაიმე სამსახურის გაწევა. ვიცოდი, რომ სალაროში გროში არ გაგვაჩნდა, მარა მათთვის ფულის შესესხება უხერხულად ვსცანი. ისინი კი ალბად ამას ელოდენ ჩემგან. მხოლოდ შესაძლებლად ვსცანი მეთხოვა მათთვის ავტომობილი. დიდი სიამოვნებით დამითმეს რამდენიმე ავტომობილი.

არას დროს ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძვნია ისეთი მძიმე პასუხისმგებლობა, როგორიც განვიცადე ამ რამდენიმე საათში. ნერვები დაჭიმული იყო უმაღლეს წერტილამდე.

საათის პირველი იქნებოდა, როცა ქალაქის სამმართველოს შენობამ ძიგძიგი იწყო. მის წინ მოედანზე მოხრიგინდენ ტანკები. მათ უკან მოჰყვათ მწყობრათ დარაზმული ამხანაგები და წითელი ჯარი სიმღერით.

მათ დანახვაზე მოშვებით ამოვისუნთქეთ. ძალა-უფლება მტკიცე საფუძველზე ემყარებოდა და წესრიგს საფრთხე აღარ მოელოდა.

შემოვიდენ ჩემს კაბინეტში ჯარის სარდალი ამხ. გეკკერი, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ლადო დუმბაძე და სხვა აჯანყების მონაწილეები.

ქალაქის სამმართველოდან გადავედით სასახლეში, სადაც—შესდგა საქართველოს დროებით რევოლიუციონური კომიტეტის პირველი სხდომა ამხ. მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში და გამოსცა № 1 დეკრეტი ამნისტიის შესახებ.

ამ დეკრეტით ერთხელ კიდევ ეძლეოდათ მენშევიკებს საშუალება მოსულიყვნენ გონს, მაგრამ მათ სრულებით დაჰკარგეს თავი და წყალწაღებულნი ხავსს ეჭიდებოდენ. დაჰკარგეს რა უმთავრესი პოზიცია—თბილისი—იხევდენ უკან და განაგრძობდენ გზა და გზა ბრძოლას, მაგრამ ყოველივე აზრს მოკლებული იყო ეს ბრძოლა შექმნილ პირობებში.

შესტოპეს რა მენშევიკებმა შეცდომების მორევში 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, განაგრძობდენ თავიანთი უაზრო-უკვლო ცურაობას ამ შეცდომათა მორევში 1921 წლის 18 მარტამდი, როდესაც გადაყრილი იქნენ შავ ზღვაში, რათა შემდეგშიაც განეგრძოთ შეცდომების, სისულელის და ბოროტმოქმედებათა ოკეანეში ცურვა.

ს. თოდრია.

ქართული წიგნი საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის თავზე

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 5 წლისთავზე საჭიროა, რომ სხვა ფრიად შესანიშნავ მიღწევებს გარდა აღვნიშნოთ ქართული წიგნის მდგომარეობაც.

აი, როგორ სურათს გვიხატავს სტატისტიკური ცნობები ქართული წიგნის გამომცემლობის შესახებ ამ ხუთი წლის განმავლობაში. 1921 წლიდან 1926 წლის 1 იანვრამდე სულ 1576 სხვადასხვა სახელწოდებისა და სხვადასხვა სპეციალობის წიგნი დასტამბულა და გაყიდულა. ამ წიგნთა შორის მრავლად მოიპოვება ისეთი სამეცნიერო წიგნები, რომელთა ქართულ ენაზე წარმოდგენა მხოლოდ დიდ ფანტაზიის მქონე პიროვნებას თუ შეეძლო.

რა მდგომარეობა იყო წიგნის გამომცემლობის დარგი მენშევიკების ბატონობის დროს? იგივე სტატისტიკური ცნობები შემდეგს გვეუბნება: 1917 წლ. 1 იანვრიდან, 1921 წ. 1 იანვრამდე, სულ 558 ქართ. წიგნი გამოსულა. ერთი სიტყვით, 4 წლის განმავლობაში მენშევიკების დროს დაისტამბა დაახლოებით სამჯერ ნაკლები ვიდრე 5 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების დროს.

თუ ამავე რიცხვის თანდათანობით ყოველწლიურ ზრდას დაუკვირდებით, ჩვენს წინაშე წარმოსდგება მისი განვითარების სახე მშვენიერი პერსპექტივებით და გვეტყვის, თუ როგორი მომავლის წინაშე ვართ ჩვენ წიგნის გამომცემლობის მხრივ.

1921 წ. სულ 121 სხვადასხვა სახელწოდების ქართული წიგნი გამოსულა, 1922 წ.—148 წიგნი, 1923 წ.—258 წ., 1924 წ.—392 წიგნი, 1925 წ.—617 და სულ—1.576 წიგნი. როგორც ვხედავთ, 1925 წ. გამოსულა გაცილებით მეტი, ვიდრე 1917, 18, 19 და 20 წლის ერთად.

ეხლა განვიხილოთ, თუ როგორი მდგომარეობაა მიმდინარე წელს.

1926 წ. 1 იანვრისათვის და დღესაც 28 ქართული ჟურნალი გამოდის, რომელთა საერთო ტირაჟი 108 ათასია. ამას გარდა, შემდეგი ქართული გაზეთები გამოდის: „კომუნისტი“, „მუშა“, „წითელი არმიელი“, „ახალი სოფელი“, ახალგაზრდა კომუნისტი“, „ნორჩი პიონერი“, „ფუხარა“, რომელთა ერთად აღებული ტირაჟი 95.750 უდრის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში ქართულ ენაზე მკითხველთა რიცხვის მაქსიმუმი 500.000 არ აღემატება, მაშინ გამოვა, რომ ერთი ჟურნალი დაახლოვებით 5 მკითხველს შეხვდება და ერთი გაზეთი კი იგივე 5-ს, ამა წლის 1 იანვრიდან 24 თებერვლამდე სულ 104 ცალი ქართული წიგნი დაისტამბა, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 5 წლის თავზე სულ დასტამბულა 1.576+104=1680 წიგნი.

ზემოთ დასახელებული 28 ჟურნალი შემდეგი ხასიათის არის: სამხატვრო - სალიტერატურო—4, მეცნიერული—8, ეკონომიური და კოოპერატ.—3, საბავშვო—2, გაზეთების დამატება — 2, (რომელთაგან ერთი იუმორისტულია), საგლეხო—2, საუწყებო—3, პროფესიონალური და პარტიული—4.

ყველა ამ სტატისტიკურ ცნობების მოყვანის შემდეგ მე სრულიად არ მსურს საბჭოთა ხელისუფლების ხოტბის შესხმა, მხოლოდ მინდა ზოგიერთების გასაგონათ შემდეგი აღვნიშნო, თუ ჩვენში კიდევ არსებობენ ისეთი პირები, რომლებიც ისევ „ტყისკენ იცქირებიან“, მათ ეს რიცხვები გულმოდგინეთ ამოიკითხონ, სათანადო ანგარიშიც გაუწიონ.

ასეთია ენა ურყევ ციფრებისა და ფაქტების. მათ წინააღმდეგ ბრძოლა კი უიმედო და უაზრო საქმეა.

ზრ. ზოზიბერიძე.

საბჭოთა საქართველო ხუთი წლისთავზე

საქართველოს სახელმწიფო მრეწველობა

მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა სახალხო მეურნეობის ორი უმთავრესი დარგია, რომელთა განვითარებასა და სიმძლავრეზე დამოკიდებული არის ქვეყნის კეთილდღეობა.

საბჭოთა საქართველოს არსებობის ხუთი წლისთავზე ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღნიშნულ ორ უმთავრეს დარგში დიდი შემოქმედებითი მუშაობა არის ჩატარებული, განსაკუთრებით ეს ითქმის სახელმწიფო მრეწველობაზე.

როგორც ვიცით, მიუხედავათ ხელსაყრელ პირობებისა (სათბობი მასალის, თეთრი ნახშირის, ხე-ტყის და საჭირო ნედლი მასალების სიუხვე) საქართველოში მრეწველობის განვითარება ნელი ტემპით სწარმოებდა, რაც აიხსნება თვითმპყრობელობის კოლონიალურ პოლიტიკით. რევოლიუციის შემდეგ მოისპო ეს მთავარი ხელისშემშლელი პირობები და რესპუბლიკის მრეწველობას მიეცა საშუალება თავისუფლად განვითარდეს საკუთარი ძალების დარაზმვის ნიადაგზე.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მუშაობაში ამ ხუთი წლის განმავლობაში უნდა აღინიშნოს სამი პერიოდი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სამი საფეხური: პირველი ეს არის ნაციონალიზაციაქმნილი სამრეწველო წამოწყებათა ნგრევის შეჩერება, მათი აღრიცხვა და საწარმოთა მუშაობის უნარიანობის გამოკვლევა; მეორე—სამრეწველო წამოწყებათა ამუშავება, მათი ნედლი მასალით უზრუნველყოფა და შრომის პირობების გაუმჯობესება; მესამე პერიოდში მუშაობა კი გამოიხატა სახელმწიფო მრეწველობის მეურნეობის რეკონსტრუქციაში საერთო პროდუქციის გაზრდის და შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით.

ამჟამად ჩვენ გვაქვს მტკიცე სამრეწველო ბიუჯეტი, სათანადოთ მოგვარებული სამეურნეო აპარატი და შესამჩნევად გაფართოებული, რეალურ შესაძლებლობაზე დამყარებული საწარმოო გეგმა. ეს არის ჩვენი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიღწევები წარმოების მოწყობის სფეროში.

სანამ ჩვენი მრეწველობის მდგომარეობის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა შევჩერდეთ იმ დამახასიათებელ ხაზზე, რომელსაც ჩვენ ვატარებდით. ეს არის წარმოებათა კონცენტრაცია, მათი შეკუმშვა მეტი ეფექტის მიღების მიზნით. მაგალითად, თუ ჩვენ 1922—1923 საოპერაციო წელში გვქონდა 69 მომქმედი წარმოება, 1923—1924 წელში მათი რიცხვი დაყვანილ იქნა 53-მდე და 1923—1924 წელში მიუხედავათ იმისა, რომ აღდგენილ და აგებულ იქნა ახალი სამრეწველო წამოწყებები, მათი რიცხვი არ აღემატება 57-ს. მთელი მრეწველობა ამჟამად გაერთიანებულია 10 ტრესტში, რომელნიც ხელმძღვანელობენ თვითეულ წარმოების მუშაობას და [illegible] საჭირო გეგმიანობა მათ მოქმედებაში. მიუხედავათ წარმოებათა ასეთი კონცენტრაციისა მუშა-ხელის შემცირებას არ ჰქონია ადგილი. წინაამდეგ, წარმოებებში ჩაბმული მუშა-ხელი შესამჩნევად გაიზარდა; მაგალითად, მათი რიცხვი 1923 წლ. პირველ ოქტომბრისათვის უდრიდა 3.476, 1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის კი 5.863, ე. ი. გადიდდა 70,1%-ით.

თუ საერთოდ თვალს გადავავლებთ სახელმწიფო მრეწველობის მდგომარეობას ამ ხუთი წლისთავზე, დავინახავთ მრეწველობის საერთო პროდუქციის შესამჩნევ ზრდას. მაგალითად, მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება ომის წინა დროის მანეთებში უდრიდა: 1922—1923 წელში—4.498.000 მან., 1923—1924 წელში—4.823.000 მ. და 1924—1925 წელში—8.980.000 მან.*) ამრიგად მთელ პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 99,6%-ით (1924—1925 წელში მრეწველობის პროდუქციის ღირებულება ჩერვონულ მანეთებში უდრის 14.889.398 მან.).

რაც შეეხება მრეწველობის ცალკე დარგებს, აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ უმთავრეს მათგანს, რაც საკმაო სურათს მოგვცემს ჩვენი მრეწველობის საერთო მდგომარეობის შესახებ. პირველ რიგში გავეცნოთ თამბაქოს მრეწველობას, რომელსაც თავის ხვედრითი წონით შავი ქვის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს საქართველოს მრეწველობის სისტემაში.

დამუშავებულია:

წლები	პაპიროსი (ცალად)	თამბაქო (გირ.)
1922—1923	505.779.000	852.275
1923—1924	557.669.000	265.412
1924—1925	977.364.000	220.447

ამრიგად, თუ თამბაქოს დამზადება 1924—1925 წლებში 1922—1923 წ. წინაამდეგ შემცირდა 77.7%-ით, სამაგიეროდ პაპიროსების დამზადების რაოდენობა გადიდდა 93,2%-ით. თამბაქოს დამზადების შემცირება გამოწვეულია არსებულ აქციზის სიდიდით, რის გამო კონტრაბანდის სახით შემოტანილი თამბაქო კონკურენციას უწევს ჩვენს მრეწველობას.

თამბაქოს მრეწველობის საერთო პროდუქცია 22—23 წლის წინაამდეგ 1924—1925 წელში გაიზარდა 42,7%-ით. განვლილ 1925—1926 წლის პირველ კვარტალში გამომუშავდა 360.578.000 ცალი პაპიროსი და 32.392 გირვ. თამბაქო, რაც შრომის ერთეულებში გადაყვანით 1923—1924 წლის ამავე პერიოდს სჭარბობს ორჯერ, ან 1.19 4%-ით.

ქვა-ნახშირის მრეწველობაში ჩვენ გადავაჭარბეთ ომის წინა დროის ნორმას:

ამოღებული ნახშირი უდრიდა:

1922—1923	1.838.080	ფუთი	100
1923—1924	3.836.462	„	208,7
1924—1925	4.575.000	„	248,8

ამრიგად, ქვანახშირის ამოღება ყოველწლიურად მატულობს. საანგარიშო წელში საწარმოო გეგმა შესრულებული იქნა **19,2%-ის** გადაჭარბებით. მომავალში ტყიბულის მაღაროებში მუშაობა მეტი ინტენსივობით იწარმოებს, რათა ჩვენი წარმოების მომხმარებელი ორგანიზაციები შედარებით უზრუნველყოფილი იქნენ სათბობი მასალით ნახშირის ამოღების ტექნიკურათ გაუმჯობესებით მნიშვნელოვნათ იმატა შრომის ნაყოფიერებამაც.

1924 წელში სახელმწიფო მრეწველობას შემატა საქსოვი ქარხანა ქუთაისში. აღნიშნულ ქარხანას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სასოფლო მეურნეობის პროდუქტიულობის განვითარებისათვის. 1924—1925 წელში დამზადდა 2.242 ფუთი ნართი, რომლიდანაც გამომუშავებულია 47.832,4 მეტრი მოუთელავი შალი (ნახევარ ფაბრიკატი) და უკანასკნელიდან გამომუშავდა უკვე 24659.7 მეტრი მაუდი, დანარჩენი გადამუშავებაშია.

გასული 1924—1925 წელი ტყავეულობის მრეწველობაში არის დიდი მიღწევების წელი. რადგან უზრუნველყოფილი ვიყავით ნედლი მასალით, ჩვენ შევსძელით პროდუქციის შესამჩნევი გადიდება.

დამუშავდა ტყავი
(მსხვილ ტყავზე გადატანით)

1922—1923	20.536	ფუთი
1923—1924	25.242	„
1924—1925	41.369	„

ამრიგად ტყავეულობის მრეწველობის პროდუქცია 24—25 წელში 22—23 წლის წინაამდეგ გადიდდა მთელი 101,4%-ით და საწარმოო გეგმა შესრულებულ იქნა 20%-ის გადაჭარბებით.

მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ კვარტალში გამომუშავდა 15315 ცალი ტყავი, ე. ი. 1922—1923 წლის ამავე პერიოდთან შედარებით სამჯერ მეტი, რაც ადასტურებს ტყავის მრეწველობის შეუჩერებელ ზრდას.

თუ რამდენათ იმატა ფეხსაცმელების დამზადებამ, ნათლად სჩანს ქვემოთ მოყვანილ ცნობებიდან:

დამზადდა ფეხსაცმელები

წლები	ევროპ.	აზიური	თექის
1922—1923	5.540	26.518	1.627
1923—1924	6.225	47.425	2.201
1924—1925	13.650	88.975	6.188

ამრიგად, 1922—1923 წლის წინაამდეგ ევროპიულ ფეხსაცმელების დამზადება საოპერაციო წელში გაიზარდა 146,4%-ით, აზიურის—235,5 %-ით და თექის—280,3%-ით. თუ ჩვენ 1925—1926 წლის პირველ კვარტალს შევადარებთ 1924—1925 წლის ამავე პერიოდს, დავინახავთ, რომ თუმცა შემცირდა ევროპიულ ფეხსაცმელების დამზადება, სამაგიეროთ აზიურის გადიდდა 37,6%-ით და თექის ფეხსაცმელების 150,1%-ით.

ამრიგად ეკონომიურ კონიუნქტურის გაუმჯობესებასთან ერთად შესამჩნევად იზრდება ჩვენი მრეწველობის პროდუქცია, მაგრამ ბაზრის მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა, რაც ერთი მთავარი მაჩვენებელთაგანია მუშების და გლეხების მსყიდველობითი უნარიანობის გადიდებისა.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება არის ხე-ტყის და დანარჩენ საშენ მასალაზე, რის გამო ჩვენ ჯეროვან ყურადღებას ვაქცევდით ტყის მრეწველობას; 1924—1925 წელში 1923—1924 წლის წინაამდეგ ტყის მრეწველობის პროდუქცია გავადიდეთ 147,0%-ით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხშირად გვიხდება დაკვეთაზე უარის თქმა, რადგან არა გვაქვს სახერხი ქარხნები საკმაო რაოდენობით.

შრომის ნაყოფიერების და სამუშაო ხელფასის დარგში ჩვენ შემდეგი მიღწევები გვაქვს: თამბაქოს მრეწველობაში პროდუქცია ერთ კაც-დღეზე 1925—1926 წლის პირველ კვარტალში 1924—25 წლის პირველ კვარტალის წინაამდეგ გადიდდა 26,3%-ით, ტყავის მრეწველობაში—40,1%-ით, ქვანახშირის მრეწველობაში 6,6%-ით (პროდუქციის ღირებულება ნაანგარიშევია ჩერვ. მან.).

შრომის ნაყოფიერებასთან ერთად გადიდებულ იქნა სამუშაო ხელფასი (ამავე პერიოდებში)—თამბაქოს მრეწველობაში 31,7%-ით, ტყავის მრეწველობაში 39,4%-ით, ქვანახშირის მრეწველობაში 1,9%-ით (შრომის ხელფასი—ჩერვ. მან.).

ასეთია ამჟამად ჩვენი მრეწველობის საერთო მდგომარეობა. ვითვალისწინებთ რა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში არსებულ ძალთა განწყობილებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს პოლიტიკას სახელმწიფო აღმშენებლობის საქმეში უნდა შეადგენდეს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დაკავშირება. ამიტომ ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, რომელნიც უზრუნველყოფილია ადგილობრივი ნედლი მასალით და რომლის განვითარებას ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ადგილობრივათ გადამუშავება ჩვენი მრეწველობის მთავარ ამოცანას შეადგენს.

პირველი ნაბიჯი ამ მხრით უკვე გადაიდგა: ქ. ქუთაისში საფეიქრო ქარხნის აგებით, გრეხილ [illegible] ქარხნის მოწყობით, ახლო მომავალში ამუშავდება აბრეშუმის სახვევი ქარხანა. შექმნილია სამთო-მადნო ქიმიური კომბინატი სამთო-მადნო სიმდიდრის დასამუშავებლად. ასეთი გზით წარიმართება ჩვენი მუშაობა მომავალშიაც.

ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას მთელი რიგი პრობლემებისა, რომელთა მოგვარება აუცილებელია მრეწველობის აღდგენისა და განვითარებისათვის. ასეთია—ძირითადი კაპიტალის აღდგენის საკითხი, ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მექანიზაცია შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით და ერთ სახის წარმოებების ერთ მთლიან ერთეულში მოქცევა-გაერთიანება, რადგან თანამედროვე პირობებში მრეწველობა ვერ ითმენს მცირე მას'შტაბის საწარმოო ერთეულებს.

ჩვენი მრეწველობის ზრდა და საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება მტკიცე საწინდარია იმის, რომ საქართველოს სახელმწიფო მრეწველობა შესძლებს ყველა იმ საკითხების მოგვარებას, რომელიც დასმულია მის წინაშე.

ბენო კალანდაძე.

---

*) აქ არ შედის ჰრა-ქერის მრეწველობის პროდუქციის საერთო ღირებულება.

მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა

(მიღწევები 5 წლის თავზე)

ხუთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოში გადატრიალება მოხდა და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ხუთი წელიწადია, რაც საბჭოთა ხელისუფლება დაუღალავათ იღწვის ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის და აწარმოებს აღმშენებლობით მუშაობას, რომლის პრინციპები მან გამოაცხადა და რომლის მთავარი საფუძველი უკვე გატარებულია ცხოვრებაში.

საბჭოთა პროგრამის ცხოვრებაში გამტარებელ ერთ-ერთ ორგანოს, ხელისუფლების სხვა რევოლიუციონურ ორგანოებთან ერთად, წარმოადგენს შრომის სახალხო კომისარიატი. ის ამოიცენდა გადატრიალების პირველივე დღეებში მენშევიკურ შრომის სამინისტროს ნანგრევებზე და იმთავითვე იქცა მუშათა კლასის ინტერესების დამცველ მძლავრ აპარატათ სპეციალურად შრომის მოწესრიგების დარგში. იმ ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც გავიდა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, შრომის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა მეტად დიდი მუშაობა, რათა გაემტკიცებია უფლებები, რომლებიც შემდეგ ჩამოყალიბდა შრომის კანონმდებლობის სახით, და გაუმჯობესებია მშრომელთა ეკონომიური და ყოფა-ცხოვრების პირობები.

არსებითად რომ ვსთქვათ, საფუძველი შრომის კანონმდებლობას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა, რადგანაც მენშევიკებმა სრული უნაყოფობა გამოიჩინეს ამ მხრივ საქართველოში მათი ბატონობის დროს.

საბჭოთა შრომის კანონმდებლობა სამაგალითო კანონმდებლობას წარმოადგენს. ის უზრუნველჰყოფს მშრომელისათვის უფლებათა მაქსიმუმს არსებულ ეკონომიურ პირობებში. ევროპის ყველაზე უფრო დაწინაურებული ქვეყნების მუშებსაც კი შეუძლიათ მხოლოდ იოცნებონ იმ უფლებრივ ნორმებზე, რაც უზრუნველყოფილია მშრომელებისათვის ჩვენი შრომის კანონთა კოდექსით. მუშებს და მოსამსახურეებს აქვთ კანონით მტკიცე ნორმებში [illegible] რომლის [illegible]ბა სხვადასხვა წარმოებაში სრულიად უზრუნველჰყოფს ჯანსაღათ შრომას და ცხოვრებას. დასასვენებლად მიცემულია გარკვეული დღეები და მოელი რიგი შვებულებები. სპეციალურ კანონებით დაწესებულია მუშაობის განსაკუთრებული პირობები ქალებისათვის და მოზარდებისათვის. პირველებისათვის ორსულობის პერიოდში, მავნე წარმოებებში და მძიმე სამუშაოებზე, ხოლო მეორეთათვის ამ მავნე წარმოებებში და მძიმე სამუშაოზე არსებულ პირობების გარდა შემოკლებულია სამუშაო დღეც.

ამ კანონების განხორციელება საბჭოთა ხელისუფლებას უხდებოდა იმ სავალალო მემკვიდრეობის პირობებში, რომელიც მას დარჩა მენშევიკურ მთავრობისაგან.

დახავსებული სულისკვეთებით გაჟღენთილი რესპუბლიკის სავაჭრო სამრეწველო ცხოვრება ძნელად ითვისებდა პროლეტარულ კანონმდებლობას. მაგრამ დაუღალავმა მუშაობამ და ფხიზელმა თვალყურის დევნებამ შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების — უფლებრივი, ტექნიკური და სანიტარული ინსპექციის მხრივ—მალე გამოიღო თავისი ნაყოფი. ნახევრად დანგრეული სამრეწველოები კვლავ აღდგენილი იქნენ და მუშაობაც დაიწყეს ახალ პირობებში. ინსპექციის მოთხოვნილებანი — რომ სამრეწველოების მფლობელთა მიერ სასტიკად დაცული ყოფილიყო შრომის კანონმდებლობით დაწესებული ნორმები, ყოველ წლივ უფრო და უფრო მეტი სისწორით და წესიერად სრულდება. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა ინსპექციის მიერ წარდგენილი მოთხოვნები, განსაკუთრებით კი აღმშენებლობითი ტექნიკურ დარგში, ჩვენ ვხედავთ, რომ საწარმოების მეპატრონეთაგან შეუსრულებელი მოთხოვნების პროცენტი ძლიერ ეცემა: 1921—23 წ. წ. ის შეადგენდა 62—66 პროც.-ს, ხოლო 1925 წ. კი დაეცა 33 პროც.-მდე. ამ რიგად ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ ის ფაქტი, რომ როგორც სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის სამეურნეო ორგანოებს, ისე კერძო მფლობელებს, მტკიცეთ აქვთ ამჟამად შეთვისებული ჩვენი ქვეყნის შრომის კანონმდებლობა.

განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა საჭირო ზომების მიღებას უსაფრთხოების მხრივ. უბედური შემთხვევების რიცხვი აღმშენებლობითი მრეწველობაში („ზაჰესი" და სხვ.) მეტად შემცირდა. 1921 წ. აღრიცხული იყო 816 შემთხვევა, 1924 წლისათვის კი ეს ციფრი 48-მდე იქნა დაყვანილი. ასეთი კარგი [illegible] შრომის მექანიზაციის წყალობით და მით, რომ შრომის ინსპექცია დაჟინებით მოითხოვდა საწარმოთა ადმინისტრაციისაგან ან კერძო მფლობელისაგან სამუშაოებზე მცველი ზღუდეების მოწყობას.

შრომის დაცვის დარგში წარმოებულ მუშაობის შედეგები მოწმობენ, რომ წარმოების პირობები დიდათ გაუმჯობესებულია მშრომელთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის მხრივ. ამის დამამტკიცებელია აგრეთვე სოციალური დაზღვევის ცნობები მშრომელთა შორის მკვდოვანობის შესახებ. 1921 წ. მკვდოვანობა დაზღვეულთა შორის შეადგენდა 1000 კაცზე — 12,6 პროც.-ს, 1922 წ.—9,1, 1923 წ.—6,7 და 1925 წ.—6,5 შემთხვევას. დაბადების შემთხვევები კი გაიზარდა მშრომელთა მასების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების გამო.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მცირე პერიოდს, რომლის განმავლობაშიაც სწარმოებდა მუშაობა სოც-დაზღვევის დარგში, მშრომელების უზრუნველსაყოფად ავადმყოფობის, დასახიჩრების, სიკვდილის და სხვა შემთხვევებში არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ამ დარგში მიღწეულმა შედეგებმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. 1923 წ. 100 დაზღვეულიდან ისარგებლა ხელფასის ანაზღაურებით შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო 53 კაცმა, 1924 წ.—65 და 1925 წ —81. ეს ციფრები მოწმობენ, რასაკვირველია, არა იმას, რომ მშრომელთა შორის გაძლიერდა ავადმყოფობა, არამედ იმას, რომ თვით მუშები მეტი სიფრთხილით ეპყრობიან თავიანთ ჯანმრთელობის საკითხს, რომ სოციალური დაზღვევის საქმეც დაუახლოვდა მშრომელ მასებს და თვით ამ მასების კულტურული დონე ამაღლდა. ეს ციფრები ცხადჰყოფენ აგრეთვე იმასაც, რომ დამზღვევი კასების საშუალებები გაიზარდა და გამაგრდა და მათ შეუძლიათ სრული ფაქტიური ხელფასით აუნაზღაურონ მშრომელთ დაკარგული დღეები.

ფართოდ დაყენებული სამკურნალო დახმარება, დაწყებული კვალიფიციურ სამკურნალო დახმარებიდან, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, და გათავებული ბავშვთათვის საკონსულტაციო დახმარებით, ნათლად გვიჩვენებს, რომ მშრომელთა გაჯანსაღების საკითხს ერთი მთავარი ადგილთაგანი უჭირავს სოციალურ დაზღვევის ორგანოთა მოღვაწეობაში. ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები, თუ რამდენი იხარჯებოდა მენშევიკური მთავრობის დროს მუშებისათვის სამკურნალო დახმარების გასაწევად. [illegible]ბოდა ან კიდევ მეტად მცირე და უმნიშვნელო იყო. საავადმყოფო კასებს არ შეეძლოთ ოთხპროცენტიან დამზღვევ გადასახადიდან აენაზღაურებიათ თუ გინდ 2/3 იმ მცირე ხელფასის, რომელსაც მუშები იღებდენ მაშინ.

ეხლა მუშებს ენაზღაურებათ სრული ხელფასი შრომის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევაში. თუ რამდენათ გაიზარდა გასავალი ამ სახის დახმარებისათვის, ამას ჩვენ ვხედავთ თბილისის დამზღვევ სალაროს ცნობებიდან.

1921 წ. საშუალოთ ერთ დაზღვეულზე მოდიოდა ამ გასავლიდან 1 მ. 21 კ. 1922 წ. — 11 მ. 32 კ. 1923 წ. 38 მან. 01 კ. 1924 წ. 51 მან. 61 კ. და 1925 წ. 68 მან. 52 კაპ.

მეტად გაფართოვდა დამზღვევი სალაროების ოპერაციები აგრეთვე დაზღვევის ყველა სხვა სახეების მიხედვითაც, როგორიც არის. მაგალ. უმუშევრობა, ინვალიდობა, გარდაცვალებულთა ოჯახების უზრუნველყოფა და სხ.

მშრომელთა სოციალური დაზღვევის შესახებ ზემოთ მოყვანილ ცნობებს თუ დაუმატებთ ციფრებს იმ მუშების შესახებ, რომელმაც ისარგებლეს კურორტებით და დასასვენებელი სახლებით—ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ რამდენათ გაუმჯობესებულია მუშათა მასების მდგომარეობა ამ მოკლე ხნის განმავლობაში სამოქალაქო ომის დასრულების და მენშევიკების ბატონობის დამხობის შემდეგ. 1924 წ. გაიგზავნა კურორტებზე [illegible] 615 მუშა-მოსამსახურე, ხოლო 1925 წ.—1075, დასასვენებელ სახლებით გასულ წელს ისარგებლა — 5722 კაცმა.

დაბოლოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღწეული იქნა ის, რომ მუშაობის დროს უბედური შემთხვევის ან პროფესიულ მოწამვლისაგან დაზარალებულ მუშებს გასულ წლიდან უკვე ეძლევათ პენსია სრული ხელფასის რაოდენობით.

ასეთი უზრუნველყოფის გატარება ჩვენ შევძელით მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი დამზღვევი კასების სახსრები შესამჩნევათ გაიზარდა, სოციალურ დაზღვევაში მოექცა წარმოება-დაწესებულებების მუშაობაში ჩაბმული მშრომელი მასის უდიდესი ნაწილი და სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხების შემოუტანლობაც მინიმუმამდის იქნა დაყვანილი.

სოცდაზღვევის ბიუჯეტის ზრდას შემდეგი ციფრები გვიჩვენებენ. დამზღვევი სალაროების გასავალი გამოიხატებოდა:

1923 წ.	1.619.213	მანეთი
1924 წ.	2.332.268	„
1925 წ.	5.099.673	„

ახლა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ მომუშავეთა შრომის ხელფასზე.

სახელმწიფო მრეწველობის მუშის საშუალო ხელფასი 1925 წლის მე-4 კვარტალში უდრიდა 23 მ. 66 კაპ. (საქონლის მანეთებში). თუ შევადარებთ მას ომის წინა ხანების ხელფასს, რომელიც საქართველოს სახ. საგეგმო კომისიის მიერ 26 მან. 28 კაპ. (საქონლის მან.) არის გამოანგარიშებული, დავინახავთ, რომ ეხლანდელი ხელფასი შეადგენს 90 პროც.-ს ომის წინა ხანების ხელფასისა. აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მცირე კვალიფიკაციის მქონე მუშებს, რომელთაც ბურჟუაზიული წყობილების პირობებში უფრო მეტად ყვლეფდენ დამქირავებლები, ამჟამად მეტი ხელფასი აქვთ, ვიდრე ომის წინა ხანებში ჰქონდათ. უახლოეს ამოცანას შეადგენს ინდუსტრიის კვალიფიციურ მუშათა და გონებრივი შრომის მუშაკების [illegible] რომელიც შეეფერება მათ როლს და მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის აღმშენებლობაში.

მშრომელთა მასების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებამ შესამჩნევი გავლენა იქონია შრომის ბაზარზე გამოსულ უმუშევრების შემადგენლობაზე. მუშის ოჯახისათვის ეხლა იმდენათ საჭირო აღარ არის ქმარ-შვილიანი ქალის ან მოზარდების შრომით შემოტანილი ხელფასი. ორივე ეს ჯგუფი ყოველწლივ კლებულობს თანდათანობით შრომის ბაზარზე. 1921 წელს უმუშევარ ქალთა პროცენტი შრომის ბირჟაზე აღრიცხული მთელი მასის 31-პროც.-ს უდრიდა, 1925 წ. კი ეს პროცენტი 30,6-მდე ჩამოვიდა, ხოლო უმუშევარ მოზარდების პროცენტი 18-ან 8-მდე შემცირდა.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ჩაბმულ მუშა-ხელის არაჩვეულებრივი ზრდა აშკარად მოწმობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას და საბჭოთა სისტემის განმტკიცებას. შემდეგი ციფრები გვიჩვენებს, თუ რამდენად გაიზარდა წარმოებაში ჩაბმულ მუშა-ხელის რიცხვი:

1923 წ. წარმ. დაწ. მუშ.	76.672	კაცი
1924 წ. „ „	89.151	„
1925 წ. „ „	116.575	„

წარმოება-დაწესებულებებში ჩაბმული მუშა-ხელის ასეთმა ზრდამ დიდი გავლენა მოახდინა შრომის ბაზრის მდგომარეობაზეც.

თუ 1924 წ. ყოველ 100 მუშაზე ჩვენ გვყავდა 30,7 უმუშევარი, 1925 წ. ეს შეფარდება უკვე გამოიხატება როგორც 18,8 ასზე. ამ ზრდასთან დაკავშირებით დაიშრიტა ჩვენი კვალიფიციური მუშა-ხელის ისედაც ღარიბი მარაგი. უმუშევრების რიცხვში ითვლებოდა კვალიფიციური მუშები— 1923 წ. 43 პროც., ხოლო 1925 წ. 14,4. უკანასკნელ ორ წელს უმუშევართა რიცხვი შრომის ბაზარზე შეჩერდა 16—16 ათასზე.

შრომის ბაზრის მოწესრიგების საკითხი ისევ მწვავედ სდგას რესპუბლიკაში, მიუხედავათ ამ დარგში მოპოვებულ მიღწევებისა. მიწის სივიწროვის გამო (საქართველოში ერთ მეურნეობაზე საშუალოდ მოდის 2,36 დესეტინა დასამუშ. მიწისა) გლეხები საჭიროებენ სხვა რაიმე დამხმარე სამუშაოს.

გლეხური მეურნეობის 40 პროც.-ს საშუალოდ აქვს 0,5-დან 1,5 დესეტინამდე და შემოსავალი ასეთი მცირე მეურნეობიდან ოჯახის გამოსაკვებადაც არ ჰყოფნის გლეხს. გარდა ამისა ჩვენს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს წელიწადში ათავებს 8 ათასამდე ახალგაზრდა. არსებულ პირობებში შეუძლებელია, რომ მთელი ეს მასა მოთავსებული იქნეს მრეწველობაში ან სხვა დარგებში, სადაც დაქირავებულ შრომას იყენებენ. მაგრამ განვითარების გზაზე დამდგარ მრეწველობას დასჭირდება კვალიფიციური მუშა-ხელი, ამიტომ ასეთი მუშა-ხელის მომზადება არსებულ მარაგის გადამზადების გზით უნდა შეადგენდეს დღევანდელი დღის ამოცანას.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მთელი ძალღონე მიმართულია მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარებისაკენ. მხოლოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებას შეუძლია საბოლოოდ მოსპოს უმუშევრობა და უფრო გააუმჯობესოს მშრომელი მასების ეკონომიური მდგომარეობა.

დასასრულ ორიოდე სიტყვა წარმოება-დაწესებულებების მუშაობაში ჩაბმულ მუშა-ხელის შემადგენლობის შესახებ საბჭოთა ხელისუფ[illegible]. ჩვენ ხშირად გვისაყვედურებენ და გვიწუნებენ ეროვნული საკითხის მოგვარებას. დე, იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ თუ საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებში ჩვენ მრეწველობაში ქართველები მხოლოდ 34 პროც.-ს შეადგენდენ, 1925 წ. მათი რიცხვი უკვე 57 პროც.-ს აღწევს. ესეც ნათლად მოწმობს მას, რომ ეროვნული საკითხი შრომის ფრონტზე სწორად არის გადაწყვეტილი.

ა. მიქაძე.

შინა-ვაჭრობის მდგომარეობა ჩვენში

გასულ წლის საქართველოს შინა-ვაჭრობის მდგომარეობაში აღსანიშნავია შემდეგი მთავარი ძირითადი მომენტები: 1) რესპუბლიკაში საქონლის ბრუნვა სწარმოებდა განმტკიცებული ვალიუტის საშუალებით, რამაც უსათუოდ გაადვილა შინა-ვაჭრობის ნორმალური მიმდინარეობა; 2) მოსახლეობისათვის პირველი საჭიროების საგნების მომარაგების საქმე, თავის დროზე მიღებული ზომების წყალობით, თითქოს დაუბრკოლებლივ მიმდინარეობდა; 3) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების (მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, თამბაქო და სხვ.) გაძლიერებულმა დამზადება-რეალიზაციამ, რამდენიმეთ ხელფასის მომატებამაც,—საგრძნობლად გაადიდა მოსახლეობის მოთხოვნილება და მსყიდველობითი უნარიანობა, რასაც ბუნებრივათ, თან მოჰყვა საერთო სავაჭრო ბრუნვის აჩქარებაც; 4) ის პოზიცია, რომელიც დაიპყრო სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობამ 1923—24 წელს, საზოგადოთ მტკიცდება და მისი ხვედრითი წონა ქვეყნის საერთო საქონლის ბრუნვაში თანდათანობით მატულობს; 5) გასული წლის განმავლობაში არ ჰქონია ადგილი ფასების მოულოდნელ აწევ-დაწევას, რაც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა წინა წლების ვაჭრობის განვითარებისათვის.

რათა ნათლათ წარმოვიდგინოთ შინა-ვაჭრობის საერთო მდგომარეობა, საჭიროა განვიხილოთ ის ცნობები, რომელნიც ნათელჰყოფენ ზემოხსენებული დებულების სინამდვილეს.

საქართველო, როგორც უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა, სამრეწველო საგნების მომარაგების მხრივ სავსებით დამოკიდებული იყო ჩვენი კავშირის სამრეწველო ცენტრებზე. ამიტომ მთავარი ყურადღება სწორედ ამ სამრეწველო საგნების თავის დროზე შემოზიდვისათვის უნდა მიგვექცია. ამ მხრით ჩვენს წინაშე შემდეგი სურათი იშლება.

პური. პურის დეფიციტი საქართველოსათვის 1924—25 წ. გამოანგარიშებული იყო —4.500.000 ფ. აქედან გეგმით უნდა შემოზიდულიყო—3.300.000 ფუთი, ხოლო დანარჩენი კი უნდა შემოეზიდათ კერძო პირებსა და ორგანიზაციებს. ფაქტიურად შემოიზიდა გეგმიანი წესით 3. 275.000 ფ. ე. ი. გეგმის თითქმის 100 % ხოლო თუ კერძო პირთა შემოზიდვასაც ვიანგარიშებთ, მაშინ 1924—25 წ. სულ შემოიზიდა—5.232.000 ფ. ე. ი. დეფიციტის—16,3% მეტი.

რაც შეეხება 1925—26 საბიუჯეტო წელს —საქართველოსათვის პურის დეფიციტი გამოანგარიშებულ იქნა—4.000.000 ფ.; აქედან გეგმიანი წესით უნდა შემოიზიდოს— 3.350.000 ფუთი მოსახმარებლად და 150.000 ფუთი ბამბის რაიონებისათვის. 1925—26 საბიუჯ. წლის პირველ მეოთხედში გეგმიანი წესით უნდა შემოზიდულიყო—1.065.000 ფ., ნამდვილად შემოიზიდა 1.064.000 ფ., ე. ი. გეგმა შესრულებულია თითქმის მთელი 100 %-ით.

ფართლეულობა. ფართლეულობის (განსაკუთრებით ბამბეული) გეგმიანი შემოზიდვა გასული წლისათვის ნაანგარიშევი იყო 295 რონოდა (დაახლოვებით თითო სულზე, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისათვის, ნაანგარიშევი იყო 12 მეტრი). ნამდვილად-კი წლის განმავლობაში შემოიზიდა სულ—348,5 რონოდა—ე. ი. გეგმის ზევით—18,1%-ით.

მიმდინარე სამეურნეო წლისათვის შინავაჭრობის სახმართველომ მხედველობაში მიიღო მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ზრდა და აგრეთვე თვით ფართლეულობაზე გადიდებული მოთხოვნილება, და ამიტომ მოხმარების ნორმაც წარსულ წელთან შედარებით მეტი მიიღო: სოფლის მოსახლეობისათვის მიღებულ იქნა 14 მეტრი, ხოლო ქალაქის მოსახლეობისათვის-კი—16 მეტრი. ასეთი გზით შემუშავებულ იქნა გეგმიანი წესით შემოსაზიდათ—430 რონოდა. 1925—26 საბიუჯეტო წლის 1—კვარტალში გეგმიანი წესით უნდა შემოზიდულიყო სულ—100 რონოდით, ნამდვილად-კი შემოიზიდა 606 რონოდა, ე. ი. გეგმა შესრულებულ იქნა

შაქარი. 1924—25 წელს შაქრის გეგმიანი შემოზიდვა განსაზღვრული იყო 600 რონოდით, ნამდვილად კი შემოიზიდა 602 რონოდა ე. ი. გეგმა შესრულებულ იქნა —101 პროცენტით.

მიმდინარე სამეურნეო წელს, შაქრის შემოზიდვის გეგმის შემუშავების დროს,—აგრეთვე მომატებულ იქნა შაქრის მოხმარების ნორმა თვითეულ სულზე. მაგ., თუ წარსულ წელში ქალაქის მოსახლეობის თვითეულ სულზე ნაანგარიშევი იყო 3 გირვ. თვეში, მიმდინარე სამ. წლისათვის ეს ნორმა გადიდებულ იქნა 4 გირვ. ასეთი წესით გამოანგარიშებულ იქნა 1925—26 საბიუჯეტო წლისათვის შემოსაზიდი შაქრის რაოდენობა—800 რონოდა. 1925—26 საბ. წლის 1 მეოთხედში უნდა შემოზიდულიყო 170 რონოდა, ნამდვილად კი შემოიზიდა 18[illegible] რონოდა, ე. ი. 10 %-ით მეტი გეგმაზე.

რაიცა შეეხება დანარჩენ სამრეწველო საგნებს (ნავთი, მარილი, ასანთი და სხვ.), მათი შემოზიდვა გასული წლის განმავლობაში ნორმალურად მიმდინარეობდა და ბაზარს არავითარი კრიზისი არ განუცდია (გარდა ლითონისა, რომლის მდგომარეობა განსაკუთრებულია მთელს კავშირში).

მიმდინარე სამეურნეო წელს განზრახულია შემოზიდვა: მარილის—1.600.000 ფ., ნავთის—1.125.000 ფ., ლითონის—1.415.000 ფ., ასანთის—75 რონოდა, სილიკატური საქონლის—230 რონოდა და ქაღალდის— 875.000 ფუთი. მიმდინარე წლის 1 მეოთხედში უნდა შემოზიდულიყო: ა) მარილი —580.000 ფ., შემოიზიდა—370.000 ფ. ე. ი. გეგმის—63,8%, ბ) ასანთი—23 რონოდა, შემოიზიდა — რონოდა, ე. ი. გეგმის 69,6%, გ) ქაღალდი—100.000 ფ. შემოიზიდა—71.000 ფ., ე. ი. გეგმის—71%.

მთავარ სამრეწველო საგნების მომარაგებასთან ერთად, შინა-ვაჭრობის სახმართველო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გეგმიან დამზადება რეალიზაციის საქმეს. ამ მხრით დიდ მიღწევებს აქვს ადგილი, რაც დამამტკიცებელია სოფლის მეურნეობის საერთო აღორძინებისა და მასთან დაკავშირებით ჩვენი ბაზრის ტევადობის თანდათანობითი ზრდისა.

მატყლი. 1923—24 წელში დამზადდა 49 ათასი ფუთი, ხოლო 1924—25 წ. 79.400 ფ., რაც 68%-ით მეტია წინა წლის დამზადებაზე. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ომის წინა დროში დამზადებულ იქნა სულ —140.000 ფ., მიმდინარე წლისათვის განზრახულია დამზადდეს 75.000 ფ. მატყლი, ე. ი. ომის წინა დროის 53.6%. აქედან უკვე დამზადდა პირველ მეოთხედში შემოდგომის მატყლი 34.575 ფ., შედარებით გასული წლის პირველ მეოთხედთან დამზადება გადიდებულია 40.2%-ით.

ბამბა. ომის წინა ხანებში (1914 წ.) საქართველოში დამზადებულ იქნა 88.000 ფ., 1923—24 წ.—85.500 ფ., ხოლო 1924—25 წ. 123.078 ფუთი ე. ი. მომატება 44.0%-ით. მიმდინარე სეზონში უკვე დამზადებულია 149.595 ფუთი ე. ი. 74.9 პროც. მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ მეოთხედში. და 70 პროც. მეტი ომის წინა დროსთან შედარებით.

აბრეშუმის პარკი. 1924 წელში დამზადდა საქართველოში 85.000 ფუთი პარკი. 1925 წელში 28.1%-ით მეტი, ანუ 109.500 ფუთი. მიმდინარე წელში-კი გეგმის მიხედვით განზრახულია დამზადდეს— 125.000 ფუთი; 1914 წელს საქართველოში დამზადებული იქნა 128.000 ფ., ე. ი. მიმდინარე წელს ჩვენ ვაღწევთ ომის წინა დროის დამზადების თითქმის 100%-ს.

თამბაქოს დამზადებაც ერთი ორად გაიზარდა. გასულ 1924—25 წ. დამზადდა— 442.900 ფუთი წინაამდეგ 250.000 ფუთისა 1923—24 წელში, ხოლო 1913 წ.-კი დამზადებულ იქნა 555.000 ფ.

მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში დამზადებულია მხოლოდ 27.679 ფუთი, 58,8%-ით ნაკლები, ვიდრე გასული წლის 1 მეოთხედში. აქედან მხოლოდ ძლიერ უმნიშვნელო ნაწილია ახალი მოსავლის თამბაქო. ამის მიზეზი უმთავრესად ფასების დროებითი შეუთანხმებლობა იყო თამბაქოს მრეწველობასა და მეთამბაქოეთა შორის. ამ მხრივ მიღებულ იქნა სათანადო ზომები და ახლო მომავალში მდგომარეობა სავსებით გამოსწორდება. გეგმით განზრახულია—552.000 ფ. დამზადება, ე. ი. 1923 წლის 95.9%.

ხილეული დამზადდა 1924—25 წ.— 258.000 ფ., პირველ მეოთხედის განმავლობაში-კი დამზადდა 85.540 ფუთი, რაც გასული წლის პირველ კვარტალის დამზადების 27,1% შეადგენს. ხილის დამზადების შემცირება გამოიწვია, გარდა საკმაო კრედიტების უქონლობისა, ის გარემოებამაც, რომ ჩვენი ხილეულის მთავარი დამამზადებელი ორგანიზაცია „ბალ-ზოსტან" კავშირი გვიან ჩამოყალიბდა ორგანიზაციულად და თავის დროზე ბაზარზე გამოსვლა ვერ მოასწრო.

ღვინო. ომამდე ღვინის პროდუქცია ჩვენში უდრიდა 9.090.000 ვედროს. აქედან საკავშირო ბაზარზე გამოდიოდა მთელი პროდუქციის 30%. გასულ წელს დამზადდა —477.500 ვედრო. დამზადების სათანადო მსვლელობას აფერხებდა ღვინის ბაზარზე არსებული დეპრესია. ამ მხრით გადახინჯული იქნა და შემცირებულიც ღვინის აქციზი. აგრეთვე დაარსდა კოოპერატიული ორგანიზაცია „საქართველოს ღვინო", რომელიც ხელს შეუწყობს მევენახეების სათანადო განვითარებას. მიმდინარე წელში განზრახულია დამზადდეს 1.000.000 ვედრო ღვინო. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ღვინის ბაზარს დიდი გამოცოცხლება დაეტყო. მოთხოვნილება ჩვენს ღვინოზე გაიზარდა საკავშირო რესპუბლიკების ბაზარზე. პირველ მეოთხედში დამზადებულია (4 ორგანიზ. მიერ) 881.600 ვედრო ღვინო, ანუ 13,1%-ით მეტი, ვიდრე გასულ წლის პირველ მეოთხედში.

ანალოგიურ სურათს იძლევა აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დამზადება-რეალიზაციის მსვლელობა. ამასთან დაკავშირებით, ცხადია, საგრძნობლად გაიზარდა სოფლის შემოსავალი, რის გამო ადგილი აქვს მცხოვრებლების მსყიდველობითი უნარის თვალსაჩინო ამაღლებას როგორც მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, სოფლის მეურნეობა თანდათანობით იმართება წელში და გლეხკაცობის ეკონომიური კეთილდღეობა იზრდება. ეს გარემოება ერთგვარ გამოხატულებას პოულობს ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვების საერთო გაძლიერებაშიც.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სამრეწველო საგნებზე ფასების დაკლების მტკიცე პოლიტიკასთან ერთად, ზედმიწევნით ტარდებოდა სასოფლო-სამეურნეო საგნებზე გლეხობისათვის მისაღები ფასების დაწესება, რაც ხელს უწყობდა „მაკრატელის" პირების დაახლოვებას. ამის ნათელ სურათს იძლევა ფასების მოძრაობის ქვემო მოყვანილი ცნობები.

შვიდი უმთავრესი სამომხმარებლო საგნის (ჰურ. ფქვილი, ადგილობრივი ხორბალი, ხორცი, შაქარი ნატეხი, ქვა-მარილი, ნავთი, ჩითი) საცალო ფასების შედარება თბილისის ბაზარზე 1924 და 1925 წლებში (ორივე შემთხვევაში აღებულია 1 ოქტომბრის ფასები) გვიჩვენებს, რომ გასული წლის განმავლობაში საერთო ფასს აუწევია ხორცზე (4,2%-ით) და ნავთზე (12,5 პროც.); დაკლებულია ფასი ფქვილზე (10 პროც.), შაქარზე (5,7 პროც. და ჩითზე (5 პროც.). უცვლელია ფასი ხორბალზე (1 მ. 80 კ.) და მარილზე (3 კაპ. გირ.).

ფასების მოძრაობის ერთგვარი მაჩვენებელია აგრეთვე ცნობები საბიუჯეტო ანაწყობის ღირებულების შესახებ. საბიუჯეტო ანაწყობის ღირებულება 1 ოქტომბ. 1924 წ. უდრიდა კერძო ბაზარზე 17 მან. 53 კაპ. ხოლო კოოპერაციაში 17 მ. 1 კ. 1925 წ. 1 ოქტომბ.-კი კერძო ბაზარში 17 მ. 41 კ. და კოოპერაციაში 16 მ. 75 კ., ე. ი. ორივე ბაზარი გვიჩვენებს დაკლებას (0,7 პროც.— 1,6 პროც.)

ეს საერთო დაკლება გამოწვეულია სამრეწველო საგნებზე ფასების დაკლებით (16% კერძო ბაზარი და 17,3% კოოპერაცია). რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო საგნების ფასებს, ისინი აწეულია ორივე შემთხვევაში 9 პროცენტამდე.

შინა-ვაჭრობის ევოლიუციის ცხად-საყოფად, არსებულ სავაჭრო სტატისტიკის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საბირჟო ვაჭრობის ცნობებს; თბილისის და ბათომის სავაჭრო ბირჟების ცნობების თანახმად, უკანასკნელ წლის განმავლობაში ჩვენი ბაზრის საქონლის ტრიალი ერთი ორად გაზრდილა. მათი საერთო წლიური ბრუნვა (1924—25 წ.) შეადგენს— 82.779.000 მან. წინაამდეგ 36.673.300 მ. 1923—24 წ., ხოლო მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში უდრის 37.705.700 მან., წინაამდეგ 18.151.900 მან. გასული წლის პირველ მეოთხედში. ამ რიგად, გასული საოპერაციო წლის ბრუნვები გაზრდილია— 125,7%-ით, ანუ აბსოლიუტურათ— 46.102.800 მან. ხოლო უკანასკნელ პირველ მეოთხედში გასული წლის პირველთან შედარებით ბრუნვა გაზრდილა 107,7%-ით. ამავე დროს ბრუნვების ზრდა სავსებით ორგანიულია. რაც შეეხება ბრუნვების დანაწილებას კონტრაგენტთა შორის, გაყიდვითი ბრუნვაში უმთავრესი ადგილი სახელმწიფო ორგანიზაციებს უკავიათ, ხოლო ყიდვის მიხედვით პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში კოოპერატიულ ორგანიზაციებს. კერძო პირთა როლი შედარებით უმნიშვნელოა, თუმცა დაწყებული მეორე მეოთხედიდან მათი როლი თანდათანობით მნიშვნელოვანი ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ კერძო პირთა როლი დიდი იყო 1923 24 საოპერაციო წლის პირველი თვეების განმავლობაში. ამ წლის პირველ მეოთხედში მათ ეკუთვნოდათ მთელი ყიდვითი ბრუნვის 33,7%, რაც 1925 წლის პირველ მეოთხედისათვის შემცირდა 5,6%-ით, ხოლო მიმდინარე წლის პირველი მეოთხედისათვის გაიზარდა 12,4%. კერძო პირთა უკანასკნელ მეოთხედში მონაწილეობის პროცენტი შედარებით მეოთხე მეოთხედის სათანადო ცნობებთან შემცირებულია (12.4% წინაამდეგ 19,1 პროც.), რაც გამოწვეულია პირველ მეოთხედში საქონლის აღნიშნულ ნაკლებობით, როცა არსებული მოთხოვნილების დიდი პროცენტი არ იფარებოდა და ამასთან დაკავშირებით კერძო პირების სათანადოთ შემცირდათ საქონლის გაცემა. განსაკუთრებით საყურადღებოა კოოპერაციის ხვედრითი წონის მოძრაობა საერთოდ საქართველოს შინავაჭრობის სფეროში და კერძოთ ხსენებულ ბირჟათა სავაჭრო ბრუნვებში. 1923—24 წლის პირველ მეოთხედში მათ ეკუთვნოდათ მთელი ბრუნვის 20,6 პროც., რაც მთელი წლის მეოთხედებისათვის გაიზარდა 51,1%-მდე. შემდეგ იწყება მისი ხვედრითი წონის თანდათანობითი კლება და 1924 25 წლის უკანასკნელ ბრუნვის მხოლოდ—31,5%, ხოლო პირველ მეოთხედში-კი რამოდენიმეთ ისევ აიწია მათი ხვედრითი წონა, სახელდობრ, 38,8-მდე. კოოპერაციის ხვედრითი წონის შემცირების მიზეზები, ერთი მხრით, კრედიტების შემცირება და მეორე მხრივ ფინანსიური სისუსტე. რამდენიმეთ გაიზარდა სახელმწიფო ორგანიზაციათა მონაწილეობა, როგორც მყიდველისა. 1923 24 წლის პირველ მეოთხედში მათ ეკუთვნოდა მთელი ბრუნვის 37,5%, 1924 25 წლის პირველში 49,0 პროც., ხოლო 1925—26 წლის პირველში— 43,5%. შემცირება უკანასკნელ მეოთხედში გამოწვეულია ბაზარზე არსებულ საქონლის მიწოდების სიმცირით.

გაყიდვითი ბრუნვაში, როგორც ითქვა, უმთავრესი ადგილი სახელმწიფო ორგანიზაციებს უჭირავთ. საერთო წლიურ ბრუნვიდან 1924—25 წელში მათ ანგარიშზე მოდის მთელი გაყიდვის 79,6%, წინაამდეგ 81,3 პროც. 1923—24 წელში, ხოლო მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში მათ ანგარიშზე მოდის 73,6 პროც.

კოოპერაციის და კერძო პირების როლი, როგორც გამყიდველების, უმნიშვნელოა, რადგანაც ისინი გაბატონებული არიან საცალო ვაჭრობის სფეროში და ამდენადვე მათი ბრუნვები, ცხადია, არ აღინუსხება საბირჟო ვაჭრობის ცნობებში.

საბირჟო ბრუნვების პროცესში სხვადასხვა საქონლის ჯგუფებიდან უმთავრესი ადგილი უკავიათ შემდეგ ჯგუფებს: საფეიქრო ნაწარმოებს საშუალოდ—22,6 პროც., პურეულობას 13,3 პროც., საბაკალეო. საქონელს—15,2 პროც., ლითონის ნაწარმ.—11,9 და [illegible] ნედლეულ.—9,6 პროც. საერთოდ დასახელებულ 5 საქონლის ჯგუფზე მოდის მთელი წლის ბრუნვის 72,6 პროც., ხოლო მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში—72,1.

ბირჟის ბრუნვის ასეთი ზრდა აიხსნება, რესპუბლიკის საერთო ეკონომიურ აღორძინებასთან დაკავშირებით, მისი ბაზრის ტევადობის გაფართოებით და ნაწილობრივ თვით ბირჟათა ტექნიკური აპარატის გაუმჯობესებით.

სახელმწიფო ვაჭრობა. როგორც აღვნიშნეთ, საბირჟო ბრუნვების ცნობების მიხედვით, საქართველოს შინავაჭრობის სფეროში საგრძნობ ზრდას აქვს ადგილი, რაც ზედმეტად მტკიცდება სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვების განხილვის შემდეგ.

საქართველოში მომქმედ 31 ორგანიზაციის საერთო წლიური (1924—25) სავაჭრო ბრუნვა შეადგენს 65.565.500 მან., რაც მეოთხედების მიხედვით შემდეგნაირად ვითარდება:

მეოთხედები	გაყიდულია 1925 საოპერ. წელში აბს. ათ. მან.	% % პირ. მეოთ. მიმ.
1—მეოთხედი	14 165,8	100,0
2 „	13.663 4	96 4
3 „	17.42[illegible]8	123.0
4 „	20.310,2	143.4
სულ	65.562 2	—

თუ პირველ მეოთხედის სავაჭრო ბრუნვას ასათ მივიღებთ, ამ შემთხვევაში მხოლოდ მეორე მეოთხედი მოგვცემს ბრუნვის უმნიშვნელო (3,6%) შემცირებას, ხოლო მესამე და მეოთხე შესამჩნევ ზრდას; პირველი მათგანი—23,0%-ით, ხოლო მეორე— 43,4 პროც.

მეორე მეოთხედში სავაჭრო ბრუნვების შემცირება გამოწვეულია სავაჭრო პოლიტიკის ხაზის ნაწილობრივ გადახრით და, მასთან დაკავშირებით, სახელმწიფო წარმოების მიერ ანგარიშის გასწორების პირობების გაუარესებით, განსაკუთრებით კოოპერაციის მიმართ. კოოპერაციის მიერ საქონლის შესყიდვა საგრძნობლად შემცირდა მთელი საკავშირო რესპუბლიკების მასშტაბით. დასახელებულ დაწესებულებათა ბრუნვაში კოოპერაციის მონაწილეობის აბსოლიუტური რაოდენობა მეორე მეოთხედში შედარებით პირველ მეოთხედთან, შემცირდა—18,7%-ით, ხოლო მესამეში გაიზარდა 25,0-ით და მეოთხეში—18,5 პროც.

განსაკუთრებით საყურადღებოა კერძო პირების მონაწილეობა მეოთხედიდან მეოთხედზე; სახელდობრ, მეორე მეოთხედში შედარებით პირველთან, ბრუნვა გაიზარდა— 22,0%-ით, მესამეში 71,3 პროც., ხოლო მეოთხეში—182,6 პროც.

სახელმწიფო ორგანიზაციების მონაწილეობაც (აბსოლ. რაოდ.) თანდათანობით ძლიერდებოდა. თუმცა მათი ხვედრითი წონა—25,8%-დან (1 მეოთხ.) შემცირდა— 24,5%-მდე მეოთხეში. მათი მონაწილეობის აბსოლიუტური რაოდენობა მეორე მეოთხედში გაიზარდა 6,6 პროც., მესამეში— 18,4 პროც., მეოთხეში—40,0 პროც.

ამრიგად საანგარიშო წლის განმავლობაში 31 დაწესებულების სავაჭრო ბრუნვის 44,0 პროც. (ანუ 16.391.460 მან. საქონელი) გატარებულა კოოპერაციის საშუალებით, 25,0% (16.391.400 მან.) სახელმწიფო ორგანიზაციების, 15,0 პროც. (9.769.200 მან.), კერძო პირების და 19,% (12.588.300 მან.) საკუთარი ტექნიკური აპარატით-ცალობრივად.

როგორც ვხედავთ, კოოპერაციას უჭირავს უდიდესი ადგილი საქონლის გატარების საქმეში, მწარმოებლიდან მომხმარებლამდის.

უფრო დიდია ამ მხრივ კოოპერაციის როლი პირველ საჭიროების საგნების შემომზიდავ ორგანიზაციათა ბრუნვებში, როგორც არიან საფეიქრო სინდიკატი, „ხლებოპროდუქტი" და შაქრის ტრესტი.

განსაკუთრებით საყურადღებოა მათი სავაჭრო ბრუნვების განხილვა, რამდენადაც მათი მეშვეობით სწარმოებდა რესპუბლიკის გეგმიანი მომარაგება მასიური მოხმარების საგნებით (ბამბეული, პური, შაქარი); მათი საერთო ბრუნვა საანგარიშო წლისათვის შეადგენს—28.907.000 მან. წინაამდეგ— 13.368.700 მან. 1924 წელში.

აქედან საფეიქრო სინდიკატს ეკუთვნის— 18,760.200 მან., წინაამდეგ—8.684. 600 მ. შაქრის ტრესტს—3.977.000 მ., წინაამდეგ —2.363 500 მან., ხოლო „ხლებოპროდუქტს"- 6 169.800 მან., —წინაამდეგ— 2.320.700 მან., ამავე დროს პირველ მათგანის ბრუნვა, შედარებით 1924 წელთან, გაზრდილა—116,0%-ით, მეორისა—68,0%-ით, ხოლო მესამისა —165,8%-ით.

მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში— კი რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებებს შედარებით მეოთხე მეოთხედთან ადგილი არ ჰქონია, ხოლო თუ კი გასული წლის პირველ მეოთხედის ცნობებს დაუპირდაპირებთ, ცხადია, ადგილი ექნება შესამჩნევ ზრდას. სახელდობრ, ოცდა ხუთი სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებათა საბითუმო გაყიდვა უდრის პირველ მეოთხედში— 15.056.200 მან., წინაამდეგ—13.983.900 მ., მეოთხეში 9.762.200 მანეთი, გასული წლის პირველში. ეს ციფრები აშკარა მაჩვენებელია იმის, თუ როგორი სისწრაფით სწარმოებს ქვეყნის სავაჭრო ცხოვრების განვითარება.

თუ საანგარიშო პერიოდის ცნობებს, გასულ წლის პირველ მეოთხედის სავაჭრო ბრუნვებს დაუპირდაპირებთ, ამ შემთხვევაში შევამჩნევთ საბითუმო ვაჭრობის— 54,2%-ით, ხოლო საცალო—78,3%-ით გადიდებას. რაც შეეხება ცალკე კონტრაგენტთა მონაწილეობას, აქ ადგილი აქვს კოოპერაციის ხვედრითი წონის შემცირებას, თუმცა მათი მონაწილეობის აბსოლიუტური მნიშვნელობა გაიზარდა: შედარებით მეოთხესთან—2,4%-ით, ხოლო პირველთან— 19.4%-ით. ამავე დროს სახელმწიფო ორგანიზაციათა როლი კი გაიზარდა—70,8%-ით და 25,5%-ით; კერძო პირთა როლი შედა- 5,2%-ით, ხოლო პირველთან—ზრდას— რებით მეოთხესთან იძლევა შემცირებას— 172,2%-ით. მათი როლის შემცირება აიხსნება უკანასკნელ მეოთხედში აღნიშნულ საქონლის ნაკლებობით.

რაც შეეხება კოოპერატიულ ორგანიზაციათა ხვედრითი წონის შემცირებას ეს მოვლენა აიხსნება, როგორც თვით კოოპერატიულ ორგანიზაციათა ფინანსიური სისუსტით, აგრეთვე კრედიტების შეკვეცით და საქონლის ნაკლებობით უკანასკნელ თვეებში.

კოოპერაცია. კოოპერაცია განსაკუთრებით გაძლიერდა, როგორც პირველ მოხმარების საქონლის გამტარებელი ორგანიზაცია. კერძოთ, კოოპერატიულ დაწესებულებათა საცალო ვაჭრობა (თბილისის მუშკოოპი, „ზაკტპო", საქართველოს ფარგლებში, ბათომის მუშკოოპი და წარმოკავშირის გამსაღებელი პუნქტი) 1924-25 წლის განმავლობაში შეადგენდა—16.299.500 მან., წინაამდეგ—6.890.600 მან., ბრუნვა გაზრდილა—136.,6%-ით, რაც აბსოლიუტურად —9.409.000 მან შეადგენს. მიმდინარე წლის მათი საცალო გაყიდვა კი შეადგენს— 4.864.800 მან., რაც წინაამდეგ მეოთხე მეოთხედისა იძლევა—32,0%-ით გაძლიერებას, ხოლო გასულ წლის პირველ მეოთხედთან შედარებით—20,2%-ს.

რაც შეეხება მთავარ კოოპერატიულ დაწესებულებათა (ცეკავშირი, წარმოკავშირი, თბილისის მუშკოოპი) საბითუმო ვაჭრობას, ის 1923-24 საბ. წ. შეადგენდა—10.801.900 მან., ხოლო 1924-25 წ.—კი 9.856.400 მან. ბრუნვა შემცირებულია 8,9%-ით.

მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში, მათი საერთო საბითუმო ბრუნვები შეადგენს —2.044.100 მან., რაც 11,7%-თ ნაკლებია წინაამდეგ გასულ წლის პირველი მეოთხედისა და 26,2%-ით მეტი მეოთხე მეოთხედისა.

ამრიგად აშკარაა, რომ კოოპერაციის საბითუმო ვაჭრობის სფეროში შედარებით წინა მეოთხედებთან რამდენიმეთ შემცირებულია სავაჭრო ბრუნვები, თუმცა უკანასკნელ (პირველ) მეოთხედში შედარებით პირველთან ადგილი აქვს საგრძნობ ზრდას. ყველა ეს მოვლენები, ცხადია, გასაგები იქნება, თუ განვიხილავთ მათ ფინანსიურ მდგომარეობას. დავალიანება ძლიერდება და საკუთარი საშუალებანი-კი ოდნავად მატულობს. სახელდობრ, დასახელებულ კოოპერატივთა დავალიანება—1923 წლის პირველ ოქტომბრიდან—2.781.900 მან. გაიზარდა 12.955.000 მან. 1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის; საკუთარი საშუალებანი (უძრავი ქონების ჩათვლით) კი—1.268. 300 მან. გაიზარდა— 2.296.900 მან.

ეს ციფრები თანდათანობით იზრდება, მაგრამ დავალიანების ზრდის [illegible] საგრძნობლად სჭარბობს საკუთარი თანხების ზრდის ტემპს. წინასწარი ცნობების მიხედვით, პირველ იანვრისათვის შედარებით პირველ ოქტომბერთან დავალიანების საერთო რაოდენობა გაზრდილა—8,2%-ით, ხოლო საკუთარი საშუალებათა-კი მხოლოდ 0,7 პროც.

აღსანიშნავია, რომ კოოპერაციაში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა თანდათანობით იზრდება. კერძოთ საქართველოს— (აფხაზეთის გამოკლებით) სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რაოდენობა 1924 წ. პირველ იანვრისათვის იყო 70.556, 1925 წლის პირველ იანვრის 135.556, ხოლო მიმდინარე წლის პირველ იანვარს 170.280-მდე.

ანალოგიურ სურათს იძლევა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წევრთა მოძრაობა, სახელდობრ, წარმოკავშირის სისტემაში 1923 წლის პირველ იანვრისათვის გაერთიანებული იყო 10.444 სამეურ. ერთეული, 1925 წ. იანვრისათვის 25.029, ე. ი. 139,6%-ით მეტი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ იანვარს 33.865 სამ. ერთეული, ე. ი. 224,3 მეტი 1924 წ. 1 იანვართან შედარებით.

ამრიგად, გასული წლის მოქმედების მოკლე განხილვა გვიჩვენებს, რომ უპირველეს-საჭიროების საგნების მომარაგება შედარებით წინა წელთან ყოველნაირათ გაუმჯობესებულია. სახკოოპერატიული ორგანიზაციის ხვედრითი წონა ვაჭრობაში თანდათან იზრდება. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დამზადება-რეალიზაცია ძლიერდება, რაც მოასწავებს სოფლის მეურნეობის სრული აღდგენის მოახლოვებას. ქვეყნის საქონლის საერთო ბრუნვა აჩქარებული ტემპით მატულობს. აღსანიშნავია მხოლოდ კოოპერაციის დავალიანების არანორმალური ზრდა, რომლის დაძლევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ზემო თქმულიდან თავისთავად გამომდინარეობენ მომავალი მუშაობის ძირითადი ამოცანები, შინა-ვაჭრობის სფეროში, რომელთა შორის უპირველესია:

1) ენერგიული ზომების მიღება პურისა და უმთავრეს სამრეწველო საგნების თავის დროზე შემოსაზიდათ;

2) სახკოოპერატიულ სავაჭრო აპარატის რაციონალიზაცია და საცალო ფასების მოწესრიგება ნორმალური ზედნართის დაწესების გზით;

3) სახკოოპერატიულ ვაჭრობის მიერ დაპყრობილი პოზიციების შენარჩუნება და განმტკიცება;

4) კოოპერაციის საბრუნავი თანხის გაძლიერება გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხის მიცემის საშუალებით;

5) გეგმიანი კრედიტის პრინციპის განხორციელება მრეწველობისა, ვაჭრობისა და სასოფლო მეურნეობის ინტერესების შეთანხმებით და დაცვით;

6) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება და მისი რეალიზაციის სავსებით უზრუნველყოფა.

ლ. გამყრელიძე.

მ. ჩ. ზ.
1—1 1650

ჩვენი სოფლის მეურნეობა

ბევრს საშინელებას ავრცელებდენ საბჭოთა ხელისუფლების შესახებ იმ დროს, როდესაც საქართველოში ბატონობდენ მეორე ინტერნაციონალის შტატ-გარეშე დარჩენილი გენერლები ვინც დღეს პარიზში არის მოკალათებული ბრიანის ფრთებს ქვეშ. რა ჭორებს, ბრიანის ფრთებს ქვეშ. რა ჭორებს, რა უსინიდისო ცილისწამებას არ იგონებდენ რამიშვილის დამქაშები კომუნისტების და საბჭოთა ქვეყნის შესახებ. ხალხის შესაშინებლად და ჩვენი სახელის გასატეხად ისეთი რამეების მოგონებასაც-კი არ ერიდებოდენ, როგორც „მტაცებლობის კვირა“, „ქალების განაწილება“ და სხვ.

მაგრამ დაჰკრა ჟამმა და საქართველოს მშრომელთ, სახელოვან წითელ არმიის დახმარებით, გააძევეს საქართველოდან ქართველი ერის არამკითხე ჭირისუფლები: ისინი უმუშევრებად, პარიზის, ლონდონის და რომის სამინისტროებში უკანა კარებიდან მავალ მოხეტიალე სტუმრებად იქცნენ.

იქ მათი სისინი უფრო მძაფრი გახდა, საქართველოს მშრომელთა ავაზაკურად გატაცებული დოვლათის წყალობით ყვითელი ქუჩის ფურცლებისათვის მიწოდებული ინფორმაცია ბოლშევიკებს სხვა ნაირად არ იხსენიებს, თუ არა როგორც სასტიკ ოკუპანტებს, რომლებმაც გაანადგურეს, გაალატაკეს ჩვენი ქვეყანა, დაღუპვის და დაქვეითების გზაზე დააყენეს იგი.

ქვემოდ მე შევეხები საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ დარგში—სოფლის მეურნეობაში. აქ ჩვენ ვხედავთ უდავო წინსვლას და წარმატებას, ჩვენი სოფლის მეურნეობა შეუჩერებლად წინ მიდის, მან უკვე დაღწია თავი იმპერიალისტური ომის და მენშევიკების ბატონობის დროინდელ არევ-დარევას. რაც დრო მიდის, ეს პროცესი უფრო თვალსაჩინო ხდება, სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგების აღდგენა უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ზოგ დარგში ჩვენ დავუახლოვდით ომის წინადროინდელ ნორმებს, ზოგან კიდეც წინ გავუსწარით.

სოფლის მეურნეობის რომელ დარგსაც არ უნდა შევეხოთ, ყველგან თვალწინ სანუგეშო სურათი გვეშლება: ნათესების სივრცე, სასოფლო - სამეურნეო კულტურების მდგომარეობა, სოფლის მეურნეობის საერთო ბალანსი—ყველგან უდავო გაუმჯობესებაა, ხალხის დოვლათის უეჭველი ზრდა.

პურეულობის და სიმინდის ნათესები, მენშევიკურ დროსთან შედარებით, თითქმის ერთ-ნახევარჯერ გაიზარდენ, ომის წინადროინდელ ნათესების არესაც სულ რაღაც 6-6½ პროცენტით-ღა ჩამოვრჩებით, თამბაქოს პლანტაციები ჩვენს დროს ხუთნახევარჯერ გაფართოვდა ბამბის პლანტაციები 390%-ით გადიდდენ.

ჩაის და აბრეშუმის პარკის მოყვანის საქმეში ჩვენ ომის წინა-დროინდელ ნორმებსაც გადავაჭარბეთ, არა თუ მენშევიკების დროის უბადრუკ ციფრებს. მაგალითად, აბრეშუმის მოსავალი, ნედლი პარკის ათი ათას ფუთობით, იყო: 1914 წელს—128, 1917 წ. — 42 (32,8%), 1918 წ. — 40 (31,2%), 1920 წ.—50 (39,1 %), 1921 წ. —85 (66,4%), 1922 წ. —100 (78,1%), 1924 წ. — 139 (108,6%) და 1925 წელს—140 (109,3%).

საინტერესოა აგროდახმარების საქმის შესახებ პარალელი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და საბჭოთა ხელისუფლების დროს. ავიღოთ თუნდ ციფრები ამერიკულ ნამყენი ვაზის სადედეების შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ კატასტროფიულად ანადგურებს ჩვენი გლეხის დოვლათის ერთ - ერთ მთავარ წყაროთაგანს, ვაზს, ოთხმოცდაათიან წლებიდან ჩვენში გავრცელებული ფილოქსერა: საქართველოს გასაბჭოებამდე, რაღაც ოციოდ წლის განმავლობაში, საქართველოს ვენახები განახევრდა. მაგრამ არც მეფის მთავრობას, არც მენშევიკებს არ უზრუნვიათ კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მევენახეობა-მეღვინეობის საშველად. გლეხისთვის ამერიკულ ვაზის მისაწოდებლად გასაბჭოებამდე მთელს საქართველოში მოიპოვებოდა სულ 14 დესეტინა ამერიკულ ვაზის სადედე. 1924 წელს სადედეების არე უკვე 76 დესეტინას უდრიდა, ხოლო 1925 წლის ბოლოს მარტო სახელმწიფო სადედეები 188 დესეტინამდე გაიზარდენ.

ავიღოთ ეპიზოოტიებთან ბრძოლა. თუ მენშევიკების დროს ერთად-ერთ მაშინდელ ტაბახმელის სადგურს შეეძლო დაემზადებინა წელიწადში მხოლოდ 434 ლიტრა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი, ჩვენსობას, მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში, იმავ სადგურმა დაამზადა თითქმის ექვსი ათასი ლიტრა შრატი. ამას გარდა ჩვენმა ვეტდაწესებულებებმა დაამზადეს უკანასკნელი წლის განმავლობაში 555 ლიტრა სხვა შრატისა, 150 ათასი ციმბირის [illegible] საწინააღმდეგო ვაქცინა, ნახევარ მილიონი დოზა „ოვინა“.

საქართველოს სინამდვილეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მელიორაციის საქმეს, მაგრამ გასაბჭოებამდე, აქაც არა გაკეთებულა-რა. საბჭოთა ხელისუფლებამ - კი 6 არხი გაიყვანა და ოთხი არხიც დამთავრების პროცესშია. ყველა ამათი სიგრძე 212 ვერსს უდრის, მათი საშუალებით სამოცდა ათი ათასი დესეტინა ირწყვის და მოირწყვის. და ამით არ გათავებულა საქმე, სწარმოებს ახალი გამოკვლევები, ნაწილობრივ დაწყებულია კიდევ ახალი სამუშაოები, მაგალითად, ფოთის ჭაობების დაშრობა, რის შედეგი ფასდაუდებელი იქნება მოსახლეობისათვის.

და ასე ყველგან, სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. დაუღალავათ იღწვის უკანასკნელის წარმატებისათვის მუშათა და გლეხთა მთავრობა, ახალ-ახალ ღონისძიებებს მიმართავს, არავითარ ხარჯს არ ერიდება სოფლის კეთილდღეობის მისაღწევად. სრ. საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობის დადგენილების ძალით, მახლობელ წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს უნდა მოხმარდეს ყოველწლიურად ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის 25%-მდე. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის 5-წლიანი საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულია თითქმის 20 მილიონის დახარჯვა.

აი ამიტომაც სისინებს, წუწუნებს და იცრემლება ყველა ჯურის „ყოფილი ხალხი“, ვისაც ვერ მოუნელებია ჩვენი მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართული საქმიანობა, ამიტომაც ეჩვენებათ მათ „შავად“ ჩვენი „თეთრი“, ამიტომაც [illegible] ულმობლ ფეხები, ყოველგვარ ავანტიურაში ჩაებნენ, ოღონდ ყოფილი საკუთარი კეთილდღეობა დაიბრუნონ.

სატირელი და სავალალო-კი მართლაც რომ აქვთ.

რევოლუციამდე გლეხების ხელში იყო საქართველოს მიწების მხოლოდ —6,2%, დანარჩენი 93,8% ეკუთვნოდა მეფის ხაზინას (57,8%), თავად-აზნაურობას (31,3%), სამღვდელოებას და ვაჭართა წოდებას (2,4%), საუფლისწულო უწყებას (1,9%), ეკლესიებს და მონასტრებს (0,4%).

მენშევიკების, უკაცრავად პასუხია, აგრარულმა რეფორმამ ცოტა რამ შესძინა მშრომელთ: თითო თავად - აზნაურულ კომლს საშუალოდ დაუტოვეს 7,8 დესეტინა მიწა, გლეხის კომლს-კი ამის ნახევარიც არ ერგუნეს (3,7 დეს.), ესეც მეტ წილად ენუქას ანდერძად დარჩა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ სწორხაზიანად და გაბედულად გადასწყვიტა აგრარული საკითხი ისე, როგორც ეს მშრომელთა ინტერესებს შეეფერებოდა; ძირიანად მოსპო მიწის კერძო საკუთრება, გამოდევნა სოფლიდან ყველა მუქთახორა, მიწის სრულუფლებიან პატრონად ის გახადა, ვისიც კოჟრიანი ხელი ამუშავებდა წლობით ამ მიწას, ვინც ოფლით და სისხლით მორწყო საბატონო სახნავ-სათესი და ბაღ-ბოსტანი.

ჩვენ ჩამოვართვით კერძო მფლობელთ 142 ათასი დესეტინა მიწა, თითქმის მთლად დავურიგეთ იგი უმიწაწყლო და მცირე მიწა-წყლიან გლეხობას. ამავე მიზნით სწარმოებს ამჟამად დაკვრითი წესით საბჭოთა მეურნეობათა გადასინჯვა - გადამიჯვნა, მიწათ - მოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს სახალხო მამულების გამგებლობაში მყოფ მიწების 30% საგლეხო ფონდში გადარიცხოს. უკვე გადაეცა უმიწაწყლო და მცირე მიწა - წყლიან გლეხობას სახალხო მამულებიდან 16.000 დესეტინა მიწა.

ამას გარდა, გლეხობას გადაეცემა ადგილობრივი ხასიათის ტყეები. სულ ნავარაუდევია 245,517 დესეტინა ტყის გადაცემა, საიდანაც უკვე გადაცემულია 127.700 დესეტინა—დანიშნულ რაოდენობის 52,3%.

ასე და ამრიგად, ჩვენებური რადიო ჭორიკანების წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოთ, წლითი-წლობით მტკიცდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, ფართოვდება მისი ღონისძიებები მშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლათ, სახალხო მეურნეობის და კერძოთ, სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება ჩვენი მიღწევები.

დეე, ისისინონ, იწუწუნონ, იცრემლონ ყველა ხანის, ყველა ჯურის და ხარისხის „ნოებმა“, მათ არ ძალუძთ ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნება, „მენშევიკურ სამოთხის“ აღდგენა, ჩვენი მიღწევების მიფუჩეჩება.

სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად მიმართული საქმიანობა ისეთი ხასიათისაა, რომ მისი ნაყოფის ერთბაშად დანახვა არ შეიძლება. საჭიროა წლები, კიდევ რამდენიმე ხუთი წელიწადი, რომ ჩვენმა ნათესმა სრული მოსავალი მოგვცეს. მაგრამ ის, რაც უკვე გაკეთდა, ჩვენი მიღწევების დღევანდელი ნაღდი საუკეთესო თავდებია იმისი, რომ ჩვენ ნამდვილად წარმატების გზაზე ვდგევართ. ეს ცხადზე-უცხადესია, ამის მიფუჩეჩებას ვერ შესძლებენ პარიზის ბანკირების ხელში შემცქერი „დემოკრატიულ საქართველოს“ უნუგეშო მგლოვიარენი, მათი მშიშარა და უნი- [illegible]

დეე, იჭორიკანონ პარიზის ბულვარებზე და ჩვენს „დეზერტირკაზე“, მათი უილაჯო ყბედობა ვერავის შეაშინებს, ვერავის რამეში დააჯერებს, ცხოვრებამ შეუბრალებლად გაასამართლა ისინი, ისტორიის არქივს ჩააბარა. მაშ, მშვიდობით განისვენონ ამ არქივში, ჩვენს სინამდვილესთან და ჩვენ მიღწევებთან მათ საქმე არა აქვთ, მათ ვერ მისწვდებიან, ვერ მიაფუჩეჩებენ, ვერ გააზნილებენ.

ა. გეგეჭკორი.

საბჭოთა მედიცინის ხუთი წლის თავი

ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში საბჭოთა მთავრობის მიღწევების ყოველმხრივ გასაშუქებლად საჭიროა გავიხსენოთ, თუ როგორ იყო მოწყობილი ეს საქმე წინეთ.

ცარიზმის დროს საექიმო-სასანიტარო დაწესებულებათა ქსელი უმნიშვნელო იყო; ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა სხვადასხვა უწყებათა ბიუროკრატიულ აპარატის ხელში იყო და მას უკანასკნელი ადგილი ჰქონდა დათმობილი, ამ საქმეში დიდი ცვლილება ვერ შეიტანა ვერც მენშევიკურმა მთავრობამ, რომელმაც სრულიად განადგურებული დაწესებულებები დაგვიტოვა.

ამგვარად ჩვენ გაპარტახებული და განადგურებული მედიკურ - სანიტარული ორგანიზაციები დაგვრჩა მემკვიდრეობით, მაგრამ მიუხედავათ სიღარიბისა, ჩვენ მაინც შევუდექით ფართო აღმშენებლობას სრულიად ახალ საფუძველზე. საბჭოთა მთავრობა, რომელსაც კომპარტია ხელმძღვანელობს, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავის საბოლოო მიზნის—სოციალიზმის განხორციელებისათვის.

ყველა ჩვენი ღონისძიებანი მიმართულია მთელი კოლექტივის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაჯანსაღებისაკენ, თვით მშრომელთა აქტიურ მონაწილეობით ამ საქმეში. ამჟამად ჯანმრთელობის დაცვის საქმე ჯანსახკომისარიატის ერთიან ორგანოს ხელშია. მიუხედავათ ეკონომიურ გაჭირვებისა, ჩვენმა სამკურნალო-სასანიტარო ქსელმა საგრძნობლად გაუსწრო წინ ომამდის არსებულ ქსელს. ცენტრში შევქმენით სამეცნიერო-მაჩვენებელი დაწესებულებები ყველა სპეციალურ დარგში. საქართველოში პირველად მოეწყო ისეთი სპეციალური სტაციონალური დახმარებანი, რომელნიც წინეთ არ არსებობდენ (ფიზიო-ტერაპია, ფსიქიატრია, უროლოგია, ყელის, ყურის, თვალის დახმარება და სხვა.) თითქმის ყველა სამაზრო ცენტრში მოწყობილია საავადმყოფოები, სადაც მცხოვრებთ ქირურგიულ დახმარებასაც უწევენ, წინეთ კი ასეთ დახმარებას პროვინციის მოსახლეობა მოკლებული იყო. სოფლის მოსახლეობის დახმარების აღმოსაჩენად გავხსენით სამკურნალო პუნქტები

საქართველოში 489 თემია, მათ შორის 265 თემს სამკურნალო დაწესებულებები აქვს.

სულ საქართველოში, ავტონომიურ რესპუბლიკებით, და საქ. რკ. გზის ხაზზე იყო:

	მეფის დროს	მენშ. დროს	არის საბჭ. ხელ. დრ.
საავადმყოფო	38	45	86
საწოლები მათში	1985	1093	3711
მათ შორის:			
ქირურგ.	61	61	740
„ სამ.-გინ.	80	80	377
„ თვალის	30	30	60
„ ფიზ.-ტერ.	0	0	50
„ ფსიქიატ.	215	215	287
საექ. პუნქტი	36	117	234
კბილის საექ. კაბ.	4	3	59

[illegible] მელნი ღებულობენ პირველად ყოვლისა და შეძლებისამებრ უფასო დახმარებას.

განსაკუთრებით დიდი მიღწევები გვაქვს დაზღვეულთა საექიმო დახმარების საქმეში; წინედ არსებობდენ საავადმყოფო სალაროები, რომელნიც დახმარებას უწევდენ 5.000 მუშას—ნაწილობრივ მათივე ხარჯზე, დღეს კი მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახები ყოველგვარი საექიმო დახმარებით სრულიად უფასოდ სარგებლობენ. ამ მიზნით საზოგადო დაწესებულებების გარდა გაიხსნა სპეციალურიც, რომელშიაც საუკეთესო სპეციალისტები მუშაობენ.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია სერიოზული ყურადღება სანიტარულ-გამაფრთხილებელ ღონისძიებებს. ასეთია სანიტარული მეთვალყურეობის ორგანიზაცია, ლაბორატორიების და სადეზინფექციო კამერების რიცხვის გადიდება, აბანოების აგება, კეთილმოწყობის საქმე და სხვა.

ამავე დროს დაიწყო ბრძოლა სოციალურ სნეულებებთან (ვენერიზმი, ტუბერკულოზი, მალარია).

საქართველოში პირველად საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიხსნა სპეციალური ამბულატორია—დისპანსერები და მოეწყო სამალარიო სადგურების ქსელი.

სანიტარულ-განმანათლებელი მუშაობა თანდათან თვალსაჩინო ადგილს იკავებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა საერთო სისტემაში.

დედათა, ბავშვთა და მუშა-მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა წინეთ საქველმოქმედო საქმე იყო, დღეს ის საბჭოთა მედიცინის მთავარ ამოცანას შეადგენს.

საქართველოს კურორტები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კერძო პირების ხელში იყო და ისინი პრივილეგიურ კლასების გასართობ ადგილს წარმოადგენდენ. დღეს კურორტები სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენენ და ისინი მხოლოდ მშრომელთა ჯანმრთელობის აღდგენის საქმეს ემსახურებიან.

ასეთია მოკლედ ჩვენი მიღწევების საერთო სურათი ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ ვმალავთ იმ დეფექტებსაც, რომელნიც ნივთიერ ხელმოკლეობის შედეგია. ბრძოლა ჩვენ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის საფუძვლად უდევს ჩვენს მოქმედებას ახლო მომავლისათვის.

გლეხობასთან კავშირის განმტკიცებაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეს პირველი ადგილთაგანი უჭირავს. ამიტომ ჩვენი ღონისძიებანი შემდეგშიც უნდა იქნეს მიმართული გლეხობისათვის საექიმო დახმარების გაუმჯობესებისაკენ. არსებულ სასოფლო ქსელს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. საავადმყოფოებისა და პუნქტების ბინების უმრავლესობას შეკეთება სჭირდება, ინსტრუმენტების და ინვენტარის ნაკლებობასაც განვიცდით.

არ არის საკმაოდ ფართოდ მოწყობილი გლეხების მედიკამენტებით უფასო დახმარების საქმე. პროვინციაში მეტად სუსტია სპეციალური და კვალიფიციური დახმარება.

საექიმო პუნქტების უმეტესობა არ არის უზრუნველყოფილი საჭირო [illegible] მის თანაშემწე და დარაჯი). სამეანო დახმარება ყველგან არ არის მოწყობილი

საჭიროა სოფლის მედპერსონალის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება: ხელფასის მომატება, შესაფერი ბინების მიცემა, მიმოსვლის საშუალებები; საჭიროა აგრეთვე მისთვის კულტურული პირობების შექმნა (მივლინებები ლიტერატურის მიწოდება და სხ.)

სანიტარული მეთვალყურეობის ორგანიზაცია სუსტია, არაა საკმარისი სანიტ.-პროფილაქტიური, დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებები და სხ. საკმაოდ ფართოდ არ სწარმოებს ბრძოლა სოციალურ სნეულებებთან.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით არსებულ მიღწევებით ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. შემდეგი წარმატებები ამ დარგში მჭიდროთაა დაკავშირებული სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობასთან. მაგრამ თუ ჯანმრთელობის დაცვის დღევანდელ მდგომარეობას შევადარებთ იმას, რაც წინა წლებში იყო, მიუხედავათ აღნიშნულ ნაკლისა, ჩვენ მაინც საგრძნობ შედეგები გვაქვს და დღევანდელი მდგომარეობა გუშინდელზე გაცილებით უკეთესია.

ჩვენ გვაქვს მედიკურ-სანიტარულ დაწესებულებათა მტკიცე ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს პირდაპირ ხელი მოვკიდოთ ჩვენი მთავარი ამოცანის განხორციელებას —შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და გამაფრთხილებელ ზომების მიღებას.

ჩვენი სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებებისაგან მოვითხოვთ არა მარტო სნეულებათა განკურნებას, არამედ აგრეთვე ამ სნეულებათა წარმოშობის მიზეზების გამოკვლევას, იმ პირობებისა და გარემოს შესწავლას, რომელშიც ცხოვრობენ და შრომობენ ავადმყოფები, და კავშირის გაბმას სამკურნალო დაწესებულებებსა და მშრომელთა შორის. ეს არის ეგრედ წოდ. პროფილაქტიური განხრა მედიცინაში, სამკურნალო დაწესებულებათა დისპანსერიზაცია. ეს ახალი და ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენ ის მედპერსონალისა და მშრომელთა საერთო ძალღონით უნდა ვსძლიოთ.

საჭიროა გლეხობა ჩავაბათ თავის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, დავაინტერესოთ ის სანიტ.-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესებისა და სოფლის კეთილმოწყობის საკითხებით და სხვა.

ამ მიზნით სათემო საბჭოებთან ჩვენ ვაწყობთ ჯანმრთელობის სექციებს, რომლებშიც მეთემეებთან ერთად შევლენ სოფლის ყველა კულტურული მუშაკი და ადგილობრივ სასოფლო ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

რამდენად უფრო ფართოდ გაიშლება მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის დარგში სოფლად, მით უფრო ადრე მოისპობა ბუნებრივი შური გლეხებისა ქალაქის მცხოვრებთადმი და განმტკიცდება ნამდვილი კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის.

საბჭოთა ხელისუფლებას ჯანმრთელობის დაცვის დარგში [illegible] რთული ამოცანები აქვს გადასაჭრელი მაგრამ ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის აღორძინების დროს მუშათა კლასი და გლეხობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის შემწეობით შესძლებენ დასახულ მიზნების განხორციელებას ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

გრ. კუჭაიძე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაობა

(1925 წლის ანგარიშიდან)

1924 წლის დამლევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, თავის აპარატის რეორგანიზაციისთანავე, პარტიის და ხელისუფლების დირექტივების თანახმად შეუდგა იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთაც ერთის მხრივ ძირიან-ფესვიანად უნდა შეეცვალათ ძირითადი საბჭოთა აპარატის სტრუქტურა, ხოლო მეორეს მხრივ —გამოეცოცხლებინათ მათი მუშაობა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 მოწვევის მე-2 სესიის დადგენილების განხორციელებისათვის, რომლის ძალითაც უქმდებოდა რაიონული სისტემა და უნდა დარსებულიყო სისტემა თემებისა, საჭირო იყო დაწვრილებით შესწავლა ყველა იმ საკითხის, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ ახალ ადმინისტრატიულ დაყოფასთან. ამიტომაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მთელს რესპუბლიკაში შეაგროვა ვრცელი მასალა, რომელშიაც მოიპოვებოდა ყოველგვარი ცნობა ამა თუ იმ მაზრის და ავტონომიურ ერთეულის მოსახლეობის რაოდენობის და მაზრებისათვის სასურველი თემთა და სოფელთა რიცხვის შესახებ—თემებისა, მაზრებისა და ავტონომიურ ერთეულების ცენტრების აღნიშვნით.

ამ მასალის მიხედვით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი მაზრებისა და ავტონომიურ ერთეულების ახალი ადმინისტრატიული დაყოფისა. აღნიშნული პროექტი, რომელსაც თან დაერთო ახლად შედგენილი ადმინისტრატიული რუკები თითოეულ მაზრისა და ავტონომიურ ერთეულისა ცალ-ცალკე (სადაც აღნიშნული იყო მაზრის და თემის საზღვარი, თემში შემავალი სოფლები, გზატკეცილი და საურმე გზა, ბილიკები და სხვ.), ყველა დაწვრილებითი ცნობებით 1922—23 და 1924 წლების ადმინისტრატიულ დაყოფის შესახებ, ეს პროექტი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა განსახილველად წარუდგინა მაზრაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირს, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს ცაკის მიერ 1924 წლის დეკემბრის დამლევს. პროექტი დამტკიცებულ იქნა ცაკის მიერ 1925 წლის იანვრის 8-ს.

ახალი ადმინისტრატიული დაყოფა და ახალი, ე. ი. 1925 წლის, არჩევნები მოხდა ერთ და იმავე დროს. ამ არჩევნების მოსაწყობად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ემზადებოდა ახალი ადმინისტრატიული დაყოფის პროექტის დამუშავების პროცესში. მთელი საარჩევნო მასალა, რომელიც კი შეგროვებული იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოღვაწეობის წლებში, დამუშავდა შემდეგ გამარტივდა. ადგილებს დაეგზავნათ ცირკულიარები და ინსტრუქციები, რომლებშიც განმარტებული იყო არჩევნების წარმოების წესები. ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულების თანახმად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (რომლის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება ეფექტური გამტარებელი იყო ამ ღონისძიებისა) მოაწყო სამაზრო და სათემო საარჩევნო კომისიები, რომელნიც, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მითითებით, პერიოდულად გზავნიდენ ცნობებს არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, ერთად, რომლებსაც გზავნიდენ მაზრაში არჩევნების ხელმძღვანელად გაგზავნილი პასუხისმგებელი რწმუნებულები, დაწვრილებით იქნენ შესწავლილი და იმუშავებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების სტატისტიკური ნაწილი. შედეგად ასეთი დამუშავებისა იყო ცნობარი—წიგნის [illegible] შესახებ, დაწვრილებითი იხ. წიგნი „ს. ს. ს. რ. ადმინისტრატიული დაყოფა“-ს გამოცემა, რომელიც საჭიროება აღიარებული იყო მრავალი დაწესებულების მიერ. ამასთან ერთად გამოიცა, აგრეთვე, მეორე წიგნიც: „1925 წლის საბჭოთა არჩევნების შედეგები“.

არჩევნების დამთავრებისთანავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შეუდგა ყველა მაზრის და თემის აღმასკომების ძირითად შემადგენლობის აღრიცხვას. ამასთან სამაზრო აღმასკომებს დაევალათ სისტემატიურად წარმოედგინათ შინაგან საქმეთა სა- [illegible] შესახებ, თუ რა ცვლილება მოხდებოდა სამაზრო ან სათემო აღმასკომების პირად შემადგენლობაში. ასეთი ცნობების წარმოდგენა საშუალებას აძლევდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სწორი აღრიცხვა ჰქონოდა აღმასკომების მთელი პირადი შემადგენლობისა.

არჩევნების დამთავრებისთანავე და ახალი ადმინისტრატიულ დაყოფის შემოღების შემდეგ, მთელს ს. ს. ს. რესპუბლიკაში დაარსდა 468 თემი და 161 სასოფლო საბჭო. (ეს რიცხვები ეხლა ცოტად შეცვლილია, ვინაიდან ზოგ ადგილას თემები და საბჭოები გაუქმდენ.)

თემაღმასკომების, თემსაბჭოების და სასოფლო საბჭოების შემოღებამ თავისთავად წარმოშვა საკითხი ამ ძირითადი საბჭოთა აპარატების მუშაობის ნაციონალიზაციისა და მათი უფლება-მოვალეობის განსაზღვრის შესახებ. ძველი დებულებანი, რომელნიც აწესრიგებდენ ამ ძირითადი აპარატების, სამაზრო აღმასკომების და მაღლა მდგომ ორგანოების ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და რომელნიც განსაზღვრავდენ ამ აპარატების მოქმედების ფარგალს, არ ვარგოდენ დღევანდელ სინამდვილის პირობებში. საჭირო იყო ახალი ინსტრუქციები, ახალი დებულებანი ძირითად აპარატების შესახებ; საჭირო იყო, აგრეთვე მუდმივი ხელმძღვანელობა ამ აპარატების მუშაობაში. ყველა ამ საკითხის შესასწავლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, ცაკთან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების დამმუშავებელ თათბირის დავალების თანახმად, მაზრებში გაგზავნა მობილიზაციის წესით პასუხისმგებელი მუშაკები; უკანასკნელთ მიეცათ საჭირო დირექტივები და ინსტრუქციები, რომელნიც გაუდვილებდენ მათ ძირითადი აპარატების მუშაობის ყოველმხრივ შესწავლას. იმ მასალების მიხედვით, რომელნიც კი შეგროვილ იქნენ მიერ, უკანასკნელმა შეიმუშავა „ინსტრუქცია ძირითადი საბჭოთა აპარატებსა და ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს შორის ცოცხალი და წერილობითი კავშირის მოწყობის“ შესახებ, აგრეთვე—დებულებანი „თემსაბჭოების სათემო აღმასკომების და მოქალაქეთა საერთო კრების“ და „სამაზრო ქალაქების შესახებ“. აღნიშნული დებულებანი“ და „ინსტრუქცია“, რომელნიც დამტკიცებული იყო ცაკის მე-3 მოწვევის მე-2 სესიის მიერ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა და დაუგზავნა ადგილებს ხელმძღვანელად.

იმ მიზნით, რომ გამოცოცხლებულიყო თემაღმასკომების მუშაობა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ზაფხულის პერიოდში დაარსა თემაღმასკომების მდივნების ერთთვიანი კურსები, რომელიც სამ წყებათ დაამთავრა 153 კაცმა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი დიდ ყურადღებას აქცევდა იმას, რომ მის აპარატსა და სამაზრო აღმასკომებს შორის არსებულიყო მუდმივი კავშირი, როგორც წერილობით, აგრეთვე ცოცხალი. სწორედ ამიტომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გზავნიდა მაზრებში თავის ინსტრუქტორებს და პასუხისმგებელ მუშაკებს, რომელნიც დაწვრილებით ეცნობოდენ ადგილობრივ ორგანოების მუშაობას, რომელთა მოხსენების შესწავლის შემდეგ, კომისარიატი იმუშავებდა საჭირო ღონისძიებებს ამ ორგანოთა მუშაობაში შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად და სათანადო მითითებებს აძლევდა ადგილებს. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სამაზრო აღმასკომების მუშაობას ეცნობოდა აგრეთვე სამაზრო აღმასკომების პრეზიდიუმის სხდომების ოქმებიდან და იმ მოხსენებიდან, რომელსაც უკანასკნელნი გზავნიდნენ ყოველ სამ თვეში.

ამავე დროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა განავითარა თავისი მუშაობა აგრეთვე საადმინისტრაციო-სამეურნეო, გამასწორებელ სახლების მოწყობის და კომუნალურ დარგებში.

პირველ რიგში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მთავარი ყურადღება მიაქცია რესპუბლიკის მილიციის მდგომარეობას. მილიციის რიგებში აქა-იქ მოკალათებული იყვნენ არასასურველი, საზოგადოებისათვის მავნე ელემენტები და ისეთებიც, რომელნიც არ იყვნენ მომზადებული მილიციაში სამსახურისათვის. საჭირო იყო მილიციის გაწმენდა ასეთი პირებისაგან. ამიტომაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ყველა მაზრაში მოაწყო სპეციალური კომისიები, რომელნიც დაწვრილებით ერკვეოდენ ყოველ მაზრის [illegible] ამა თუ იმ [illegible] მილიციის აპარატის მუშაობის უარყოფით მხარეებს. შედეგათ ამ კომისიების მუშაობას მოჰყვა უვარგისი ელემენტების განდევნა მილიციის რიგებიდან და მათ მაგიერ ღირსეულთა მიღება. გამოირკვა, რომ არც ისე ადვილი იყო მილიციის რიგების შევსება ასეთი პირებით.

ამ გარემოებამ წამოაყენა საკითხი სამილიციო კურსების დაარსების შესახებ. 1925 წლის შუა თვეებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გახსნა სამთვიანი სამილიციო კურსები (ეს კურსები დაამთავრა 51 კაცმა), რომელიც 1925 წლის დამლევს გადაკეთებულ იქნა სპეციალურ სკოლად, სადაც საერთო-განმანათლებელ საგნებთან ერთად კურსანტები იხმენენ ლექციებს სხვადასხვა დარგიდან, მაგალითად, პოლიტიკურ ეკონომიიდან, სამართლიდან, სამხედრო საქმეზე და სხვ. კურსდამთავრებულები გაიგზავნებიან მაზრებში მილიციაში სამუშაოდ, ხოლო მათ მაგიერ მოწვეული იქნებიან ახალი პირები. ამგვარად, შედარებით მცირე ხნის განმავლობაში, შევსძლებთ თავიდან მოვიშოროთ ის ნაკლი, რომელიც აფერხებს რესპუბლიკის მილიციის მუშაობის გაჯანსაღებას.

დიდი მეცადინეობა დასჭირდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს იმისათვის, რომ მილიციის მუშაკთა მატერიალური მდგომარეობა ნაწილობრივად გაეუმჯობესებინა საჭირო ტანსაცმლის და მოწყობილობის შეძენით, და იმისათვისაც, რომ მილიცია მომარაგებული ყოფილიყო ცხენებით. როგორც არ უნდა იყოს, აშკარაა, რომ საკითხი რესპუბლიკის მილიციის მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის შესახებ უკვე დაძრულია ადგილიდან და ახლო მომავალში დადებითად გადაწყდება.

სამაზრო მილიციისათვის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა სხვადასხვა სახის ინსტრუქციები და დებულებანი, რომელნიც აწესრიგებენ საკითხს მეზობელ მაზრების მილიციების ურთიერთშორის დამოკიდებულების შესახებ და მათი, მაზრა-ქალაქის მილიციების კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან.

გარდა ყოველდღიური საქმიანი მიმოწერისა მაზრებთან, გაბმული იყო აგრეთვე ცოცხალი კავშირი: ერთის მხრივ, მილიციის ინსპექტორების მიერ მაზრების სისტემატიური დათვალიერებით, ხოლო, მეორეს მხრივ, მილიციის მუშაკთა გამოწვევით სხვადასხვა თათბირებზე. იმ ღონისძიებათა შორის, რომელნიც მიღებული იყო რესპუბლიკის მილიციის მუშაობის მოსაწესრიგებლად, აღსანიშნავია სამილიციო სამსახურის წესდების შედგენა, რაც აუცილებლად საჭირო იყო მილიციის მუშაკთა უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის. გარდა ამისა, იმ მიზნით, რომ სისხლის სამართლის სამძებრო საქმე მოგვარებულიყო მთელს რესპუბლიკაში და რომ ეს საქმე ყოფილიყო საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1925 წლის დამლევს ადმინისტრატიულ განყოფილებასთან მოაწყო სამძებრო მილიციის ცენტრალური სამმართველო, რომლის მუშაობაში ჩაბმულია გამოცდილი მუშაკები.

აღსანიშნავია აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაობა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის სამაზრო აპარატების გაუმჯობესების მხრივ. ამ დარგში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა სპეციალური სახელმძღვანელო, რომელიც იძლევა დაწვრილებით განმარტებებს, თუ რა წესით უნდა იწარმოოს მოქალაქეობრივი აქტების ჩაწერა. ეს სახელმძღვანელო შეიცავს აგრეთვე ოფიციალურ ნაწილს, რომელშიაც მოთავსებულია ხელისუფლების ყველა ცირკულიარები, ინსტრუქციები და კანონები, რომელნიც კი ამ საგანს შეეხებიან.

სახანძრო მეურნეობის დარგში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაობა, რომელიც წინეთ მოისუსტებდა, აპარატის რეორგანიზაციის შემდეგ (მოწვეულ იქნა ინჟინერი, ტეხნიკოსი, სახანძრო საქმის მცოდნე პირები) თანდათან ღებულობს საორგანიზაციო-საინსტრუქციო ხასიათს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სახანძრო საქმე მოგვარებული არ იყო მაზრებში; ამიტომაც იგი შეუდგა ამ საქმის გამოსწორებას; მოაწყო სახანძრო რაზმები მაზრებში, შეძლებისდაგვარად შეიძინა და გაუგზავნა ხელსაწყო იარაღი და აგრეთვე შეადგინა და გამოსცა მათთვის საჭირო წესდებები, დებულებანი და ინსტრუქციები. გარდა ამისა ქ. თბილისში დაარსდა სამთვიანი სპეციალური კურსები, რომლის დამთავრებისთანავე მაზრებიდან გამოგზავნილი მუშაკები კვლავ იგზავნებოდნენ მაზრებში, სადაც ხელმძღვანელობას უწევდნენ ადგილობრივ რაზმებს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1925 წლის ოქტომბრიდან დაიწყო კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი აპარატების მუშაობის გამოკვლევა, რომელიც მოათავა რამდენიმე მაზრაში. მასთან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აწარმოებდა და ამჟამადაც აწარმოებს სხვადასხვა სამუშაოს, როგორიც არის საცხოვრებელი ბინის ტარიფიკაციის შემუშავება მთელ რესპუბლიკისათვის, ადგილობრივი აპარატებისათვის ინსტრუქციის გაწევა, სახელმძღვანელო ცირკულიარების გამოცემა, საშენებელი ხარჯთ-აღრიცხვების განხილვა და დამტკიცება და სხვა.

დასასრულ უნდა აღინიშნოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ის მუშაობა, რომელიც მან აწარმოვა საქ. ს. ს. რესპუბლიკის გამასწორებელ სახლებში. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სისტემატიურად გზავნიდა პასუხისმგებელ მუშაკებს, რომელნიც ერთ და იმავე დროს არკვევდენ გამსახლების მდგომარეობას, მათ საქმიანობის უარყოფით მხარეებს, და მასთან ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ადგილობრივ მუშაკებს სხვადასხვა საკითხის შესახებ. ადგილობრივი გამსახლების დათვალიერებისთანავე მიღებული იყო ღონისძიებანი პატიმართა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის, შეძენილი იყო პატიმართათვის საჭირო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქვეშაგებელი და ჭურჭლეულობა; გაფართოვებულ იქნა სახელოსნოები, სადაც სამუშაოთ მოწვეული იყვნენ პატიმრები ხელფასის გაცემით; მოეწყო სასოფლო-სამეურნეო კოლონია, სადაც მუშაობენ პატიმრები. გარდა ამისა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაარსა „პატიმართა დამხმარე კომიტეტი“, რომელიც გარდა იმისა, რომ ფულად შემწეობას აძლევს პატიმრებს, მის ოჯახს, ან გამსახლიდან განთავისუფლებულებს, უკანასკნელთ უადვილებს სამუშაოს შოვნას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან გახსნა განყოფილება სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზისა, სადაც სულით ავადმყოფ პატიმარს ამოწმებენ და მკურნალობენ.

ამჟამად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, გარდა იმ სამუშაოსი, რომელსაც იგი აწარმოებს სხვადასხვა დარგში წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ხელმძღვანელობას უწევს 1926 წლის არჩევნების ჩატარებას, მოსამზადებელ მუშაობას, რომელიც სწარმოებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის) ხელმძღვანელობით. ახალი საბჭოების არჩევნები დაწყებულია. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შემოდის ცნობები არჩევნების მიმდინარეობის შესახებ. მთელი საარჩევნო მასალის მიღებისთანავე, რომელიც გამოთხოვილია და უნდა იქნეს დალაგებული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ნაჩვენებ გეგმისა და კითხვარების მიხედვით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შეუდგება მის დამუშავებას და, როგორც შარშან, წელსაც გამოსცემს მას გაფართოებულ პროგრამით.

შ. მათიკაშვილი.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია

ამხ. ლენინის წერილებისა და მე-XII-ე ყრილობის რეზოლიუციის შემდეგ ჩვენ გვაქვს ახალი, თანამედროვე მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომელსაც რევოლიუციონერ მშენებლობის ხაზით დაეკისრა სულ ახალი ამოცანები.

ამ ახალ მიმართულებას შეიძლება უწოდოთ ინსტრუქტორული მიმართულება. საერთოდ ამ მიმართულებას მიზნად აქვს ნაკლისა და შეცდომების ორგანიული მიზეზთა გამორკვევა. ამ დარგში ინსპექცია უშუალო მონაწილეობას იღებს აპარატის გასაუმჯობესებლად დასახულ ღონისძიებათა გატარებაში, და აქტიურად მონაწილეობს იმ მუშაობაში, რომელსაც აზრად გამოკვლეული ორგანოს რეორგანიზაცია აქვს დასახული. ამ მუშაობის პროცესში მუშათა და გლეხთა ინსპექცია იმუშავებდა რეორგანიზაციის საშუალებებს, აწვდიდა დაწესებულებებს საჭირო ინსტრუქციებს და თვალყურს ადევნებდა მათ გატარებას. ამნაირად მუშათა და გლეხთა ინსპექცია იღებდა შემოქმედებითი მონაწილეობას საერთო მუშაობაში და მჭიდრო კავშირს იჭერდა კონტროლის ქვეშ მყოფ ორგანოსთან რევიზორის, ინსპექტორის და ინსტრუქტორის საშუალებით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოქმედებას ამ მიმართულებით უმთავრესად ახასიათებს მუშაობა წინასწარ შედგენილის და კარგად მოფიქრებულ გეგმით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ახალ რელსებზე გადასვლა მოხდა 1923 წ. შუაში, ხოლო ცენტრალურ საკონტროლო კომისიასთან ერთად მუშაობა დაიწყო 1924 წ. ივნისიდან. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ხელმძღვანელობას უწევს ც. ს. კ. და მ. გ. ინსპექციის უდიდესი პრინციპიალურ საკითხების გადაჭრაში. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის მეთოდები საანგარიშო პერიოდში საერთოდ ემსგავსება და უდგება იმ ძირითად ხაზს, რომელიც აღებული იყო ცენტრში მე-12-ე ყრილობის რეზოლიუციის მიხედვით. ამ გზით ინსპექცია საერთო და ფორმალურ კონტროლიდან გადავიდა ყველაზე უფრო საყურადღებო სახელმწიფო და სამეურნეო პრობლემების გეგმითი გამოკვლევაზე, ხოლო გამოკვლევით მიღებული მასალის რეალიზაცია ხდებოდა თათბირების გამართვის გზით ინსპექტორებთან და დაინტერესებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან. ამ თათბირებზე დეფექტების თავიდან ასაცილებლად ხდებოდა კონკრეტიულ ღონისძიებათა განხილვა და შეფარდება.

ამ დროს ინსპექცია უმთავრეს ყურადღებას აქცევდა არა მთელ აპარატს, არამედ მისი ცალკე ნაწილების გაჯანსაღებას, რომელსაც იმ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ მუშაობის პროცესში უფრო ნათლად ჩამოყალიბდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითადი ამოცანა—სახელმწიფო აპარატის და მისი მოქმედების გაუმჯობესება, განმტკიცება იმ კავშირისა, რომელიც უნდა არსებობდეს მუშათა კლასის და გლეხობის, სოფლის მეურნეობის და ქალაქის მრეწველობის შორის.

ეს ხელმძღვანელი იდეა წითელი ზოლივით არის გავლებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა შემდგომ გეგმაში და აქედან გამომდინარეობენ ის კონკრეტიული დავალებანი, რომელიც დაეკისრა ინსპექციას საგამომძიებლო და საკონტროლო მოქმედების დროს. აბა, მაგალითად, შრომის სახ. განსაკუთრებული ყურადღება მიჩვენა საკითხს [illegible] კავშირი ურთიერთ [illegible] ამაღლებასთან ჩვენ სამრეწველო [illegible] თვით ადრე მაინც, რითაც [illegible] მიანის საცხოვრებელ და აუარებელ [illegible] რე შევეეჩებოდა. მენშევიკებს რომ [illegible] ათი წამოყენებისათვის სახელმწიფო მოთხოვათ ჩვენთვის და იმის მესამედი ნაწილი მიეცეთ, რაც ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ დავუხარჯეთ, საქართველო მოოქროვებული იქნებოდა. მაგრამ მენშევიკებმა უარი განაცხადეს ჩვენს დახმარებაზე [illegible] საწინააღმდეგო ბრძოლაში, ასაბუთებდენ რა ამ უარს მათ მიერ ნეიტრალიტეტის დაცვით. იმავე დროს [illegible]

სამუშაო ხელფასის მდგომარეობა საქართველოს მრეწველობის ძირითად დარგში: ტყიბულის ქვა-ნახშირის მრეწველობაში, ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანაში, ფეხსაცმელების, ზეთის და საპნის ფაბრიკებში. გამოკვლევამ სრულის სიცხადით დაგვანახვა, რომ უფრო სწრაფად იზრდებოდა სამუშაო ხელფასი, ვიდრე შრომის ნაყოფიერება: ამის შედეგი-კი წარმოების თვითღირებულების გაძვირება იყო. ყურადღება მიექცა ტეხნიკური მოწყობილების გაუმჯობესებას, საწარმოთა უკეთ მოგვარებას ნედლეულით და სხვა მასალით, ნარდი მუშაობის შემოღებას იქ, სადაც ტეხნიკური პირობები ამის ნებას იძლეოდენ და სხვა მხარეებს, რომელნიც ხელს უწყობდენ შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამასთან ერთად ჩატარებულ იქნა მეორე სამუშაოც, რომელსაც მიზნად ჰქონდა ბრძოლა სამუშაო ხელფასის დაგვიანებასთან, ტანტიემის, საჩუქრების და სხვა ამისთანების უანგარიშო გაცემასთან. განხილულ იქნა საკითხი მივლინებათა შესახებ და მოხდა სპეცმომუშავეთა მდგომარეობის გამოკვლევა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა აგრეთვე სხვაგვარ საკითხებს. ყურადღება მიექცა, მაგალითად, იმ მიზეზებს, რომელთა წყალობით მოხდა სოფლის მეურნეობის და ქალაქის მრეწველობის პროდუქტთა ფასების დაშორება („მაკრატლის“ საკითხი). იმ დროს ეს საკითხი მეტად საჭიროროტო იყო და ჩვენი ინსპექციის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი შეადგენენ იმ ღონისძიებათა ნაწილს, რომელიც მთელ ამიერ-კავკასიაში იქნა გატარებული.

შემდეგ, საჭიროა აღინიშნოს, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის საკითხებს. კერძოდ ყურადღება მიექცა იმ ძალთა განწყობილების შესწავლას, რომელიც სავაჭრო ბრუნვის საქმეში არსებობდა სახელმწიფო და კოოპერატიულ კაპიტალსა და კერძო კაპიტალს შორის. ამ შემთხვევაში გამოკვლევის ობიექტად იქნენ: სამომხმარებლო კოოპერაცია მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, 10 ტიპიური ბაზარი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობა. გამოკვლევამ მრავალი ნაკლი აღმოაჩინა. ასეთად უნდა ჩაითვალოს: დიდი დანართი ხარჯები, საქონლის შეუფერებელი ასორტიმენტი, საქონლის გაცემის ცუდი ტეხნიკა, არ ცოდნა სამომხმარებლო ბაზრისა და მომხმარებლის მსყიდველობითი უნარისა, საერთოდ არ ცოდნა იმ პარტიული დირექტივებისა, რომელნიც სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობას შეეხებიან. ყველა ამან ხელი შეუწყო კერძო ვაჭრობის წარმატებას.

ამ საკითხების შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექცია, ზოგჯერ ც. ს. კომისიასთან ერთად, ამუშავებდა სათანადო ზომებს, რომლებიც დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმებისა და უმაღლეს ორგანოების დამტკიცების შემდეგ, გატარებულ იქნენ ცხოვრებაში.

დიდი საყურადღებო გამოდგა გამოკვლევა საშემოსავლო გადასახადის და პირდაპირ გადასახადთა აპარატისა, რომელიც ჩატარებულ იქნა ძირითადი ხაზით: 1. საქმის დაყენება, დაბეგვრის ობიექტების და სუბიექტების გამოკვლევა. 2. საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების და გადამდევინების სისტემის შესწავლა. 3. შესწავლა იმისა, თუ რამდენად შეეფერება საგადასახადო აპარატის სტრუქტურა პირდაპირ გადასახადთა მომქმედ სისტემას. გამოკვლევამ გამოაშკარავა მრავალი მსხვილი ნაკლი როგორც საგადასახადო აპარატის მუშაობაში, ისე თვით გადასახადის გაწერისა და აკრეფის სისტემაში. საგადასახადო საქმის მოსაწესრიგებლად მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გადაუგზავნა ფინსახკომს მთელი რიგი ღონისძიებები სისრულეში მოსაყვანად.

ზისტ[illegible]
მოგვიცხად[illegible]
თუ არ გვსურ[illegible]
უოფა. ამს[illegible]
ლებდა [illegible]
მოიკ[illegible]
ამ[illegible]
რადგან გვიან ბრუნდებოდა [illegible]

შემდეგ დიდ მუშაობას წარმოადგენს 1924—25 წლის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის საქმის გამოკვლევა, რომელმაც გამოაშკარავა, თუ რამდენად გაეწია ანგარიში გადასახადის გაწერის დროს გლეხობის გადამხდელობის უნარს და რამდენად იქნა განხორციელებული ის შეღავათები, რომელიც დაწესებული არიან გლეხობის ხელმოკლე ნაწილებისათვის.

ამას გარდა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1925/26 წლის ბიუჯეტის შედგენაშიც.

სოფლის მეურნეობიდან გამოკვლეულ იქნა აგროდახმარების, მევენახეობის, მეღვინეობის საკითხები, ტყის საქმე და სხვა. ამასთან გამოირკვა, რომ სოფლის მეურნეობას ჩვენში ბოლო დრომდე სულ უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა და, რომ საჭიროა რადიკალური ზომების მიღება ამ დარგის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად. გამოირკვა, მაგალითად, რომ აგროდახმარებაზე წინეთ გაცილებით მეტი იხარჯებოდა, ვიდრე ეხლა. მაშინ ეს ხარჯი შეადგენდა ერთ დესეტინა კულტურულ მიწაზე 39,9 კაპ. და ერთ სოფლელზე 17,8 კაპ. დღეს-კი დესეტინა კულტურულ მიწაზე მიდის 7,5 კაპ. და ერთ სოფლელზე 3,8 კაპ., ე. ი. ხუთჯერ ნაკლები. სხვადასხვა მიზეზების გამო მევენახეობის სივრცე 2-ჯერ შემცირდა, ხოლო ტყის მეურნეობა ძალზე დაქვეითდა. ყველა ამ საკითხის გამო კოლეგიამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელნიც ნაწილობრივ უკვე განხორციელდენ და ნაწილობრივად ეხლა ხორციელდება.

ზემოაღნიშნული მუშაობის გარდა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩაატარა მთელი რიგი გამოკვლევებისა ჩვენში ეკონომიური და ადმინისტრატიულ-მეურნეობრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

ძალიან ძნელია ამ მუშაობის შედეგების ცალ-ცალკე განხილვა გაზეთის ფურცელზე, ამიტომ ქვემოდ ჩვენ მოკლედ ჩამოვთვლით, როგორც გეგმითი, ისე არაგეგმითი ინსპექციების მუშაობას.

გეგმითი ინსპექციის მუშაობა ზემოაღნიშნულ პერიოდში შეეხო უმთავრესად: 1) ქვა-ნახშირის მრეწველობის გამოკვლევას; 2) შრომის დაცვის და მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საკითხს; 3) დაზღვეულთათვის საექიმო დახმარებას და საექიმო საქმის მდგომარეობას სოფლად; 4) პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას სოფლად; 5) ადმინისტრატიულ საკითხებს; 6) სოფლის მეურნეობას; 7) მრეწველობას; 8) კოოპერაციას; 9) ვაჭრობას; 10) ფინანსიურ საკითხებს; 11) მიწად-მოქმედების საქმეს; 12) მეცხვარეობას და საზოგადოთ მესაქონლეობას; 13) მუშებისათვის ნისიად საქონლის გაცემას; 14) დაბალი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლებს, 14) სასოფლო-სამეურნეო გადასახადს და მის გამტარებელ ძირითად აპარატს და ბევრ სხვას. გარდა ამისა ამჟამად გამოკვლევის პროცესშია შემდეგი საკითხები: 1) საყოველთაო განათლება; 2) სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის ტეხნიკის რაციონალიზაცია; 3) გლეხთა გადასახადები; 4) საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმე საქართველოში; 5) გადასახლება და კოლონიზაცია; 6) საკრედიტო საქმე; 7) საქონლის გამტარებელ-გზა; 8) პროფტეხნიკური განათლება და სხვა.

არაგეგმითი ინსპექციამ უმთავრესად უხდებოდა ცხოვრების მოთხოვნილების მიერ სასწრაფოდ წამოყენებული და მუშაობის საკალენდრო გეგმით არგათვალისწინებული ხარევიზიო ხასიათის საქმეების შესრულება. იმ მრავალ საქმიდან, რომელიც არაგეგმითი ინსპექციამ საანგარიშო ხნის განმავლობაში შეასრულა, აქ მოკლედ ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთ, უფრო დამახასიათებელ სარევიზიო გამოკვლევებს: 1) სახელმწიფო თეატრების, 2) ჯანსახკომისარიატის ფარმაცევტიულ განყოფილებისა; 3) აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის და სახალხო სასამართლოების; 4) თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს; 5) მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის; 6) შინამრეწველობის; 7) მეცხვარეთა საზოგადოება „ბირლიკი“-ს; 8) საქართველოს სატყეო მეურნეობის; 9) ჩაქვის მამულის; 10) ქუთაისის მაუდის ფაბრიკის; 11) ახალქალაქის მაზრის; 12) მასწავლებელთა გაუსტუმრებელი ჯამაგირების საკითხის; 13) ყოფ. სასურსათო კომისარიატის სალიკვიდაციო კომისიის მოქმედების; 14) კოოპერატივების უკანონო მოქმედების; 15) სახალხო ბანკის ბათუმის განყოფილების; 16) ქუთაისის თამბაქოს ქარხნის; 17) საქართველოს საკურორტო სამმართველოს; 18) ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მოქმედების; 19) საქილაოს ხე-ტყის სახერხავი ქარხნის; 20) ცხინვალის გლეხთა სახლის აშენების; 21) ზესტაფონის ინვალიდთა საწარმოვო-კოოპერატიული ნადი „იმედი“-ს მოქმედების; 22) წყალთა მეურნეობის მოქმედება ელდარის სარწყავ არხის გაყვანაში; 23) წყალთა მეურნეობის სამმართველოს საქმიანობის; 24. ცეკავშირის საწარმოვო განყოფილების, 25. გლეხკომების ცენტრალურ ბიუროს სავაჭრო პოლიტიკის; 26. მოულოდნელი მასიური რევიზია სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებათა სალაროებისა; 27. სახკომატების სახლის გამგის საქმიანობის; 28) „საქართველოს ღვინო“-ს კავშირის; 29) ინვალიდთა კოოპერატიულ ს-ბის „დახმარების“; 30) უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საფონდო კომისიის საქმიანობის; 31) ბორჯომის კომბინატის; 32) თბილისის კომუნალურ ბანკის სავაჭრო განყოფილების და ბევრი სხვა. ამჟამად კი წარმოების პროცესშია შემდეგი რევიზიები: 1. აჭარის-წყლის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის; 2. საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს; 3. „წერკუმზი“-ს; 4. გლეხკომების საქმიანობის; 5. ცეკავშირის სარევიზიო კომისიის საქმიანობის; 6. მეღვინეთა კოოპერატივი „კახეთი“-ს და 7. „მდელოსი“-ს.

ყველა ამ გამოკვლევების და რევიზიების შედეგების ნაწილი, ინსპექციის მრავალი მოთხოვნილებისა და ჩვენების სახით, უკვე სისრულეში მოყვანილი, ნაწილი კი ეხლა სრულდება და ჯერ კიდევ სავსებით არ გამოაშკარავებულა. ყველა გამოკვლევებში ნაჩვენებია აღმოჩენილი ნაკლი და მიღწევანი და აგრეთვე მ.-გ. ინსპექციის მიერ მიღებული ღონისძიებანი. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ გეგმითი და არაგეგმითი ინსპექციების მუშაობა დასახელებულ პერიოდში თვალსაჩინო იყო, როგორც შინაარსით, ისე იმით, რომ იგი ჩვენი ცხოვრების მრავალნაირ მხარეს შეეხო. არაგეგმითი ინსპექციის მუშაობა უმთავრესად რევიზიონულ ხასიათს ატარებდა და ამიტომ მან დაგვანახვა მრავალი ნაკლი ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატისა—დაუდევრობა, ბიუროკრატიზმი, ბოროტმოქმედებანი, დანაშაულებანი და სხვა. ბოროტმოქმედების აღმოჩენის თან ხდებოდა შესაფერი ზომების მიღება; ერთ შემთხვევაში [illegible] და ზეგავლენა პარტიულ ხაზით, ხოლო მეორე შემთხვევაში—საქმის აღძვრა სასამართლოს წესით.

ებრძოდა გაფლანგვას, პროტექციას და სხვა ამასთან ერთად მ.-გ. ინსპექცია სასტიკად ამგვარ მტკივნეულ მოვლენებს, რომლებმაც უკანასკნელ დროს მიიღო ეპიდემიური ხასიათი.

გადავდივართ რა მ.-გ. ინსპექციის მუშაობაზე სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დარგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს განყოფილება შესდგება სულ მცირე შტატისაგან, რომლის საწყალებით და აგრეთვე იმ მიზეზით, რომ მ.-გ. ინსპექცია რეორგანიზაციის ხანას განიცდიდა, განყოფილებისათვის მეტად ძნელი იყო სავსებით განხორციელდება ყველა იმ რთული და ძნელი ამოცანებისა, რომელიც შეეხება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხთა თეორიულ და პრაქტიკულ დამუშავებას.

გარდა, ამისა განყოფილებამ ჩაატარა სპეცმომუშავეთა მდგომარეობის გამოკვლევა, რომელმაც აღნიშნა, საერთოდ საქართველოს დაწესებულებათა და წარმოებათა სპეციალისტების უზრუნველყოფა; სპეციალისტთა უთანაბროდ განაწილება, რომელიც არ შეესაბამება დაწესებულების დანიშნულებას და ხასიათს და ზოგიერთი სხვა არანორმალური მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით განყოფილება ამჟამად აწარმოებს კვალიფიციურ მუშა-ძალთა საერთო შესწავლას მიზნით იმის გამორკვევას, თუ რამდენათ გამოყენებული არიან სპეცები დაწესებულებებში და წარმოებებში. სპეციალისტთა აღრიცხვასთან ერთად, განყოფილებამ ჩაატარა სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებათა თანამშრომლების პირადი შემადგენლობის შემოწმებაც საჭით. აპარატის ჯანსაღების და ამ აპარატიდან აშკარად უვარგისი და მავნე ელემენტების განდევნის მიზნით. ამჟამად სახ. აპარატის გამაუმჯობესებელი განყოფილება აწარმოებს თანამდებობათა მაგარი ნომენკლატურის განმტკიცებას და შრომის ხელფასის უნიფიკაციას ს. ს. რ. კ. მ.-გ. ინსპექციის სახკომატის მიერ შემუშავებულ წესების და ნორმების თანახმად.

სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელ საქმეში უნდა აღინიშნოს აგრეთვე მუშაობა საშტატო კომისიისა, რომელმაც 1925-26 წლისათვის დააწესა საქართველოს ყველა იმ დაწესებულებების შტატები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან; განიხილა და დაამტკიცა სამეურნეო, ანგარიშზე მყოფი ყველა დაწესებულების შტატი.

განყოფილების მიერ გამოკვლეულ იქნა აგრეთვე საბჭოთა ძირითადი აპარატი რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრაში (ხუთი თემაღმასკომი) იმისათვის, რომ რაციონალიზაციის მიზნით გასცნობოდა ამ აპარატის მუშაობას, მის ნაკლსა და მიღწევებს და აგრეთვე გამოერკვია, თუ როგორ არის დაყენებული საკანცელარიო საქმის წარმოება, ანგარიშ-წარმოება, ანგარიშგება და სხვა. გამოკვლევით მიღებულ მასალების მიხედვით ამ.-კავ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში საკავშირო რესპუბლიკების შინსახკომატების და მ.-გ. ინსპექციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, შემუშავებულ იქნა სოფლის საბჭოების და თემაღმასკომებისათვის საქმის წარმოების ახალი სისტემა, რომლის ცხოვრებაში გატარებას (ჯერ-ჯერობით ცდის სახით) განყოფილება ამ დღეებში შეუდგება.

გასულ საოპერაციო წლის ბოლოში ჩატარებულ „მმაჩი“-ს ორგანოების გამოკვლევას შედეგათ მოჰყვა ამ აპარატის თვალსაჩინო რაციონალიზაცია, რეგისტრაციის აქტების სტანდარტულ ფორმების შემოღებით, რამაც საგრძნობლად შეამცირა აქტების ჩაწერის ოპერაციები.

გარდა ამისა, სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელი განყოფილების მუშაობა შეეხო ანგარიშწარმოების და ანგარიშგების რაციონალიზაციას ადმინისტრატიული დაწესებულებებში და ნაწილობრივ სამეურნეო წარმოებებში.

ამ მიზნით მთელი წლის განმავლობაში იმართებოდა თათბირი კომისარიატების ბუღალტერებთან, რომლებთაც ეძლეოდათ საჭირო დირექტივები და ჩვენებანი. ამ მუშაობამ შესამჩნევად გააუმჯობესა ანგარიშ-წარმოების და ანგარიშგების საქმე ჩვენს კომისარიატებში და დაწესებულებებში. ამ დარგში მეტი ნაყოფიერების მისაღწევად, ამჟამად იხსნება სახელმწიფო ბუღალტერთა და ექსპერტთა ინსტიტუტი. ჩამოთვლილ სამუშაოების გარდა განყოფილებამ დაამზადა მასალები მ.-გ. ინსპექციის და ც. ს. კომისიის მოქმედების და ამოცანების შესახებ; მუშაობს აგრეთვე ამ.-კავ. ინსპექციის ადმინისტრატიულ ტეხნიკის სექციასთან ერთად ადმინისტრატიული ტეხნიკის შესახებ ქართულ ენაზე ლიტერატურის გამოსაცემად; განყოფილება შეძლებისადაგვარად ეხმარება სახელმწიფო დაწესებულებებს საკანცელარიო საქმის გამარტივების და გაუმჯობესების საქმეში.

რაც შეეხება პროფკავშირის ორგანოების დახმარებას, საწარმოო თათბირების და კომისიების მუშაობას, განყოფილებას მუდმივი კავშირი ჰქონდა და აქვს როგორც საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საწარ.-ეკონომ. განყოფილებასთან, ისე მის ძირითად ორგანოებთან, რისთვისაც მათზე მიმაგრებული იყვნენ ც. ს. კომისიის წევრები და მ.-გ. ინსპექციის მუშაკები.

სულ ბოლო დროს მოეწყო მოკლევადიანი კურსები საკანცელარიო შრომის პირთა გადასამზადებლად.

ამასთანავე სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელ განყოფილებამ შეასრულა ბევრი სხვა წვრილი სამუშაოებიც.

შემდეგ აღსანიშნავია მ.-გ. ინსპექციასთან არსებულ საჩივართა ბიუროს მუშაობა. საანგარიშო ხნის განმავლობაში საჩივართა ბიუროში შემოსულა და გარჩეულა ოთხასამდე საჩივარი, რომლის უმრავლესობა შეეხება სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა ნაკლს (22,2%) საადგილ-მამულო საქმეების (18,7%) მშრომელებისადმი დაუდევრობას (5,7%) და სხვა ასეთ საკითხებს. შემოსულ საჩივრების დიდი უმრავლესობა გადაეგზავნა სხვა დაწესებულებებს აღძრულ საკითხების მოსაგვარებლად, ზოგიერთები დაკმაყოფილებულ იქნენ სავსებით, ხოლო ზოგიერთებს უარი ეთქვა შუამდგომლობაზე უსაფუძვლობის გამო და სხვა.

საკმაოდ დიდი მუშაობა შეასრულეს აგრეთვე მ.-გ. ინსპექციის ადგილობრივმა ორგანოებმა აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ ოსეთში, სადაც კონსტიტუციის მიხედვით ინსპექციის ორგანოები არიან საქართ. მ.-გ. ინსპექციის რწმუნებულნი. ამ ორგანოების მუშაობა გაიყოფა გეგმითი და გეგმის გარეშე მუშაობით; პირველს ასრულებენ საქ. მ.-გ. ინსპექციის დავალებით, ხოლო მეორეს ადგილობრივ სახკომსაბჭოს და პარტორგანიზაციების დავალებით.

შეუძლებელია იმ რთული და მრავალ ფეროვან მუშაობის ცალ-ცალკე ჩამოთვლა და გაშუქება, რომელსაც აწარმოებდა და აწარმოებს დღესაც გაერთიანებული მ.-გ. ინსპექცია და საკონტროლო კომისია. მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა და მძიმე პირობებისა, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ განახლებულ ორგანოს აქვს ამ ხნის განმავლობაში თვალსაჩინო მიღწევები. მომავლისათვის კიდევ უფრო უნდა გავზარდოთ, გავაფართოვოთ და განვამტკიცოთ ეს მუშაობა.

ა. ჯოლიძე.

მუშათა სოციალური დაზღვევის მიღწევები

(საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 5 წლის თავზე)

დღეს მუშათა სოციალური დაზღვევა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ყველა დაქირავებულ შრომის პირთათვის უდიდეს მონაპოვრათ ითვლება. საერთაშორისო პროლეტარიატი ათეული წლების განმავლობაში გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა და ეხლაც აწარმოებს სრული სოციალური დაზღვევის მოპოვების მიზნით. ამ ბრძოლის პროცეში ჩამოყალიბდა სოცდაზღვევის მოთხოვნილებათა მთელი პროგრამა, რომლის განხორციელებას მოითხოვს ყველა ქვეყნის მუშათა კლასი თავისი ქვეყნის მმართველ ბურჟუაზიისაგან. ამ პროგრამის ძირითადი მოთხოვნილებებია:

ა) სოცდაზღვევის გავრცელება სოციალური რისკის ყველა სახეებზე (ავადმყოფობა, დასახიჩრება, ინვალიდობა, მოხუცობა, დედობა, ქვრივობლობა, უმუშევრობა და სხვ.), აგრეთვე დაზღვეულებზე და მათ ოჯახის წევრებზე ყველა სახის უფასო სამკურნალო სამედიცინო დახმარება.

ბ) სოცდაზღვევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯების დამქირავებლებზე და სახელმწიფოზე დაკისრება.

გ) სოცდაზღვევის განხორციელება დაქირავებით მომუშავე ყველა მშრომელზე.

დ) სოცდაზღვევის ორგანოების სრული თვითმართველობა.

ე) შრომის უნარის დაკარგვით გამოწვეულ სამუშაოს ხელფასის დაკარგვის ყველა შემთხვევაში სრული ხელფასის ანაზღაურება შრომის უნარ-დაკარგვის მთელი დროის განმავლობაში.

დასავლეთ ევროპის და ამერიკის არც ერთ ქვეყანაში არ არის განხორციელებული სოციალური დაზღვევის აქ მოყვანილ მოთხოვნილებათა არც ერთი მუხლი.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა შესძლეს ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლიუციის სხვა მონაპოვართან ერთად სრული სოციალური დაზღვევის მოპოვება.

სანამ ჩვენ გადავიდოდეთ საქართველოში გასაბჭოების საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავზე ჩვენს მიღწევებზე, ზედმეტი არ იქნება, თუ გაკვრით შევეხებით: რა მისცა მენშევიკების საქართველოში ოთხი წლის ბატონობამ საქართველოს მშრომელებს — სოცდაზღვევის დარგში.

1917 წლ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოქმედებდა მეფის 1912 წლ. სოცდაზღვევის კანონები, რომელშიაც შეტანილი იყო 1917 წლ. 25 ივლისს მეტად უმნიშვნელო ცვლილებანი. ამ კანონების მიხედვით სოციალური დაზღვევა არ ვრცელდებოდა ბევრი კატეგორიის მშრომელებზე, იმდენათ განსაზღვრული იყო დაზღვეულთა წრე, რომ 110.000 დაქირავებით მომუშავეებიდან სოცდაზღვევა ვრცელდებოდა მხოლოდ— 9.000-მდე კაცზე. შემოღებული იყო მხოლოდ ორი სახის დაზღვევა: ავადმყოფობის და დასახიჩრების შემთხვევაში. დახმარებათა ნორმები განსაზღვრული იყო სრული ხელფასის ნახევრიდან ორ-მესამედამდე.

სამკურნალო- სამედიცინო დახმარების საქმე იმდენათ ცუდათ იყო მოწყობილი, რომ სრულებით არ შეეძლო დაეკმაყოფილებია დაზღვეულთა მოთხოვნილებანი (კანონით საავადმყოფო სალაროებს შეეძლოთ თვით მოეწყოთ სამკურნალო დახმარება, მაგრამ მწარმოებლები იხდიდენ ამ მიზნისათვის დაზღვეულის ხელფასის მხოლოდ ორ პროცენტს, რაც შეუძლებლად ხდიდა სამკურნალო-სამედიცინო საქმის განხორციელებას) და რაც ყველაზე უმთავრესია—**სოციალური დაზღვევის გადასახადის ნახევარს იხდიდენ თვით მუშები.**

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქნა ფართო შესაძლებლობა სრული სოცდაზღვევის განხორციელებისათვის. 1921 წლ. 2 აპრილს საქართველოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი დაქირავებულ შრომის პირთა სოციალური დაზღვევის შესახებ, რამაც ძირითადი გარდატეხა მოახდინა სოციალური დაზღვევის საქმეში. ამ მომენტიდან მტკიცე საძირკველი ეყრება სოცდაზღვევის საქმეს ჩვენში. 1921 წლიდან დაწყებული, ჩვენი სოციალური დაზღვევა თანდათანობით, წლიდან წლობით იზრდება და ვითარდება, ფართოვდება დაზღვეულთა წრე, სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებასთან დაკავშირებით იზრდება სოცდაზღვევის შემოსავალი და უფრო და უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება მშრომელთა უკეთესი უზრუნველყოფისათვის. აქ მოყვანილი ციფრები მეტის მჭერმეტყველობით დაახასიათებენ, თუ რამდენათ გაიზარდა სოციალური დაზღვევა საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში.

წელიწადი	დამზღვ. ორგან. შემოსავალი	%%	გასავალი	%%
1923 წ.	1.957.471	100	1.471.432	100
1924 „	2.502.996	127,9	2.332.206	158,5
1924/25 „	5.247.453	268,1	5.044.673	342,9

რომ უფრო თვალსაჩინოთ შეიქნეს ჩვენი მიღწევების მნიშვნელობა, საჭიროა გავავლოთ პარალელი შემოსავლის და დახმარებათა სახეების შორის. ზემოთ ჩვენ დავინახეთ შემოსავლის როგორც აბსოლიუტური, ისე პროცენტული ზრდა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მაჩვენებელი იქნება დახმარებათა ზრდისა %%-ში.

უზრუნველყოფის სახეები	წლიურ შემოსავალთან შედარებით		
	1923	1924	1924/25 წ.
შრომის უნარის დროებით დაკარგვა და დამატებითი სახის დახმარებანი	27,7%	35,2%	42,1 %
პენსია	3,2%	5,25%	6,4 „
პროფილაქტიკა	4,2%	9,75%	10,6 „

შემდეგი ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენათ იზრდება დაზღვეულთა, პენსიონერთა და დაზღვეულ უმუშევართა რიცხვი.

წ ლ ე ბ ი	დაზღვეულთა რიცხვი	პენსიონერთა რიცხვი	დაზღვეული უმუშევრ.
1923 წ. 1 ოქტ.	63.354	1.083	3.835
1924 „ „	74.259	1.908	2.287
1925 „ „	88.339	2.453	4.277

სანატორიუმებში და კურორტებზე გაიგზავნა 1924 წ. 1242 კაცი, 1925 წელში კი 2.021 კაცი.

აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე სოცდაზღვევის სერიოზული მიღწევა, რაც გამოიხატება 1926 წლის 1-ლ იანვრიდან პენსიონერთა უზრუნველყოფის წესის შეცვლაში. აქამდე შრომის ინვალიდების (გარდა დასახიჩრების და პროფდაავადების შემთხვევებისა, როცა დაზღვეულის ან მარჩენალ გარდაცვალებულის უზრუნველყოფა ხდება სრული სამუშაო ხელფასის მიხედვით) საპენსიო უზრუნველყოფის ნორმები მეტად მცირე იყო.

ა.-წ. 1-ლ იანვრიდან კი ძირითადათ იცვლება უზრუნველყოფის ძველი წესი იმ მხრივ, რომ მათი პენსიის გამოანგარიშებას საფუძვლად ედება ფაქტიური სამუშაო ხელფასი.

ამგვარად, ყველა ზემოჩამოთვლილიდან აშკარა და ნათელი ხდება, თუ რა სერიოზული მიღწევები გვაქვს სოცდაზღვევის დარგში საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავზე.

სოცდაზღვევის ასეთი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, სადაც მუშათა კლასი თვითვეა თავისი ბატონ-პატრონი.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სოციალური დაზღვევის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ინსტიტუტი კიდევ მეტად განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის ყველა დაქირავებულ შრომის პირთა ეკონომიურ უზრუნველყოფის საკეთილდღეოთ.

ნ. თუშიშვილი.

გლეხის ცენტრალური სახლი

დაახლოვებით ერთი წლის წინ თბილისში დაარსდა გლეხის ცენტრალური სახლი.

ამ სახლის დანიშნულებაა სოფლისა და ქალაქის კავშირის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა და ამასთანავე სახლთან აგრონომიული და აგრო-პროპაგანდიული ძალების შეჯგუფება-შეკავშირება სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების მიზნით.

ერთი წლის არსებობის განმავლობაში სახლმა მიიღო დიდი სამეურნეო და კულტურული ორგანიზაციის სახე. საკმაოა აღინიშნოს, რომ სახლთან ამ ჟამად არსებობს: თავშესაფარი 180 საწოლით,—სპეციალური იზოლიატორი, ამბულატორია, აბანო, სადეზინფექციო კამერა, სასადილო, დიდი ბაღი, წიგნთსაცავ-სამკითხველო, კლუბი, კინო, სასოფლო სამეურნეო მუზეუმი, ძლიერი რადიო-მიმღები და სხვა.

ერთი წლის განმავლობაში სახლში გაიარა 12.000-ზე მეტმა გლეხმა, მიეცა იურიდიული და სხვა რჩევა-დარიგება 6700-მდე გლეხს, მოეწყო 12 ექსკურსია მუზეუმებში, დაიდგა 120 კინო-სეანსი-კონცერტები და სხვა.

ამასთანავე ჩამოსული გლეხები ეცნობოდენ მთავრობის ღონისძიებს სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში და ისმენდენ მოხსენებებს და საუბრებს სასოფლო-სამეურნეო და პოლიტიკურ თემებზე.

გლეხებთან საუბრების წარმოების დროს, სახლი თავის მხრივ არკვევდა სოფლის მდგომარეობას, მის საჭიროებას მიღწევებსა და ტკივილებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავზე გლეხის ცენტრალური სახლი უძღვნის საქართველოს მშრომელებს მდიდარ საჩუქარს—12,000 გლეხს, რომლებმაც სავსებით შეიგნეს და შეითვისეს სოფლისა და ქალაქის, გლეხობისა და მუშის კავშირის მნიშვნელობა და შინაარსი.

ლამბაშიძე.

რადიო-დეპეშები

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

მოსკოვი, 24 თებ. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 23 თებერვლის დილის სხდომაზე ზინოვიევის მოხსენების გამო გამართულ კამათში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ბორდიგამ (იტალია).

ამხ. ბორდიგას სიტყვა

ბორდიგა აცხადებს, რომ არ შეიძლება ზინოვიევის მოხსენების გარშემო გამართული კამათი შემოვფარგლოთ მისი თეზისების ჩარჩოებით, ვინაიდან კომინტერნის მოქმედება ყოველთვის არ ეთანხმება ამა თუ იმ თეზისებს.

ბორდიგა ვრცლად შეეხო ერთიანი ფრონტის ტაქტიკის საკითხს (გამოტოვებულია)... როდესაც არსებობდა ობიექტიური რევოლიუციონური სიტუაცია, საკმარისი არ იყო კომუნისტურ პარტიების არსებობის ფაქტი გამარჯვების მისაღწევად, რადგან არ არსებობდა მჭიდრო კავშირი მუშათა ფართო მასებთან. ამგვარად შენიშნული იქნა ერთიანი ფრონტის აუცილებლობა. ერთიანი ფრონტის ტაქტიკა ჩამოყალიბდა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის მესამე კონგრესის შემდეგ 1922 წელს.

ბორდიგა აცხადებს, რომ ის არ ეწინააღმდეგება ერთიანი ფრონტის ტაქტიკას, რამდენადაც იგი ხელს უწყობს მასების შეკავშირებას, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს ტაქტიკა შემდეგში იყო დამახინჯებული და ძალიან ფართოთ იქნა გამოყენებული. გერმანიის მაგალითი 1923 წელს ამტკიცებს, რომ „მუშურ-გლეხური მთავრობის“ ლოზუნგმა მხოლოდ არევ-დარევა შეიტანა მუშათა მასებში. იმის ნაცვლად, რომ ეღიარებია დაშვებული ტაქტიკური შეცდომა, კომინტერნმა მთელი პასუხისმგებლობა გერმანიის შეცდომებისათვის 1923 წელს სხვადასხვა ლიდერებს დააკისრა. 5 კონგრესმა არა საკმარისად დაგმო და გამოასწორა ეს შეცდომები.

ბორდიგა აცხადებს, რომ უცხოეთის პარტიების ბოლშევიზაციის შედეგები არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. საკავშირო კომპარტია ძველებურად რჩება კომინტერნის ერთად-ერთ ძლევა-მოსილ პარტიად. არ შეიძლება, რა თქმა უნდა, რევოლიუციის გაკვეთილების მნიშვნელობის უარყოფა დასავლეთის კომუნისტური პარტიებისათვის, მაგრამ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები არ ამოიწურება საკავშირო კომპარტიის ისტორიული სქემით, რამდენადაც რუსეთის პროლეტარიატს საქმე არ ჰქონდა ნამდვილ თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან.

თეორეტიულ დარგში ლენინის მოძღვრება შეიცავს ყველაფერს, რაც საჭიროა დასავლეთის პარტიებისათვის, მაგრამ ტაქტიკურ დარგში დასავლეთის პარტიების ამოცანები არ ამოიწურება რუსეთის რევოლიუციის გამოცდილებით. ბორდიგა ფიქრობს, რომ პარტიული მუშაობის საორგანიზაციო ფორმების მნიშვნელობა მეტად გადაჭარბებულად იყო შეფასებული, საკავშირო კომპარტიის საორგანიზაციო ფორმები კი მექანიკურად გადაჰქონდათ დასავლეთის პარტიებში. ორატორ ფიქრობს, რომ შეუძლებელია დასავლეთის პარტიების მოწყობა საფაბრიკო-საქარხნო უჯრედების საფუძველზე, რადგან უჯრედებს არ შეუძლიათ სჯელობა ერთიანულ პოლიტიკურ საკითხებზე და საუჯრედო მუშაობა კი მექანიკურად სდევნის პარტიიდან ინტელიგენტებს და ამავე დროს არ არის გარანტია იმისა, რომ პარტიაში არ შეიჭრან ოპორტუნისტული ელემენტები რომლებიც არა მარტო ინტელიგენტების წრიდან გამოდიან. იტალიაში არსებულ საფაბრიკო-საქარხნო პოლიციის საშუალებით ბურჟუაზია გაცილებით უფრო ადვილად შლის და ანადგურებს უჯრედებს, ვიდრე ტერიტორიალურ პრინციპის მიხედვით მოწყობილ პარტიულ ორგანიზაციებს.

რა თქმა უნდა პარტიას უნდა ჰქონდეს ორგანო თავისი ხაზის გასატარებლად წარმოებებში, მაგრამ ძირითად ორგანიზაციულ ბაზისად უნდა დარჩეს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც შედგენილი იქნება ტერიტორიალური პრინციპის მიხედვით.

ბორდიგი ილაშქრებს „პარტიული დისციპლინის მექანიკურად გამოყენების წინააღმდეგ“, რა თქმა უნდა პარტია უნდა იყოს შეკავშირებული, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა არ შეიძლება ზევიდან ზეგავლენით (ხმები იტალიის დელეგაციის სკამებიდან „რას ლაპარაკობდი შენ მაშინ, როცა პარტიის სათავეში იდექი?“).

შინაპარტიული ფრაქციების საკითხი დღემდის განხილული იყო მხოლოდ მორალური თვალსაზრისით და დაგმობილი იყო ყოველგვარი ფრაქციონული ჯგუფები, როგორც პარტიული ბოროტმოქმედება. თუ ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს ისტორიული თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ოპორტიუნიზმი ყოველთვის გამოდიოდა მთლიანობის ნიღაბით, მაშინ როდესაც ლენინის მთელი მოღვაწეობა შესდგება ფრაქციულ ბრძოლისაგან (სიცილი). ფრაქციების წარმოშობა არის პარტიაში არა ჯანსაღ მოვლენების შედეგი და ბრძოლა ფრაქციების წარმოშობის წინააღმდეგ შესაძლებელია არა მათი ლიკვიდაციის გზით, არამედ ამ ფრაქციების წარმოშობის მიზეზების შესწავლით და მოსპობით. ასე, მაგალითად, საფრანგეთის პარტიის ავადმყოფურმა ცენტრალიზმმა ამოიწვია ის, რომ ყოფილი სინდიკალისტურ ელემენტების ერთი ნაწილი უბრუნდება სინდიკალიზმს, რომელიც თეორეტიულად დიდი ხანია მოისპო. არის შემთხვევები, როდესაც არა მარტო ცალკე პარტიები, არამედ მთელი კომინტერნია დამნაშავე ფრაქციების წარმოშობაში.

ბორდიგა უპასუხებს იმ ბრალდებას, რომ ის თანაუგრძნობს საფრანგეთის პარტიის მემარჯვენე მიმდინარეობას და აცხადებს, რომ ის სწორად არა სთვლის მემარჯვენეების თვალსაზრისს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის საკითხში, მაგრამ საფრანგეთის პარტიაში შექმნილ მემარჯვენე მიმდინარეობას ის სთვლის ჯანსაღ მოვლენათ პარტიის მიერ დაშვებულ შეცდომების საპასუხოთ.

შემდეგ ბორდიგა აცხადებს, რომ მას არა სწორათ მიაჩნია კომინტერნის აღმასკომის ღია წერილი გერმანიის კომპარტიისადმი, ვინაიდან სხვადასხვა პარტიების შეცდომებისათვის დამნაშავენი არიან არა ცალკე პარტიული ლიდერები, არამედ კომინტერნის მთელი შინაპარტიული სისტემა.

არ შეიძლება იმის წინააღმდეგ სწავლა, რომ ადგილი აქვს კაპიტალიზმის სტაბილიზაციას და ამ მხრივ სწორია რევოლიუციის განვითარების ორი შესაძლებლობის პერსპექტივის ვარაუდი. მაგრამ რევოლიუციონურ პარტიას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ არსებულ მდგომარეობის მშრალი ანალიზით, არამედ ერთი წუთითაც არ უნდა დაუშვას მხედველობიდან რევოლიუციონური პერსპექტივა რევოლიუციონურ ტალღის დაწევის დროსაც კი,—წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნისტური პარტია ჩაეფლობა ოპორტიუნიზმის ჭაობში სწორედ ისე, როგორც ეს მოუვიდა მე-2 ინტერნაციონალს.

არ არის სწორი ის თვალსაზრისი, თითქოს ხელისუფლების გადასვლა უფრო მემარჯვენეებიდან უფრო მემარცხენე ბურჟუაზიულ პარტიების ხელში პარლამენტარული გზით ასუსტებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, ფაშიზმი შესდგება არა მარტო მსხვილ ბურჟუაზიულ ფენების გან, არამედ წვრილ-ბურჟუაზიულ მასებისაგანაც, რომლებსაც არა აქვთ საშუალება შექმნან საკუთარი პოლიტიკური რეჟიმი და მუდამ მზად არიან კავშირი დაიჭირონ მსხვილ ბურჟუაზიასთან. სწორედ ამით აიხსნება ფაშისტურ რეჟიმის ხანგრძლივობის მიზეზი. ამიტომ იტალიის კომუნისტურმა პარტიამ ხაზი აიღო ოპოზიციონურ პარტიების ე. წ. „ავენტინის“ ბლოკის მიმართ, და იგი მზად იყო შეედგინათ მათთან ერთად ანტი-ფაშისტური ფრონტი.

კომუნისტური პარტიის ამოცანა მდგომარეობს არა მანევრებში, არამედ კლასიურ მტრებზე ერთბაშად თავდასხმაში.

ბორდიგა აცხადებს, რომ საჭიროა კომინტერნის მთელი შინაპარტიული სისტემის გადასინჯვა. თუ პარტიის ლიდერების შერჩევა იქნება სწორი, თუ ნებადართული იქნება ყველა ძირითადი პრობლემების გარშემო დისკუსიის გამართვა, კომინტერნი დაცული იქნება ყოველგვარ საფრთხისაგან და გამარჯვებისაკენ წაიყვანს პროლეტარიატს.

კელნის პროლეტარიატი ესალმება პლენუმს

ბორდიგას სიტყვის შემდეგ გეშკე აცნობებს პლენუმს, რომ მიღებულია მისასალმებელი დეპეშა ინგლისის საოკუპაციო ჯარებისაგან განთავისუფლებულ კელნში გერმანიის კომპარტიის მიერ მოწყობილ „წითელი დღის“ 100.000 მონაწილე პროლეტარისაგან.

ამ ცნობას პლენუმი მქუხარე ტაშით ხვდება.

23 თებერვალს საღამოს პლენუმის სხდომა არ გამართულა. პლენუმის დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს წითელი არმიის 8 წლისთავის დღესასწაულში.

უკანასკნელი ცნობები

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 23 თებ. ადგილობრივ პროფორგანოების გამგეობის არჩევნებში ბევრგან იმარჯვებენ კომუნისტები.

ბერგლავში მეტყავეების კავშირში გავიდა 3 კომუნისტი.

ხის დამმუშავებელთა კავშირის გამგეობაში ნიურტინგენში გავიდენ ორი კომუნისტი, ორი კომპარტიის თანამგრძნობი და ერთი სოციალ-დემოკრატი.

ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების ჯგუფურ საბჭოში გავიდენ 7 კომუნისტი 2 სოციალ-დემოკრატი და ერთი უპარტიო.

მიუნხენში რკინისგზელთა გაერთიანებულ კავშირის გამგეობაში გავიდენ 5 კომუნისტი, 4 კომპარტიის თანამგრძნობი და 2 სოციალ-დემოკრატი.

პილსუდსკის მომხრეთა მზადება

ვარშავა, 23 თებ. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში კიდევ დადის ხმები პილსუდსკის მომხრეების ფარულ მზადების შესახებ; ამბობენ, რომ გამოსვლები განზრახულია ხალხთა ლიგის სესიის დამთავრების დროისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრი გადადგომით იმუქრება, თუ კაბინეტმა მას ნება არ მისცა ამის საწინააღმდეგო ზომების მისაღებათ.

ლოკარნოს ხელშეკრულების რატიფიკაცია

ლონდონი, 23 თებ. ინგლისის მეფემ მოაწერა ხელი საბუთს ლოკარნოს ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

ბრალს სდებენ ჩემბერლენს

პარიზი, 23 თებერ. ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი პერტინაქსი გაზეთ „ეკო დე პარი“-ში ბრალს სდებს ჩემბერლენს საფრანგეთის საწინააღმდეგო პოლიტიკაში.

პერტინაქსის აზრით ხალხთა ლიგამ და ლოკარნომ დაშალა ანტანტა, რომლის დამამტკიცებელია უკანასკნელი ამბები ევროპასა და აზიაში.

კანტონის მთავრობის დასახმარებლად

კანტონი, 23 თებერ. მოხდა იაპონიის ფედერაციის საზეიმო გახსნა გუან-სის პროვინციაში.

ფედერაცია აღუთქვამს შეაკავშიროს მუშები კანტონის მთავრობის დასახმარებლად და გაერთიანდეს გლეხებთან, ჯარისკაცებთან და სტუდენტებთან ჩინეთში ნაციონალური რევოლიუციის დასამთავრებლად.

ინგლისის თემთა პალატაში

კამათი საგარეო ვაჭრობის შესახებ

ლონდონი, 23 თებ. თემთა პალატაში დაიწყო კამათი ინგლისის საგარეო ვაჭრობისათვის არსებული სავაჭრო შეღავათების გაფართოების კანონპროექტის გარშემო.

მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა სასტიკად გაილაშქრეს კანონპროექტის წინააღმდეგ, აღნიშნეს რა, რომ მთავრობა უარს ამბობს სავაჭრო შეღავათების კანონი გავრცელდეს საბჭოთა კავშირზედაც. ორატორების სიტყვით ინგლისის ფაბრიკანტებმა დაჰკარგეს უდიდესი საბჭოთა დაკვეთები მანქანებზე.

საგარეო ვაჭრობის განყოფილების გამგემ სამიუელმა, რომელსაც მუშათა პარტიის დეპუტატები აწყვეტინებდენ სიტყვას ადგილიდან შენიშვნებით, განაცხადა, რომ ამ ჟამად საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემა საშიშია. რუსეთს ინგლისში აქვს ერთგვარი კრედიტი, რადგან მისი სავაჭრო ბალანსი ინგლისთან 1924 წელს შეადგენდა 11 მილ. გირ. სტერლინგს მის სასარგებლოთ, ხოლო 1925 წ. 6 მილ. გირ. სტერლ.

„აშ რატომ არის, კითხულობს სამიუელი, რომ ამ ნაშთის გამოყენების მაგიერ საბჭოთა კავშირი ცდილობს გამოსტყუოს ინგლისს ახალი კრედიტი. ყველაზე უფრო რეალური გზა საბჭოთა კრედიტის აღსადგენათ არის ის, რომ ინგლისის ფაბრიკანტები დარწმუნდენ, რომ საბჭოთა კავშირი კეთილ სინდისიერად შეასრულებს თავის ვალდებულებებს. ინგლისის მრეწველნი, რომელთა რესურსები ასე მცირეა, ასეთ პირობებში მეორედ ვეღარ ასესხებენ ფულს საბჭოთა მთავრობას“.

კამათი დამთავრების შემდეგ მთავრობის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია მიღებულ იქნა 157 ხმით 55-ის წინააღმდეგ.

პერსელის განცხადება

ამსტერდამი, 23 თებ. ამსტერდამის სოციალისტურ კლუბში პერსელმა გააკეთა მოხსენება, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა კავშირში ინგლისის პროფკავშირთა [illegible] მოგზაურობას 1924 წლის ბოლოს. თავისი მოხსენების დასასრულ პერსელმა, რომელსაც მქუხარე ტაშით ხვდებოდა მთელი კრება, იმედი გამოსთქვა, რომ ბოლოსდაბოლოს ამსტერდამის ინტერნაციონალის გაერთიანება პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალთან [illegible] დება.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება ვალების შესახებ.

ლონდონი, 24 თებ. შეკითხვაზე, თუ როდის განახლდება ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება ვალების შესახებ, ჩერჩილმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი [illegible] ჩამოსვლას აპირებდა თებერვლის ბოლომდე, მაგრამ მისი ჩამოსვლა დაგვიანდა დეპუტატთა პალატაში საფინანსო კანონპროექტების გარჩევის გამო.

კანტონის ბლოკადა

მუშკორების ყრილობა ხარბინში

ხარბინი, 23 თებ. შესდგა ხარბინის საბჭოთა გაზეთის „[illegible]“ მუშკორების პირველი ყრილობა.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეული არიან ბუხარინი, სტალინი და ტროცკი.

თათბირმა შეიმუშავა მუშკორების მუშაობის საერთო ხაზი და აღნიშნა ჩინელების მუშებთან მჭიდრო კავშირის და თანამშრომლობის აუცილებლობა.

მხარს უჭერენ კანტონის მთავრობას

პეკინი, 23 თებ. „ნორდ ჩაინა სტანდარტის“ ცნობით, ჩინეთის დასავლეთი პროვინციები ფიქრობენ კონფერენციის მოწვევას იმ მიზნით, რომ გაერთიანდენ საერთო მთავრობის ძალაუფლების ქვეშ. გაზეთის სიტყვით ასეთი მთავრობა იქნება კანტონის მთავრობა.

მომავალში განზრახულია ამ პროვინციების სამხედრო ძალების გაერთიანება უ პეი-ფუს მიერ დაკავებულ პროვინციაზე და ხონანის პროვინციაზე გასალაშქრებლად.

ინგლისმა კანტონს ბლოკადა გამოუცხადა.

პეკინი, 23 თებ. „რეიტერის“ სააგენტომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა 20 თებერვლის თარიღით:

„დღეს საბაჟო გადასახადების საქმეთა რწმუნებულმა განმეორებითი გაფრთხილების შემდეგ აცნობა კანტონის საბაჟოს უფროსს და კონსულთა კორპუსს, რომ სანამ საგაფიცვო კომიტეტი უარს არ იტყვის გემების გადმოტვირთვის ოპერაციებში ჩარევაზე და არ დააბრუნებს იმ ტვირთებს, რომელიც არ ყოფილა შემოწმებული საბაჟოში, 22 თებერვლიდან შეწყვეტილი იქნება გემების ყოველგვარი მიმოსვლა და გემების დატვირთვა-გადმოტვირთვა“. საგაფიცვო კომიტეტის მოქმედება აშკარად არღვევს ჩინეთსა და უცხო სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს. სანამ კანტონის მთავრობა უარს არ იტყვის მხარის დაჭერაზე საგაფიცვო კომიტეტის მოქმედებისადმი, იგი ამასთან ერთად იქნება პასუხისმგებელი უკანონო მოქმედებისათვის“.

„რეიტერის“ სააგენტოს მეორე დეპეშაში 22 თებერვლის თარიღით ნათქვამია:

„საბაჟო გადასახადების საქმეთა რწმუნებულმა კანტონში მოახდინა განკარგულება ნავთსადგურების— კანტონის და ვამპეს დახურვის შესახებ, სანამ უკანონოთ წაღებული ტვირთები არ იქნება დაბრუნებული საბაჟოში შესამოწმებლად და საბაჟო გადასახადის დასაწესებლად.“

ამ განკარგულების შემდეგ 22 თებერვალს დილით კანტონში არ შესულა არც ერთი გემი. ფიქრობენ, რომ ასეთი განკარგულებით დაზარალდება 5 სახელმწიფოს გემი. იუწყებიან, რომ შამინში (კანტონის უცხოელთა უბანი) გაემგზავრა თეთრი დროშით ინგლისის გემი სურსათ-სანოვაგით.

გარდა ამისა „რეიტერის“ სააგენტო იუწყება, რომ კონსულთა კორპუსმა კანტონში ერთხმად მოიწონა საბაჟო გადასახადების საქმეთა რწმუნებულის მოქმედება.

ზემოაღნიშნულ ამბებთან დაკავშირებით საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ჩინეთის ავტორიტეტულ წყაროებიდან მიეცა შემდეგი განმარტებანი:

„კანტონის ნავთსადგურის მუშების გაფიცვა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება განხილული იქნას ჩინეთსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შესრულების ან არ შესრულების თვალსაზრისით, რადგან ამ ხელშეკრულებებში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო გათვალისწინებული ასეთი მოვლენები. გაფიცვის თავისუფლება აღიარებულია ჩვენს დროს ბურჟუაზიული სამართლითაც კი.

ამიტომ ნავთსადგურების მუშათა გაფიცვაში არ შეიძლება დავინახოთ ისეთი რამ, რომელიც არ ეგებოდეს ნავთსადგური მდგომარეობას, სადაც ყველა ერების გემებს შეუძლიათ თავისუფლად შესვლა. ჩინეთმა უცხო სახელმწიფოთა დადებულ ხელშეკრულებათა ძალით მიიღო მხოლოდ ვალდებულება უზრუნველყოს ყველა ეროვნებათა გემების თავისუფალი შესვლა კანტონის და ვამპეს ნავთსადგურში.

კანტონის ტერიტორია, უცხოელთა უბნის—შამინის გამოკლებით, იმყოფება კანტონის მთავრობის სუვერენულ ხელისუფლების განკარგულებაში. თუ საბაჟო გადასახადების საქმეთა რწმუნებულმა დახურა კანტონის და ვამპეს ნავთსადგურები, აქ უნდა ვხედავდეთ ინგლისის იმპერიალიზმის უკანონო აქტს და კანტონის მთავრობაზე ზეგავლენის საზღვაო ბლოკადის საშუალებით.

ასეთი აქტის უკანონობა აშკარაა“.

შენიშვნა: 1901 წ. პეკინის ოქმის თანახმად ინგლისმა მიიღო ფაქტიური კონტროლი ჩინეთის საბაჟოში.

ამ საბაჟოში მოსამსახურე ინგლისელებს, მათ შორის საბაჟო გადასახადების საქმეთა რწმუნებულსაც, ინგლისის მთავრობა ნიშნავს.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

დეპუტატთა პალატის და სენატის შერიგება.

პარიზი, 24 თებერვ. სენატის მემარცხენე დემოკრატიულმა ჯგუფმა საკითხში, თუ რა პოზიციას დაიჭერს ეს ჯგუფი ფინანსების მომავალ განხილვის დროს, თითქმის ერთხმად გადაწყვიტა, რომ ჯგუფი ხმას მისცემს საფინანსო კომისიის პროექტს და გამოსთქვა სურვილი დეპუტატთა პალატასთან შერიგების შესახებ. უკანასკნელი მიზნით არჩეული არიან დელეგატები, რომელთაც მოლაპარაკება უნდა აწარმოონ რადიკალ-სოციალისტ დეპუტატებთან.

ახალი საფინანსო კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

პარიზი, 24 თებერვ. როგორც „პტი პარიზიენი“ იუწყება, ბრიანმა დაჟინებით მოითხოვა ახალი რესურსებისათვის ხმის მიცემა და დასასრულ განაცხადა, რომ ამ საშუალებათა გარეშე ახალი საფინანსო კრიზისის თავიდან აცილება შეუძლებელია.

ლოკარნოს ხელშეკრულების გარშემო

ლოკარნოს რატიფიკაცია

ლონდონი. 24 თებ. მეფემ ხელი მოაწერა ლოკარნოს ხელშეკრულების რატიფიკაციას. იუწყებიან, რომ ხელშეკრულება ახლო მომავალში შეტანილი იქნება ერთა ლიგაში, უკანასკნელის სტატუტის თანახმად.

ბერლინი, 24 თებ. პარიზიდან მიღებული ცნობით, დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოისმინა ბონკურის მოხსენება ლოკარნოს ხელშეკრულებათა რატიფიკაციის კანონპროექტის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს ბრიანმა განაცხადა, რომ ლოკარნოს ხელშეკრულებები ხელშეუხლებლად სტოვებენ იმ უფლებებს, რომლებიც საფრანგეთს ეკუთვნის ვერსალის ხელშეკრულებით.

პოლონეთის ციხეების საშინელებანი

პატიმართა წამება მოკოტოვის ციხეში

მოსკოვი, 24 თებ. ლანცუცკის მიერ [illegible] აღმასკომის სახელზე გამოგზავნილ წერილში მოცემულია დაწვრილებითი ცნობები პატიმართა წამების შესახებ მოკოტოვის ციხეში, ვარშავაში.

კამერებში,-სწერს ლანცუცკი,-შეუძლებელი ხდება სუნთქვა. ზოგიერთი ჩვენგანი ჰაერის ნაკლებობის გამო უგონოდ ეცემა. ჩვენს შორის არის რამოდენიმე მძიმე ავადმყოფი ამხანაგი. ავადმყოფებს, გასეირნების დროს, ჩამოჯდომის უფლებაც კი არა აქვთ. კვირით მძიმედ ავადმყოფები იძულებული არიან იკვებონ ციხის ჩვეულებრივი საჭმელით. სიმშილობის დამარცხების შემდეგ ადმინისტრაციამ მოგვისპო ნათესავებთან თავისუფლად ლაპარაკის საშუალება.

„უნდა დავიწყოთ თუ არა ჩვენ ბრძოლა და სიმშილობა, რომელიც აუცილებლად დამთავრდება ავადმყოფ ამხანაგების სიკვდილით?“

გერმანიაში

კომპარტიის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს

ბერლინი, 23 თებ. გერმანიის კომპარტიის კამპანია ყოფილი მეფის საგვარეულოს ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ განსაკუთრებით ნაყოფიერად ჩატარდა ტიურინგიაში. ტიურინგიის 32 ოლქში სათემო თვითმმართველობებმა თითქმის ერთხმად მიიღეს რეზოლიუციები, რომლებშიაც მოითხოვენ ყოფილ მეფის საგვარეულო ქონების აუნაზღაურებლად ჩამორთმევას. 15 უდიდესმა პროფესიონალურმა გაერთიანებამ მიიღო კომპარტიის ლოზუნგი. პროფკავშირთა წევრების 61 საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუციები, რომლებშიც მოითხოვენ სოციალ-დემოკრატიის, კომპარტიის და პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების საერთო ფრონტის შექმნას ანაზღაურების წინააღმდეგ. მთელ რიგ ადგილებში დაარსებულია ერთიანი კომიტეტები რეფერენდუმის ჩასატარებლად. 30 ქალაქიდან მიღებულია მუშათა სხვადასხვა ორგანიზაციების კრებებზე გამოტანილი რეზოლიუციები ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საკავშირო სამელიორაციო თათბირი

მოსკოვი, 24 თებ. 23 თებერვალს მოსკოვში მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის კლუბში გაიხსნა საკავშირო სამელიორაციო თათბირი. თათბირს დაესწრო 250 კაცი. თათბირი განიხილავს საბჭოთა კავშირის წყალთა მეურნეობის საკითხებს.

ტყავის მრეწველობის მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი, 24 თებ. 1 მარტს მოსკოვში გაიხსნება ტყავის მრეწველობის საკავშირო ყრილობა.

ყრილობაზე ჩამოდიან უცხოეთის პროფკავშირთა ორგანიზაციების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

გერმანელ ჯაშუშების საქმე

მოსკოვი, 24 თებერვალი. 15 თებერვალს გერმანიის ელჩს ბროკდორფ-რანცაუმ მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს განყოფილებაში ინახულა გერმანიის [illegible]. უკანასკნელი დატუსაღებულია კავკასიაში ჯაშუშთა ორგანიზაციის აღმოჩენასთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციის სათავეში იდგნენ გერმანიის მოქალაქენი. ტუსაღმა [illegible] გერმანიის ელჩს განუცხადა, რომ მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს ციხეში პატიმრები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებიან. კვება კარგია.

ამხ. ძერჟინსკის ბრძანება

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსადმი

მოსკოვი, 24 თებ. ძერჟინსკიმ გამოსცა ბრძანება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსადმი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მთელი მუშათა კლასის, პარტიის და სახელმწიფოს შეუპოვარი ღონისძიებათა შემწეობით მრეწველობის პროდუქცია მიმდინარე სამეურნეო წელიწადში მთლიანად მიუახლოვდა ომის წინანდელ დონეს. ახალი სამრეწველო მშენებლობა და არსებულ წარმოებათა საფუძვლიანად განახლება გადაკეთება მოითხოვს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა ძალები და რესურსები მიმართული იქნენ იქითკენ, რათა მრეწველობის განვითარების სათანადო ტემპი დაცული იქნეს. სახელმწიფო დიდი მომჭირნეობის და არასაჭირო ხარჯების უკლებლივ შემცირების გზით, მთელს თავის ღონისძიებებს მიმართავს მრეწველობის აღორძინებისაკენ.

განვაგრძობთ რა ბრძოლას ხარჯების შემცირებისა და ეკონომიისათვის, ჩვენ ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ზედნადები ხარჯების შემცირებას.

ბრძანება აძალებს ტრესტებს და სინდიკატებს დაუყოვნებლივ გასინჯონ ყველა ზედნადები ხარჯები მაქსიმალურ დაშემცირების მიზნით. ბრძანების თანახმად არსდება კომისია ადმინისტრატიულ და საფინანსო სამმართველოს უფროსის რუსანოვას თავმჯდომარეობით, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მართვა-გამგეობის აპარატთან დაკავშირებულ ზედნადებ ხარჯების შემცირებლად ტრესტების და სინდიკატების მიერ დაწყებულ მუშაობას.

ნიაღვარი აზერბეიჯანში

ბაქო, 24 თებერ. ამ ორი დღის განმავლობაში უწყვეტლივ წვიმები მოდის. წყალმა გაავსო მრავალი სარდაფები ქალაქის დაბლობ ადგილებში. ალაგ-ალაგ დაზიანდა კანალიზაცია. ტრამვაის მოძრაობა შესწყდა.

ბ. 8.
1—1 1650

სტურ პარტიებს, განი ინგლისის მუშათა

სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა

მეხუთე სხდომა

თავმჯდომარეობს გრ. რობაქიძე

ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს მუშაობა

ამხ. გედევანიშვილის მოხსენება

23 თებერვლის საღამოს სხდომაზე ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. გედევანიშვილმა.

— ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭო,—ამბობს მომხსენებელი,—არსებობს წელიწად-ნახევარი. ეს დატა საკმარისია იმისათვის, რომ აღინიშნოს ამ საბჭოს მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხელოვნება ჩვენში მეტად გაცხოველდა, ეს წლები ხასიათდება ხელოვნების საკითხების აქტუალურობით დაყენებით. ცენტრული პროლეტარიატის მსმენელთა რიცხვი დუქნის მსხმარებელთა რიცხვი თვალსაჩინოდ გაიზარდა, განსაკუთრებით კი გაიზარდა თეატრალური მაყურებელთა რიცხვი. მაგრამ აქ აღსანიშნავია მაყურებელთა არა მარტო რიცხვის ზრდა, არამედ მათი გემოვნების და მოთხოვნილების ზრდაც. ეხლანდელი მაყურებელი ჩვენს თეატრში არ ეძებს მარტო სანახაობისათვის, ის ერთგვარ მოთხოვნილებასაც უდგენს თეატრს.

ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებასთან ერთად იზრდება ხელოვნების მუშაკთა რიცხვი: რომელ დარგსაც არ უნდა აიღოთ—ლიტერატურა, ხატვრობა, მუსიკა—ყველგან იზრდება მუშაკთა რიცხვი.

მაგრამ, თუ ჩვენ გადავხედავთ ჩვენი სამხატვრო დაწესებულებების ეკონომიურ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ის საკმაოდ ჩამორჩება მათ კულტურულ ზრდას. თანხების უქონლობის გამო ჩვენ სავსებით ვერ ვაკმაყოფილებთ მასების გაზრდილ მოთხოვნილებას და სავსებით ვერ ვიყენებთ ყველა მუშაკებს; აქედან უკმაყოფილება და მთელ რიგ რაიონების მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა.

ჩვენი აკადემიური თეატრები ყოველწლიურად იღებენ 251.000 დოტაციას; ამას გარდა დახმარება ეძლევა აგრეთვე სახელმწიფო კონსერვატორიას, სამხატვრო აკადემიას და სხ. სამხატვრო დაწესებულებებს; სულ ყველა ორგანიზაცია იღებს ყოველწლიურად 360.000 მანეთს.

ამას გარდა ხელოვნების საქმეზე მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება აგრეთვე პროვინციაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

პროპორციონალურად თუ ავიღებთ, ხელოვნების საქმეზე იმდენი თანხა არ იხარჯება არც ერთ სახელმწიფოში; მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩვენ მაინც ვერ ვახერხებთ გაზრდილი მოთხოვნილების სასე- [illegible] ტკიცებს, რომ მოთხოვნილება აღემატება ჩვენს მატერიალურ შესაძლებლობას.

ეხლა შევეხებით მუსიკალურ განათლების საქმის მდგომარეობას ჩვენში. თქვენ მოგეხსენებათ, რომ თბილისში არსებობდა ორი კონსერვატორია, რომელთა შენახვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ჩვენ ეს ორი კონსერვატორია გავაერთიანეთ და დავტოვეთ ერთი, მაგრამ გამოირკვა, რომ ამ კონსერვატორიაშიც საჭიროა ზოგიერთი ცვლილებების შეტანა.

ახლო წინათ კონსერვატორიაში სწავლობდა 1.000 კაცი, რომელთაგან 500 პიანისტი იყო ცხადი შეიქმნა, რომ ამდენი სპეციალისტების დატევა საქართველოს ბაზარს არ შეუძლია. ამიტომ ხელოვნების საქმეთა მთავარმა საბჭომ განიზრახა კონსერვატორიის რეორგანიზაცია და გაატარა კიდეც ეს ცხოვრებაში.

რეორგანიზაციის გეგმის მიხედვით კონსერვატორიაში უნდა დარჩენილიყო 220 მოწაფე, მაგრამ ამას ჩვენ დავუმატეთ კიდევ 87 მოწაფე, ასე, რომ ამჟამად კონსერვატორიაში 307 მოწაფეა, რომლებიც ეროვნების მიხედვით ასე ნაწილდებიან: ქართველები—44,4 პროც., რუსები—11,5 პროც., სომხები—26,8 პროც., ებრაელები—13,8 პროც.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით, მოწაფეების შემადგენლობა ასეთია: გლეხი—40, ინტელიგენტი—146 და თავისუფალი პროფესიის—86.

კონსერვატორიის გარდა ჩვენ გვაქვს დაბალი საფეხურის მუსიკალური სკოლები, რომლებიც ამზადებენ კონსერვატორიის მოწაფეთა მომავალ კონტიგენტს.

როგორც მოგეხსენებათ სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებობს დრამატიული და საოპერო სტუდია. დრამატიული სტუდიის კურსდამთავრებული ახალგაზრდები გადადიან სამუშაოდ ჩვენს აკადემიურ დრამაში. რაც შეეხება საოპერო სტუდიას, ის ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს ოპერების მოსამზადებლად ქართულ ენაზე. უკვე გადმოთარგმნილია ორმოცამდე ოპერა, სტუდიას ყავს საკუთარი ორკესტრი, რომელიც თანდათან აფართოვებს თავის რეპერტუარს. ამ ერთი მუშაობით ჩვენ შევძელით ნიადაგი მოვუმზადოთ ოპერის გაეროვნებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელოვნო საბჭო დიდ მუშაობას აწარმოებს ჩვენი ხალხური სიმღერების შეკრება—დამუშავების საქმეში. დაარსებულია ე. წ. მუსიკალური კოლეგია, რომლის მიერ უკვე შეკრებილი და დამუშავებულია 200-მდე ხალხური სიმღერა. კოლეგიის ადგილობითან დაახლოების მიზნით განზრახულია მაზრებში გაიხსნას მუსიკალური კოლეგიის განყოფილებები.

შემდეგ ამხ. გედევანიშვილმა დაახასიათა თეატრალური საქმის მდგომარეობა პროვინციის ქალაქებში და აღნიშნა, რომ ქუთაისში, ბათომში და ფოთში მუშაობენ აკადემიური დრამები, რომლებსაც დახმარებას უწევს ადგილობრივი ხელისუფლება.

კამათი

ამხ. გედევანიშვილის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა იღეს კონ. გამსახურდიამ. ტიციან ტაბიძემ, არ. ჭუმბაძემ, ნ. ჩაჩავამ, ლევან მეტრეველმა, ვახტანგ კოტეტიშვილმა და ნოე ზომლეთელმა.

მე-6-ე სხდომა

თავმჯდომარეობს სილ. თოდრია

24 თებერვლის დილის სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. გედევანიშვილი, რომელიც დაწვრილებით შეეხო ყველა ორატორების განცხადებებს და ამომწურავი პასუხი გასცა მათ.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა სრულიად საქ. მწერალთა კავშირის წესდება, რომელიც მიღებულ იქნა ძირითად საფუძვლად; წესდების განვითარება და გაფართოება დაევალა მწერალთა კავშირის საბჭოს.

დასასრულ მოხდა არჩევნები.

ყრილობამ საბჭოში აირჩია:

სილიბისტრო თოდრია (თავმჯდომარე). გრიგოლ რობაქიძე (თავმჯდომარის მოადგილე). ს. აბაშელი (თავმჯდომარის მოადგილე).

წევრები:

კ. მაყაშვილი. დ. კლდიაშვილი. ნ. ნაკაშიძე. პ. ინგოროყვა. ვ. კოტეტიშვილი. ი. გრიშაშვილი. პ. იაშვილი. ტ. ტაბიძე. ნ. მიწიშვილი. გ. ქიქოძე. ს. შანშიაშვილი. პავლე ნოზაძე. ჟ. ლოლობერიძე. ნ. ზომლეთელი. კ. კალაძე. შ. დადუნჩავა. ლ. ესაკია.

კანდიდატები:

რაჟდენ გვეტაძე, სოლომონ თავაძე, მარიჯან, დ. შენგელაია, მაშაშვილი.

ხელოვნების მთავარი კომიტეტი

კოტე მაყაშვილი (თავმჯდომარე). არისტო ჭუმბაძე (თავმჯდომარის მოადგილე). მიხ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე).

წევრები:

ნიკო შიუკაშვილი. ვარლამ რუხაძე. შალვა აფხაიძე. პეტრე ქავთარაძე. შაქრო ნავთლუღელი. რონდელი. ნიკო ჩაჩავა.

კანდიდატები:

კოლაუ ნადირაძე. ს. ფაშალიშვილი. ხ. ვარდოშვილი. ა. ველიაშვილი. რ. რადიანი.

სარევიზიო კომისია:

ია ეკალაძე (თავმჯდომარე) ლევ. მეტრეველი და გრ. ცეცხლაძე.

კომიტეტის სარევიზიო კომისია:

პ. კაკაბაძე და ვ. გორგაძე.

სოციალურ უზრუნველყოფის ინსპექტორების თათბირი

მე-3 სხდომა.

სოც. უზრუნველყოფის ორგანოების ხარჯთაღრიცხვა.

(ამხ. შ. დოლიძის მოხსენება).

მოხსენება გააკეთა ამხ. შ. დოლიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალურ უზრუნველყოფის დარგში არის ორნაირი ხარჯთ-აღრიცხვა—სახელმწიფო და ადგილობრივი. გასული წლის განმავლობაში მთავრობამ კომისარიატს მისცა 99 ათასი მანეთი, თბილისის აღმასკომმა 37 ათასი, ადგილობრივმა აღმასკომებმა სოც. უზრუნველყოფის საქმეზე დახარჯეს 153.145 მანეთი. მიმდინარე წლის ადგილობრივი ხარჯთ-აღრიცხვა გადიდებულია 16 ნახ. პროცენტით სოციალურ უზრუნველყოფის საქმეებზე კი შემცირებულია 0,06 პროცენტით. საერთოდ სოციალური უზრუნველყოფის საქმეებზე თანხები გადიდებულია 11 პროცენტით (წელს იხარჯება 21.427 მანეთით მეტი ვიდრე შარშან დაიხარჯა).

ინვალიდთა არტელების მუშაობა.

(ამხ. ათაბეგოვის მოხსენება)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დასახიჩრებულთათვის რაიმე სამუშაოს შოვნა საუკეთესო საშუალებაა მათთვის დახმარების აღმოსაჩენად. ამიტომ კომისარიატი შესაფერ ზომებს იღებს ინვალიდთათვის სხვადასხვა ხასიათის არტელების დასაარსებლად. საქართველოში მოწყობილ დასახიჩრებულთა არტელებში ამ ჟამად მუშაობს 700-ზე მეტი კაცი, აქედან მარტო თბილისში მუშაობს 400 კაცი. თბილისში მოწყობილია თამბაქოს [illegible] არტელი, ფურნეები, ფეხსაცმელების სახელოსნო, კოლოფების დამზადებელი და სხვა.

მომხსენებლის აზრით ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად დასახიჩრებულთა არტელების დაარსებას და მათთვის შესაფერი ზედამხედველობის გაწევას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი

მე-4 და მე-5 სხდომა

გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებების შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. გვანცელაძემ, რომელიც უმთავრესად შეეხო ახალი ინსტრუქტორების მოვალეობას, და მიუთითა ზოგიერთ ნაკლულოვანებებზე, რომელიც შენიშნული იყო საზოგადოების მუშაობაში.

მოხსენებები ადგილებიდან

ამხ. გვანცელაძის მოხსენების შემდეგ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან, რომლები გაგრძელდა ორივე სხდომაზე. მოხსენებები გააკეთეს ყველა მაზრებიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ-ოსეთიდან. თითქმის ყველა მომხსენებელი აღნიშნავდა თანხების სიმცირეს, რის გამოც [illegible] სოციალურ უზრუნველყოფის საქმე. ზოგიერთმა ამხანაგებმა მიუთითეს, რომ სამაზრო აღმასკომები არ აქცევენ ყურადღებას სოც. უზრუნველყოფის საქმეს: ადგილობრივ ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული თანხები ხშირათ სხვა მიზნებისათვის იხარჯება რაც არღვევს გეგმიან მუშაობას.

მომხსენებლების თქმით, ხშირათ ხდება ინსპექტორების გამოცვლა, რაც აგრეთვე აფერხებს მუშაობას. აღნიშნულ იქნა აგრეთვე რომ საჭიროა კომისარიატმა ხშირ-ხშირათ მოიწვიოს სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორთა თათბირები.

დასასრულ მიიღეს რეზოლიუციები ყველა აღძრულ საკითხების გარშემო.

საქართველოს გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გუშინ, 24 თებერვალს გლეხთა ცენტრალურ სახლში საქ. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარის ამხ. კ. ხომერიკის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს გლეხთა და საურთიერთო დამხმარე კომიტეტების ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც წარმოდგენილნი არიან საქართველოს სამაზრო გლეხთა კომიტეტები. პლენუმის დღის წესრიგში სდგასო 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება, 3) მომავალი მუშაობის გეგმის შემუშავება და დამტკიცება, 4) მიმდინარე საკითხები.

პლენუმის პირველ სხდომაზე გლეხთა სამაზრო კომიტეტების მუშაობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს შემდეგმა ადგილებმა: ლეჩხუმის, ქუთაისის, დუშეთის, სიღნაღის, თბილისის, შორაპნის ახალციხის ახალქალაქის, ოზურგეთის მაზრების და აფხაზეთის, და სამხრეთ ოსეთის გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლებმა.

ბაქოს ბაზრობის ხელის შემწყობ კომიტეტში

ამ რამდენიმე დღის წინად შესდგა ბაქოს ბაზრობისათვის ხელის შემწყობ კომიტეტის სხდომა, სხდომაზე გამოტანილი იქნა დადგენილება: სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის მიმართვის შესახებ, რათა მათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ბაზრობაში.

ამასთანავე დადგენილ იქნა—დაუგზავნონ ანკეტები ყველა სავაჭრო ორგანოებს, ბაზრობაზე საქონლის მოთავსება-მიწოდების საკითხის გამოსარკვევად.

დადგენილია აგრეთვე, ეთხოვოს შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს, რათა მან მოაწყოს ბაზრობაში დაინტერესებულ პირთა თათბირი, სპარსეთისა და ოსმალეთის საკონსულოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმი

რომელიც უნდა შემდგარიყო

ა| წ. 28 თებერვალს

გადადებულია 5 მარტისთვის

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ქართველიშვილი

ერთი დემოკრატიზმის წინააღმდეგ

ხშირია მაგალითები, როდესაც რედაქციაში მოდის კორესპონდენცია პარტიულ ცხოვრების შესახებ და კორესპონდენციის თანავე ახლავს „სათანადო ბეჭდის დასმით და ხელის მოწერით“ მოწმობა, რომ ესა და ეს ამხანაგი არჩეულია პარტკორათ და მას ევალება გააშუქოს გაზეთის ფურცლებზე ჩვენი ორგანიზაციის ცხოვრება.

აქ თავისთავად დიდი არაფერი ბოროტება არაა, რომ ამგვარ „დემოკრატიზმს“ კორესპონდენტის არჩევაში არ ჰქონდეს თავისი უარყოფითი მხარე იგი. ჯერ-ერთი—ეს ზედმეტი ფორმალობა ჰქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს პარტკორობა რაღაც ოფიციალური მოვალეობა იყოს, რომლისთვისაც საჭიროა ორგანიზაციის რწმუნების ქაღალდი, რომ მხოლოდ ასეთი წესით არჩეულ პირს შეუძლია სწეროს ორგანიზაციის მუშაობაზე და არა სხვა ვინმე.

ეს, რასაკვირველია, ყალბი შეხედულებაა, მაგრამ ზემონაჩვენები „დემოკრატიზმი“ ფსიქოლოგიურათ ასეთ სულისკვეთებას ჰქმნის ორგანიზაციაში. პარტიულ ცხოვრების შესახებ უნდა სწეროს ყველამ, ვინც დაინტერესებულია საკუთარ ორგანიზაციის ავ-კარგით და ვინც ჰხედავს მის მუშაობაში რაიმე ღირს შესანიშნავ ან ნაკლს.

კიდევ მეტი, გარდა პარტიულებისა, პარტიის მუშაობის შესახებ შეუძლია სწეროს უპარტიომაც, რომელიც ესწრება უჯრედის ღია კრებებს, რომელსაც საშუალება აქვს წარმოდგენა იქონიოს ორგანიზაციის მუშაობაზე მის დამოკიდებულებით უპარტიო მასისადმი და სხვა საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო დაწესებულებისადმი.

გარდა ამისა, ოფიციალურათ არჩეულ პირს ხშირათ არც აკითხებიან რამდენათ შესაძლებელია მას ძალა აქვს თუ არა ხალისი კორესპონდენციების გზავნისა. უჯრედი კი დამშვიდებულია, რომ მას კორესპონდენტი ჰყავს და ამით თავის მოვალეობა შესრულებულათ მიაჩნია.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საგულისხმო მოვლენაც, რომელიც თან ახლავს ასეთ ოფიციალობას კორესპონდენტის არჩევაში. საერთო კრების ან ბიუროს მიერ გამოყოფილი პარტკორი ძალაუნებურათ დამოკიდებულია თავის კორესპონდენციების წერაში ორგანიზაციის ხელმძღვანელებისაგან. ასეთი პარტკორი ხშირათ მოკლებულია საშუალებას თავისუფალი კრიტიკა გაუკეთოს საკუთარ ორგანიზაციის მუშაობას.

პარტიის ყველა წევრს, უპარტიო მშრომელ გლეხს და მუშასაც უფლება აქვთ და მათ პარტიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობასაც შეადგენს სწეროს კორესპონდენციები პარტიულ მუშაობის შესახებ.

პარტორგანიზაციების ხელმძღვანელნი მხოლოდ მაშინ უნდა ღებულობდენ ზომებს კორესპონდენტის გამოსაყოფათ, როცა ორგანიზაციის ცხოვრება არ შუქდება გაზეთის ფურცლებზე, როცა ორგანიზაციის მუშაობა პრესის გარეშე რჩება. და მაინაც კი, უმჯობესია პარტკორის გამოყოფა ხდებოდეს არა კრებებზე კენჭის ყრით ან საკითხის ბიუროს სხდომაზე გადატანით, არამედ თვითმოქმედების გზით: თითო-ოროლა მოსურნე ამხანაგის გამოძებნით და მათი წერისადმი წახალისებით.

მაშ ასე, მეტი ყურადღება პარტიულ ცხოვრებას, მეტი კავშირი გაზეთთან და არსებულ ფორმალობის თვითმოქმედებით შეცვლა.

რანი.

ტრამვაის კოლექტივის შემოწმების შედეგები

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა ტრამვაის კოლექტივის მდივნის, და შემმოწმებელ კომისიის მოხსენება კოლექტივის მუშაობის და ტრამვაის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, და კოლექტივის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იცნო. ამავე დროს თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რიცხობრივად და ორგანიზაციულად უჯრედი გაიზარდა და განმტკიცდა, მისი გავლენა მუშათა მასაზე გაძლიერდა, მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ყოფილ მენშევიკებს შორის. უჯრედის წევრთა პოლიტიკური დონე გაიზარდა.

მოწესრიგებულია პარტიულების მუშაობის აღრიცხვა, კრებებზე დასწრება და საწევრო გადასახადების შეტანა.

მიუხედავად ამისა პრეზიდიუმმა აღნიშნა პარტიის წევრთა ერთ ნაწილში მთელი რიგი ავადმყოფური მოვლენების არსებობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ საკმარისად არაა გაგებული პარტიის ხაზი ხელფასის საკითხში, დამოკიდებულება სპეცებისადმი და ყოფილ მენშევიკებისადმი.

ავადმყოფურ მოვლენათა საბოლოოთ აღმოფხვრას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც რაიკომმა, ისე კოლექტივის ბიურომ.

მომავალ მუშაობისათვის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა უჯრედს: ვინაიდან უკანასკნელ წლის უჯრედი 2 ნახ.—3 ჯერ გაიზარდა, უჯრედის შემდეგი ზრდისათვის საჭიროა აღებული იქნას გეზი პარტია- [illegible] უნდა იქნან მიღებული უმთავრესად საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში გამოჩენილი, კვალიფიციური მუშები.

ამასთან ერთად გაძლიერებული უნდა იქნას საპროპაგანდო მუშაობა და აწეული იქნას უჯრედის შემადგენლობის კულტურული და პოლიტიკური დონე.

ვინაიდან ძალიან გაზრდილია ს[illegible] ხელოსნების უჯრედის შემადგენლობა (აერთიანებს რამდენიმე ცეხს, კომუნისტების რიცხვი კი უდრის 170-ს) უჯრედს ცეხებთან დასაახლოვებლად საჭიროა ამ უჯრედის რეორგანიზაცია და რამდენიმე საცეხო უჯრედის მოწყობა.

ელექტრონის სადგურის უჯრედი, რომელიც ტერიტორიალურად შორს მდებარეობს და ნაკლებათ დაკავშირებული კოლექტივთან, გამოყოფილი იქნას კოლექტივიდან დამოუკიდებელ უჯრედათ.

წინასწარ არ უნდა იქნას გადაწყვეტილი საკითხი საცეხო უჯრედებთან კომისიების შედგენის შესახებ საწარმოო უჯრედთა კონფერენციის მოწვევამდე და მოეწყოს კომისიები კოლექტივის ბიურო თან.

ვინაიდან კოლექტივის ღია კრებების რიცხვი მცირე იყო, წინადადება მიეცეს უჯრედს უფრო ხშირად გამართოს კოლექტივის ღია კრებები.

რადგან უჯრედთა კრებებს ესწრება უპარტიოების მცირე რიცხვი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კრებების დღის წესრიგის შემუშავებას და დასმული უნდა იქნას უპარტიოებისათვის საინტერესო საკითხები.

გაძლიერებული იქნას პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტიის წევრ—ყოფ. მენშევიკების ხელახალ აღზრდას. უნდა მოეწყოს სპეციალური წრე ყოფილ მენშევიკებისათვის. ვინაიდან სუსტად მიმდინარეობს საწარმოვო თათბირის მუშაობა და უპარტიო მუშები გულგრილად უყურებენ უკანასკნელის მუშაობას, საჭიროთ იქნას აღიარებული საწარმოვო თათბირის მუშაობის გამოცოცხლება და ავტორიტეტის აწევა.

თათბირის მუშაობაში უნდა იქნას ჩაბმული სამეურნეო დარგის მუშაკები და ყველაზე უფრო კვალიფიციური მუშები.

ვინაიდან სუსტადაა დაყენებული მუშაობა ქალთა შორის და ქალთა კომისია სისწორით ვერ უძღვება მოსამსახურე-ქალთა შორის მუშაობას, გაძლიერებული იქნას ქალთა შორის მუშაობა და განსაკუთრებით ყურადღება მიექცეს მოსამსახურე ქალების ჩაბმას აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში.

პროფკავშირებში

ხელოვნების მუშაკთა მე-6 ყრილობა

მე-4 სხდომა

ცენტრალური გამგეობის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ქურიძე)

მომხსენებელი შეეხო ცენტრალური გამგეობის შრომას და საკავშირო ცხოვრების ურთულეს საკითხებს და დაწვრილებით გააშუქა ცენტ. გამგეობის საქმიანობა თვითკრიტიკის თვალსაზრისით.

1926 წლის პირველი იანვრისათვის ხელოვნების მუშაკთა კავშირს ჰყავდა სულ 2.943 წევრი. აქედან ქართველები 801, რუსები—1042, სომხები—616, ებრაელები—22, დანარჩენს შეადგენს სხვა ეროვნებები. მომხსენებელი ვრცლად ჩერდება ცენტ. გამგეობის სატარიფო ეკონომიურ მუშაობაზე და აღნიშნავს უმთავრესად იმ ნაკლულოვანებებს, რომელთა მიზეზად მომხსენებელი სთვლის საწარმოო და სამეურნეო ორგანოებს, რომელნიც ხშირად აბრკოლებენ კავშირის ცენტ. გამგეობის მიერ წარმოებულ სატარიფო-ეკონომიურ მუშაობის წარმოებას. თავის მხრივ ცენტრალური გამგეობა ღებულობდა ყოველგვარ ზომებს, რომ შექმნა მტკიცე ნიადაგი საწარმოო ორგანიზაციებისათვის არც ერთ კავშირს ამბობს მომხსენებელი, ისე არ აწუხებს უმუშევრობის საკითხი, როგორც ხელოვნების მუშაკთა კავშირს, სადაც თავმოყრილია ბევრი კვალიფიკაციური მუშაკი, უფრო მეტი კი არა კვალიფიციური მუშაკები. კავშირის ცენტ. გამგეობა ღებულობდა ყოველგვარ ღონისძიებებს უმუშევრობის შესანელებლად აწყობდა სხვადასხვა ახალ კურსებს, სადაც გადამზადებულნი იყვნენ კავშირის უმუშევარი წევრები, აწყობდა აგრეთვე მსახიობთა და ხელოვანთა გამგზავრებას ისეთ ადგილებში, სადაც მათი საჭიროება იყო. ამავე დროს ზოგიერთ უმუშევრებს ცენტ. გამგეობა აძლევდა დახმარებას და სხვა.

კავშირის წევრთა დიდი ნაწილს აკლია პროფესიონალური და პოლიტიკური მომზადება, ამიტომ ც. გ. [illegible] დროს მთა- [illegible] ექცევდა სწორედ ამ პოლიტიკურ-პროფესიონალური უცოდინარობის აღმოფხვრას.

ფინანსიური მდგომარეობა კავშირის ვერ არის დამაკმაყოფილებელი. საწევრო გადასახადი დროზე არ შემოდის ან სრულიად არ შემოდის. მაქოთ კავშირის არსებობის ერთ-ერთ [illegible] წყაროს წარმოადგენს „ხელოვნების დღის“ მოწყობიდგან მიღებული შემოსავალი.

შრომის დაცვა ვერ არის ყველგან სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, და კავშირის ცენტრალური გამგეობა ბრძოლობდა სათანადო ზომებს შრომის დაცვის შესანარჩუნებლად იმ წარმოებაში, სადაც ამ საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე ხელფასის დაგვიანების მოუწესრიგებლობას. ხელფასი არ იძლევა თავის დროზე და თუ რიცხვება წვრილ-წვრილ ავანსების სახით; ცენტ. გამგეობა შეძლებისდაგვარად იბრძოდა ამ არანორმალურ მოვლენას.

სარევიზიო კომისიის წარმომადგენელმა ამხ. ეფანოვმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმ ნაკლულოვანებათ; რომელიც აღნიშნული იყო თვით მომხსენებლის მიერ. საერთოდ კი სარევიზიო კომისიამ ცენტ. გამგეობის მუშაობა მიაჩნია დამაკმაყოფილებლად.

კამათი

ცენტ. გამგეობის მუშაობის გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. ამხანაგები აღნიშნავდნენ ცენტრალურ გამგეობის ბიუჯეტს კავშირის ადგილებთან, ცენტრალურ გამგეობის უმოქმედობას ადმინისტრაციასთან ბრძოლაში, სატარიფო საკითხების მოუგვარებლობას და სხვა. ყრილობის დელეგატებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს უმუშევრობის და მასთან ბრძოლის საკითხს. ორატორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ბაზარი არ საჭიროებს ამდენ მსახიობთა და სხვა დარგის ხელოვანთა იმ რაოდენობას, რომელიც ამჟამად თბილისში მოიპოვება.

პროფმუშაობის ქრონიკა

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

— **დახმარება უმუშევრებს.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი 27 თებერვლიდან გასცემს ერთდროულ დახმარებას კავშირის უმუშევარ წევრებზე.

— **უმუშევარ წევრთა აღრიცხვა.** ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირი შეუდგა უმუშევარ წევრთა ხელ-ახალ აღრიცხვას.

— **სატანთვარჯიშო მუშაობა.** მელითონეთა პროფკავშირმა გამოჰყო განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა სატანთვარჯიშო მუშაობის გაფართოვება კავშირის წევრთა შორის.

— **აღმშენებელ მუშათა კავშირში.** აღმშენებელ მუშათა კავშირმა საქ[illegible] გაადიდოს ინსტრუქტორთა რიცხვი ახალგაზრდათა შორის სამუშაოდ.

— **სამუშაოს გეგმა.** მიწატყის კავშირმა დაასრულა ამ თვის მუშაობის გეგმის შედგენა. გეგმის მიხედვით ათვალისწინებულია კულტურული და პროფესიონალური მუშაობის გაცხოველება კავშირის წევრთა შორის.

დაიბეჭდა და დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდება

„კომუნისტი“-ს

ყველა ხელისმომწერლებს

მეცნიერება და ტეხნიკა № 4

ქრონიკა

ამხ. მელნიჩანსკის ჩამოსვლა. სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-5-ე ყრილობას რომელიც შესდგება 8 მარტს, დაესწრება სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მელნიჩანსკი.

2 მარტს ის იქნება ბაქოში, სადაც მოხსენებით გამოვა აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობაზე, რომელიც იმ დღეს გაიხსნება.

კიევის ბაზრობა

კიევის საკონტრაქტო ბაზრობა წელს გაიხსნება 7 მარტს და გაგრძელდება 25 დღის 31 მარტამდე.

ბაზრობაში მონაწილეები სარგებლობენ შემდეგი შეღავათებით 1) გა[illegible] გადასახადების გაუქმება, 2) ამ[illegible] საქონლის დასაზღვევი გადასახადის 10 პროც.-ით შემცირება და სხვა.

ბაზრობის შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება თბილისში საზოგადოება „ტრანსპორტი“-ს კანტორაში.

საქონლის ჭირთან ბრძოლა.

— **სოფ. ნასომხარში** (თბილისის მაზრა) მიწათმოქმედების კომისარიატში მიღებული ცნობებით თავი იჩინა საქონლის ჭირმა.

— **ოსიაურის** [illegible] სადგური შეუდგა ფრინველების ჭირთან საწინააღმდეგო წამლების დამზადებას.

სატყეო მეურნეობა.

— **„ტყის დღე“.** მიწათ-მოქ. კომის. სატყეო განყოფილება ბეჭდავს და გზავნის მაზრებში წიგნს „ტყის დღე“.

— **ტყეების დაცვის მიზნით** სატყეო განყოფილება აწყობს ტყის დაცვის კამპანიას

მევენახეობა

— **ვაზის სანერგეები.** წელს საქართველოში გაშენებული იქნება 8 ამერიკული ვაზის სანერგე.

— **ამ.-კავკ. აგარეო** ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო საზღვარ-გარეთიდან 2 ნახევარმილიონ მეტრ ამერიკულ ვაზს.

მეფუტკრეობა.

— **მეფუტკრეობის ბიურო** სხვადასხვა კუთხეში უდგება გაზაფხულიდან მეფუტკრეობის კურსების მოწყობას

— **სკების დამზადება.** თბილ. აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილება ამზადებს გლეხებს შორის დასარიგებლად 600 ძირ სკას.

სოციალური დაზღვევა

— **დახმარება უმუშევრებს.** 26 თებერვალს უმუშევართა დაზღვევის განყოფილება მისცემს თებერვლის დახმარებას იმ უმუშევრებს, რომლებსაც აქვთ წიგნაკები № 4001 და 7.000-მდე.

— **დასაზღვევი წიგნაკების** დატოვება-გაუქმების საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

სხვადასხვა

— **სვანეთის სატყეო რაიონში** სატყეო მრეწველობის ტრესტი შეუდგა ხე-ტყის დამზადებას ადგილობრივ ქარხნის საჭიროებისათვის.

— **ამ.-კავ. სასოფლო-სამეურნეო** გამოფენას სამხრეთ-ოსეთის ცენტ. აღმასკომი თავის ხარჯზე გზავნის 23 გლეხს.

— **ცხენთა მოშენება.** ცხენთა საქმეების განყოფილებამ მუხრანში გახსნა ცხენთა [illegible] პუნქტი.

— **განათლების მუშაკთა სახლში** პარასკევს, 26 თებერვალს, დღის 2 საათზე, განათლების მუშაკთა სახლის მართავს ექსკურსიას რევოლიუციონერ მუზეუმის დასათვალიერებლად მსურველები დანიშნულ დროზე უნდა გამოცხადდნენ გან. მუშაკთა სახლში.

შემთხვევები

— **ცეცხლი.** 23 თებ. დღისით, ვერის დაღმ. № 7 მცხ. პასოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ზარალი უმნიშვნელოა.

— **ჯიბგირობა.** [illegible] თებ. აღმასკომის შენობაში ილია ბაბაძეს ამოაცალეს ჯიბიდან 180 მანეთი.

— **გაძარცვა.** 23 თებ. საღამოს ნიკოლოზის ქუჩაზე გაძარცვეს სახლში მიმავალი ლ. გ. რიდიკოვი.

— **ცხენის გატაცება** 15 თებერვ. საგარეჯოს ახალსოფლელ გლეხ ათიკის—დათა თარიმანშვილს უცნობმა მოსტაცა ცხენი.

— **შეპყრობა.** 20 თებ. სომხის ბაზარი № 62, საფეიქრო სინდიკატიდან მოიპარეს ერთი თოფი ჩითი. ქურდი ჩასაფრებული შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 23 თებერვალს. მე-9 უბანში მცხოვრებ შალვა ცაგარელს მოპარეს 100 მანეთის ნივთები.

საბჭოთა არჩევნები

არჩევნები დამთავრდა

10 თებერვალს, დილის 8 საათზე გლეხობამ მრავლად მოიყარა თავი ასურეთის ცენტრ. კლუბში. კრებას ხსნის ცენტრ. კომისიის თავმჯდომარე ამხ. სევერიანე კეკელიძე. საბჭოს ანგარიშის მოსმენის შემდეგ წაკითხულ იქნა ნაკაზი და შემდეგ მოხდა არჩევნები.

საბჭოში არჩეულია სულ 14 წევრი და 5 კანდიდატი, მათ შორის 2 ქალი, 4 კომუნისტი და 10 უპარტიო. კრებას დაესწრო ამრჩეველთა 65 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ ქალების საკმაოდ დიდი პროცენტი გამოცხადდა.

იმავე დღეს საარჩევნო კომისია გაემგზავრა ამავე თემის სოფელში, პატარა ენაგეთში. იქაც შესდგა კრება. საბჭოს მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გლეხებმაც მიიღეს მონაწილეობა. ისინი აღნიშნავდნენ საბჭოს ზოგიერთ წევრების უმოქმედობას. სოფ. პატარა ენაგეთში ამორჩეული იქნა საბჭოს 5 წევრი, ერთი კანდიდატი, მათ შორის ერთი ქალი. პარტიული მიმართულებით — ერთი კომუნისტი, ერთი კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიო. გლეხობა იქაც ბლომათ დაესწრო არჩევნებს.

11 თებერვალს არჩევნები მოხდა სოფ. შაშასუღარში, საბჭოში აირჩიეს 3 წევრი და ერთი კანდიდატი.

ამავე დღეს ჩატარდა არჩევნები სოფ. დიდ დღრნისში. საბჭოს მუშაობის ანგარიშის მოსმენის შემდეგ საბჭოში აირჩიეს 6 წევრი და 2 კანდიდატი, მათ შორის ორი ქალი, პარტიული მიმართულებით—3 კომუნისტი, ერთი კომკავშირელი და დანარჩენი უპარტიო.

უნდა აღინიშნოს, რომ გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს არჩევნებისადმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლად არჩეული საბჭო გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს.

გლეხკორი ა. დ. მათხოჯელი.

წინასწარი მუშაობა დამთავრდა

(ცაიშის თემი, ზუგ. მაზრა)

ჩვენს თემში წარსული წლის განმავლობაში აღმასკომის ნაყოფიერი მუშაობით ბევრი რამ გაკეთდა.

გაყვანილია და შეკეთებულია შარაგზები, შეკეთებულია ადგილობრივი 7 წლედი სკოლის შენობა და სხ... ამ მხრივ აღმასკომის მიერ წარმოებული მუშაობა თემის კეთილმოწყობისათვის მეტად საყურადღებოა.

წინასწარი სამზადისი არჩევნებისათვის, ჩვენს თემში უკვე ჩატარებულია. მასწავლებლობა და ახალ. კომ. კავშირი არჩევნების მოლოდინში ენერგიულ მუშაობას ეწევიან, რაიც გამოიხატება საარჩევნო კომისიის დახმარებაში, დასაგზავნ საარჩევნო უწყებების შედგენაში და სხ...

თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული მათი სია, რომელთაც არა აქვთ უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ასეთები არიან: სასულიერო წოდებიდან, ვაჭრები, ჩარჩ-სპეკულიანტები და სხ... საარჩევნო უწყებები დაგზავნილია თემის ყოველ კუთხეში.

ღიმ:

არჩევნები გორის მაზრაში

ბერბუკის უბანში ხმის უფლების მქონე იყო 110 ქალი და კაცი, ხოლო აქედან საარჩევნო კრებას დაესწრო 84 სული ე. ი. 76%.

ს. პატარა გარეჯვარში სცხოვრობს 778 სული, რომელთა შორის ხმის უფლება ჰქონდა 490 კაცს, აქედან საარჩევნო სხდომას დაესწრო 311 სული ე. ი. 75%, თემის საბჭოსთვის პატარა გარეჯვარმა გამოჰყო 7 კაცი.

ს. დიდ გარეჯვარში საარჩევნო კრებას დაესწრო 68 პროცენტი. თემსაბჭოში არჩეულ იქნა ორი დეპუტატი.

ს. პატარა გორიჯვარში ხმის მისაცემათ გამოცხადდა 80 პროცენტი. თემის საბჭოს დეპუტატათ აირჩიეს ერთი კაცი.

ს. უფლის-ციხეში არჩევნები ჩატარდა ხმის მქონეთა 62 პროცენტის დასწრებით. საბჭოს დეპუტატებათ არჩეულ იქმნა 7 კაცი.

ს. ტინისხიდში არჩევნები მოხდა 10 თებერვალს. კრებას დაესწრო ამრჩეველთა 69 პროცენტი.

ს. წედისში საბჭოს არჩევნები მოხდა 11 თებერვალს. დეპუტატათ არჩეულ იქმნა 1 კაცი. კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 68 პროცენტი.

ს. ზნავისში არჩევნები ჩატარდა 11 თებერვალს; საბჭოს წევრებათ არჩეულ იქნა 4 კაცი. საარჩევნო კრებას დაესწრო 69 პროცენტი.

ს. ლვარეგში არჩევნები მოხდა 12 თებერვალს; საბჭოში არჩეულ იქნა 4 კაცი. კრებაზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 57 პროცენტი.

ს. ზედაქსოვრისში არჩევნები ჩატარდა 13 თებერვალს. საბჭოში არჩეული იქნა 2 კაცი. კრებაზე გამოცხადდა ხმის მქონეთა 78 პროცენტი.

ს. კოშკებში არჩევნები მოხდა 14 თებერვალს. დეპუტატებათ არჩეულ იქნა 2 კაცი, კრებას დაესწრო 56%

ს. რიგთში საბჭოთა არჩევნები ჩატარდა 15 თებერვალს. არჩეულ იქნა 4 კაცი. კრებას დაესწრო 71 პროცენტი.

შ. ბეგოიძე.

ქალები მონაწილეობას იღებენ არჩევნებში

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

სოფელ საგარეჯოში არსებობს დელეგატ-ქალთა ორგანიზაცია, რომელიც ენერგიულად მუშაობს. ყოველ კვირაში ხდება კრებები, რომელზეც იხილავენ სხვადასხვა საკითხებს მასთან პარტიის უჯრედიდან არის გამოყოფილი ორი ამხანაგი, რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან ქალთა კრებებს და ხელმძღვანელობენ ქალთა შორის მუშაობას. მასთან რაც შეეხება საბჭოთა არჩევნებს, ქალები მხურვალე მონაწილეობას იღებენ არჩევნებში; არჩეული არის საბჭოში ჯერ-ჯერობით [illegible] ქალი.

მაყურებელი.

არჩევნების ქრონიკა

სვანეთი

— ხაიშის თემის საბჭოში აირჩიეს 32 დეპუტატი, აქედან 6 კომუნისტი, 2 კანდიდატი და 1 კომკავშირელი.

— მულახის სათემო საბჭოში აირჩიეს 16 წარმომადგენელი. მათში 3 კომ. 4 კ. პ. კანდიდატი და 1 კომკავშირელი.

— ლატალის სათემო საბჭოში აირჩიეს 11 კაცი. მათში 2 კომუნისტია და 1 კომკავშირელი.

თელავის მაზრა

— **შილდის თემში.** საბჭოში აირჩიეს 48 დეპუტატი. მათში 7 ქალია, 6 კომ. 1 კანდ. და 4 კომკავ. დანარჩენები უპარტიოები.

— ენისელის სათემო საბჭოში აირჩიეს 56 წარმომადგენელი. აქედან 3 კომ., 7 კანდიდატია, 7 კომკავ. და 6 ქალი.

სენაკის მაზრა

— გეზათ გულუხეთის თემსაბჭოში გავიდა 21 წარმომადგენელი. მათ შორის 4 კომ. 1 კანდ. და 1 კომკავ.

სამხრ.-ოსეთი

— ჯავის თემსაბჭოს არჩევნები დასრულდა. სულ აირჩიეს 50 დეპუტატი. აქედან 8 კომ. 6 კანდიდატ. და 5 კომკავ. ქალები კი 5.

გორის მაზრა

— **გომის თემი.** გომის თემსაბჭოში აირჩიეს 50 დეპუტატი. მათ შორის 11 კომუნ. 7 კანდიტ. და 6 კომკავშირელი.

არჩევნების ქრონიკა.

ბორჩალოს მაზრა

— ბორჩალოს თემსაბჭოში არჩეულ იქნა 21 წარმომადგენელი. აქედან 3 კ. პ. კანდიდ. და 4 კომკავშირელი.

— კრიხილოს თემსაბჭოში აირჩიეს 10 წარმომადგენელი. ათივე უპარტიოა.

შორაპნის მაზრა

— ზესტაფონის თემსაბჭოში აირჩიეს 24 დეპუტატი. აქედან 5 კომუნ. და 2 კომკავშირელი. მათ შორის 3 ქალია.

— მუხურის თემსაბჭოში აირჩიეს 32 დეპუტატი აქედან სამი კომ. და 2 კომკავშირელი საბჭოში გავიდა 4 ქალი.

— ტუმის სათემო საბჭოში აირჩიეს 32 წარმომადგენელი. აქედან 3 კომუნისტია და 29 უპარტიო.

— ჩხარის თემის სათემო საბჭოში აირჩიეს 84 დეპუტატი. მათში 12 კომუნისტია და 4 კომკავშირელი.

ზუგდიდის მაზრა

— ახალ ხიბულის სათემო საბჭოში აირჩიეს 10 დეპუტატი. მათ შორის 3 კომუნისტი და 1 კანდიდატი.

ბ
ხოჯ
მიგვს
ში ჩ
როჯ
უარ
თუთ
ლაშ
ნეიტრალიტეტის დაცვით. იმავე

მუშათა წერილები

ახალ ცხოვრების ბალი შენდება

(საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 5 წლისთავზე)

თოვდა, ყინავდა... იყო ქარ-ბუქი...
ზამთარი ზაფხულს სულს უხუთავდა;
შავი ღრუბელი მზესა ფარავდა,
ხიზო—სინათლეს მზეს უკარგავდა.

იდგა ბურუსი შავი ზღვის ნისლის.
მშრომელთ ქოხ-მახი ჯოჯოხეთს შგავდა.
ბედი წყდებოდა მკაცრი ბრძოლაში...
ზამთრის თოვლს სისხლი წითლად შჭარბავდა.

თავგანწირული შრომის შვილები
საბედისწერო ომში იბრძოდენ,
ცოლ-შვილი ოჯახში დავიწყებოდათ
შიმშილ-სიცივეს ველარა გრძნობდენ.

პროლეტარული ხელჩართულ ომში,
მკაცრმა ზამთარმა მოხარა ქედი
და შეუპოვარ გმირთა ბრძოლაში
საკეთილდღეოდ გადაწყდა ბედი.

ჩადგა ქარ-ბუქი, მთა გადიწმინდა...
ზარბაზნებისა შეწყდა გრიალი...
მუშა და გლეხის საყვარელ დროშას
სიამით მაღლა იწყო ფრიალი.

დღეს უკვე გახლავთ ხუთ წელიწადი,
რაც საქართველო წითლად მშვენდება,
ძველი ინგრევა და მის ნაშთებზე
ახალ ცხოვრების ბალი შენდება.

ვ. მ. სალუქვაძე.

ჩვენი გამარჯვების დღესასწაული

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლისთავს.

დღეს დაჟინებით გადავავლებთ თვალს ხუთი წლის საქმიანობას და გავითვალისწინებთ, თუ რა იყო ხუთი წლის წინათ და რა გაკეთდა ამ ხუთ წელში.

ხუთი წლის წინათ გააფთრებით იბრძოდა მენშევიკური მთავრობა თავის ბატონის [illegible] შესანარჩუნებლად და მოუწოდებდა საქართველოს პროლეტარიატს, გლეხებს და მუშებს ამ ბატონების დასაცავად, რომ არ შერყეულიყო ბოლშევიკურ „საფრთხისაგან"!

მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

სიკრუესა და ჭორებზე დაყრდნობილი მენშევიკური მთავრობა დაარცხდა და ევროპისკენ იბრუნა პირი, რომელმაც „გამგზავრების" დროს თან გაიტაცა სახალხო ქონება და დააქცია რკინის გზები, ხიდები და სხვა.

მენშევიკური მთავრობის ადგილი დაიჭირა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ.

მაგრამ რა შერჩა ხელში მენშევიკებისაგან გაკეთებული?

არაფერი, გარდა სილატაკისა.

აოხრებულ-დაქცეული საქმეები, დაქცეული მეურნეობა, ყველაფერი განადგურებული, სილატაკე, ცარიელი ხაზინა და სხ.

ასეთ მემკვიდრეობა ჟორდანიას მთავრობისა!

მაგრამ პროლეტარიატის მედგარმა მუშაობამ და საბჭოთა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობამ ამ ხუთ წელში გააკეთა ის, რაც არ შეეძლო საუკუნეს გაეკეთა ძველად.

ამ ხუთ წელში სწრაფის ნაბიჯით წავიდა წინ საქართველო და დაადგა კულტურულ აღორძინების გზას.

ახლა ოდნავ გადავავლოთ თვალი, თუ რა გაკეთდა ამ ხუთ წელში და რა კეთდება:

საქართველოს მეურნეობას საძირკველი ჩაეყარა, ფეხი აიდგა და სწრაფად მიექანება წინ.

მეურნეობა აღორძინების გზას დაადგა, კარჩაკეტილი სოფელი გამოვიდა სინათლეზე და იწყებს ახალ ცხოვრებას, მიწის დამუშავებას ტრაქტორებით.

გაკეთდა და კეთდება სარწყავი არხები, რომლის წყალობითაც უნდა შეიქმნეს სოფლის სიმდიდრე.

კეთდება გზები, ხიდები.

სწარმოებს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია, რომელსაც სინათლე და სიკეთე მოაქვს ჩვენი ქვეყნისთვის.

ხუთი წლის განმავლობაში აღორძინდა კოოპერაცია და თანდათან ფეხს იკიდებს, რომელიც თავდებია მომავალი სოციალისტური ცხოვრებისა.

სოფელი და ქალაქი მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, მუშა და გლეხი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიან წინ.

წერა-კითხვის უცოდინარობა ისპობა ჩვენს ხელში. გაზეთმა მიაღწია ჩვენს ბნელ კუთხეებს, მიყრუებულ სოფლებსაც.

შექმნა საქართველოს წითელი ჯარი, რომელიც დარაჯად უდგა საბჭოთა საქართველოს და მაღლა უჭირავს კომუნისტური წითელი დროშა!

აი ყველა ის მიღწევები, რაც გაკეთდა ამ ხუთ წელში და კეთდება. აქ შეუძლებელია ყველაფერის ჩამოთვლა.

ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ გარშემო მტერი გვარტყია და მოსვენებას არ გვაძლევს.

მაგრამ მტკიცეა საბჭოთა ხელისუფლება და მას ვერავითარი ძალა ვერ სძლევს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ხუთი წლისთავს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას მსოფლიოში!

ახალქალაქი—პ. ახალკაცი.

ხუთი წლის თავზე

შესრულდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლის თავი. საქართველოს მუშებმა კარგად იციან ის „სამოთხე", რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ შექმნა „დემოკრატიული რესპუბლიკის" სახით ჩვენში. რა [illegible] ჰქონდა მუშისა და გლეხის ხმას მენშევიკების დროს? თითქმის არაფერი. როგორც მოესურვებოდათ, ისე [illegible] მუშების ზურგს უკან ხალხის ბედ-იღბალს მენშევიზმის მესვეურნი, ხალხს კი ეუბნებოდნენ, რომ ისინი „სოციალისტურ" რესპუბლიკას აშენებდნენ...

რა იყო სინამდვილეში? სინამდვილე და ჭეშმარიტება ერთიმეორესაგან ცა და დედამიწასავით იყვნენ დაშორებულნი, მენშევიკების მეოხებით საქართველოს მშრომელი კლასი ჩამოშორდა ოქტომბრის რევოლუციას და მისი მტერი შეიქნა. იმ დროს, როდესაც ევროპის ბურჟუაზიის წარმომადგენლები თავისუფლად დათარეშობდენ ჩვენ ტერიტორიაზე, თავიანთ შავ-ბნელ საქმეებს ფრთას ასხამდენ და ოქტომბრის რევოლუციის მომავალს საფრთხეს უმზადებდენ, საქართველოს მენშევიკები კვეხნას [illegible] ძახილით, რომ „დემოკრატიული საქართველო" ნეიტრალიტეტს ემყარება და არავითარ ომში მონაწილეობას არ მიიღებსო.

იმ დროს, როდესაც რუსეთის ჩვენი მოძმე მუშები და გლეხები გააფთრებით ებრძოდენ ყოველი მხრიდან მოსეულ კონტრ-რევოლუციონურ ბანდებს, სისხლიდან იცლებოდენ, შიმშილით და ავადმყოფობით იმუსრებოდენ და არ ზოგავდენ არაფერს ოქტომბრის რევოლუციის დასაცავად, მენშევიკები საქართველოში მუშათა კლასის მოსისხლე მტერს—იმპერიალისტების აგენტებს—ქაფითა და ნადირით ხვდებოდენ და ძვირფას ბანკეტებს უმართავდენ ხალხის ნაოფლარის და ნაშრომის განიავებით.

იმ დროს, როდესაც მუშათა კლასის უმთავრეს იდეალს ძმობა-ერთობა და ერთა შორის მშვიდობიანი შრომა შეადგენდა, მენშევიკების მეოხებით საქართველოს ტერიტორია შინაურ და გარეშე ხალხთა ბრძოლის ველს წარმოადგენდა, სისხლი მუშებისა და გლეხების უხვად ითხეოდა; ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდა მენშევიკების მთავრობა, იყო პოლიტიკა აუტანლობისა, ერთა შორის შუღლისა, ერთი რომელიმე ერის მეორეზე [illegible] მეზობელ რესპუბლიკასთან ომის გაჩაღებისა, მუშათა კლასის ერთიმეორეზე გადამტერებისა და გლეხის კანონიერი მოთხოვნილების ცეცხლითა და მახვილით ვანდალურად [illegible], როცა მშრომელი გლეხობა ითხოვდა თავად-აზნაურებისათვის მიწის ჩამორთმევას და მასზე გადაცემას.

ამავე დროს თავისუფალი იყო თბილისში დენიკინელების აგენტების თარეში ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ და აქედან თავისუფლად უმზადებდენ ევროპის „ლოცვა კურთხევით" ოქტომბრის რევოლუციას გალესილ მახვილს და სხვ.

უკვე განვლო ხუთმა წელმა მენშევიკების აქედან გაგდების დღიდან. დღეს საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები უშიშრად ეწევიან სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეს. [illegible] პოლიტიკურად შექმნილია უდიდესი საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკები, სადაც სრულუფლებიანად და თანასწორად შედის საბჭოთა საქართველო და მასში შემავალი რესპუბლიკები. უკვე აღდგენილია ის ძმური და მუშურ-გლეხური კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან, რომელთანაც მოწყვეტილი და ჩამოშორებული იყო მენშევიკების პოლიტიკის წყალობით საქართველოს მშრომელი [illegible] წლის განმავლობაში. უკვე აღარ არსებობს ის ბუდე, რომელსაც მენშევიკური საქართველო [illegible] და რაც ერთ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა წვრილ ბურჟუაზიულ მენშევიკურ პარტიისათვის. საქართველოს მუშათა კლასში მენშევიკური იდეოლოგია გაჰქრა შარშანდელი თოვლივით და დღეს ის ხელიხელ ჩაკიდებული ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარის სადარაჯოზე შეუპოვრად სდგას და ჭირში და ლხინშიაც მასთან იბრძოლებს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშით ხელში. ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავათ საქართველოს მუშათა კლასი არაფერს არ დაიშურებს იმ მტრებთან, რომლებიც ჯერ კიდევ [illegible] პარიზში ან საზღვარგარეთ ჩაგდონ საქართველოს მუშათა და გლეხთა ხუთი წლის მონაპოვარი და ნამრომი.

საბჭოთა საქართველოს არსებობის ხუთი წლის თავზე ყველასათვის ცხადია, რომ მუშებსა და გლეხებს შესწევთ უნარი წინსვლისა, აღმშენებლობისა, შრომის ინტერესების მტკიცედ დაცვისა, ხალხში განათლების გავრცელებისა, ახალ თაობის აღზრდისა, ეკონომიურად აღორძინებისა და საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში ხალხის საკეთილდღეოდ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს ბედი [illegible] და მომავალი უზრუნველყოფილია. მას ნახევრად დაძლეული აქვს ის სიძნელენი, რომელნიც წინ ეღობებოდენ მშენებლობაში და [illegible] 25 თებერვალი—ეს ის დღეა, როდესაც საქართველოს მშრომელი მასა [illegible] დაეპატრონა თავის შრომას და თავის ბედს თვითონვე განაგებს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს მე 3 კომ. ინტერნაციონალს!

მუშა უ. ჯაში.

ჩემი მოგონება

1920 წელი იწურებოდა. მენშევიკებში გავრცელდა ხმა, რომ „წითელი რეაქცია" მოდის. „ანარქისტ-ბოლშევიკებმა რუსეთი დაანგრიეს, ხალხი გაძარცვეს, გააღატაკეს და ახლა მოდიან საქართველოში, იქ საქართველოში, რომელიც ცნობილია მთელ ქვეყანაში, როგორც ერთად-ერთი „სოციალისტური სახელმწიფო"-ო... მოგვიწოდეს სამშობლოს დაცვისაკენ.

